


# ମୁଦ୍ରଣ



ପ୍ରତିକାଳିକା ପ୍ରକାଶନ ଏତ୍ତିକାଳିକା  
ନାମାଚାର୍ଯ୍ୟକାଳିକା ପ୍ରକାଶନ ଏତ୍ତିକାଳିକା

ନଂ 2 (55)

ମୁଦ୍ରଣ ପରିକାଳିକା

2022



# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
სულხან საპა  
ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი  
ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

## რედაქტორები

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

## მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიპეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“



№2,(55), 2022

ივნისი



გამოლის სამთხვევი ქურნალი



ოლე „ლიტერატურული ქურნალი



## შიდაარსი

### არ გვინდა რომ

2. ვარნა რაინა. არ გვინდა ომი, – არასოდეს,  
არ გვინდა ომი!!!. ლექსი

3. ალა დათუკიშვილი. ომი. ლექსი

### ოთარ ხუციშვილი – 90

### 4. მილოცვები

#### მხატვრული ლიტერატურა

6. ვალი ჩებივაძე. გვირაბი. რომანი

18. აკაკი ბიძინაშვილი. ლექსები

20. ლანა მანვალი. სად არის ბედნიერება.  
რომანი

29. მარიამ ძამუკაშვილი. ლექსები

31. დარეჯან ჭავრობაძე. ბუხარი. ლექსი

32. მარა პაპაურიძე. უკანასკნელი შემოდგომა.  
მოთხოვნა

36. რაზდან მექელიშვილი. ლექსები

38. ანზორ სიცრაშვილი. ვახტანგ  
გორგასალი. ფრაგმენტი ისტორიული  
რომანიდან

45. ანა მალოვალი. ლექსები

### გავვეგისთვის საკითხავი

47. ვაჟა მირობაძე. ლექსები

### თარგმანი

49. ერესტ დოლუსონი. ლექსი

### რჩისტიანული არაზის XII ფესტივალი

„ნიმდება ციხეს ჯვარი“

50. ფესტივალის საუკათხო ლექსები

### თელავის კულტურული ცენტრების ძრინვა

63. იმპერის საჯაროდ პითხვის მსოფლიო  
დღე

64. ლიტერატურული განერება

64. ელევობა

გარეკანის პირველ გვერდზე  
ლევან მოსიაშვილის ნახატი

1



ოლე, №2, 2022



## ას გვინება ომი!

2



არ გვინდა ომი, —

არა ასოდეს,

არ გვინდა ომი!!!..

დღეს, ომით იწვის:

უკრაინის —

მიწაც და ზეცაც,

სიცოცხლე ქრება,

ვინ გააქრო —

სოცოცხლის ფასი?!..

ნუთუ, ბნელდება —

პლანეტაზე,

აზრიც და... მზეცა...

და... თამაშია

ჯოჯოხეთის, —

თარსის და... ფარსის?!..

ქვეყანა, ნუთუ,

გაგებას და...

ლირსებას იცვლის?!..

მოუწამლია —

შხამით... გესლით

შხამგესლა

იელს?!...

იწვის: სიკეთის,

ერთობისა...

და... ძმობის ფიცი?!..

მოსკოვის რუსი

თვითონ ებრძვის —

ძველ დედას, —

კიევს?!..

ომია!!!.. ომი!!!..

ალბათ, გესმით —

ამ, გულის ცემის,

მე, კვნესა მესმის,

ოხვრა მესმის —

შევჩენკოს მინის...

ომია!!!.. ომი!!!..

აირია —

სისხლი და ცრემლი....

და... ჩემი გულიც

ამ ცეცხლით და...

ამ ალით იწვის!!!..

რა ვთქვა?!..

არ ვიცი!!!..

## ვარნა რაინა

დაბნეული დავეძებ —

სიტყვებს...

უფლის თვალებში

დღეს, ვინ არის

შემყრელი —

ლამის?!..

გამიქრა, თითქოს,

აზრის წვდომის:

სიმაღლეც,

სიბრტყეც...

ამ უგნურების სისასტიკით,

დავმუნჯდე, —

ლამის...

ხომ, ალიგავნენ —

მძლეთამძლენიც, -

პირისგან — მიწის?!..

სიკვდილი, გლოვა,

რად დავიდგათ

მიწაზე —

სახლად?!..

ეს, — უუამესი უამი,

ნუთუ, —

სასრულის დროა?!..

XXI საუკუნეს

რომ ვმარცვლავთ,

ახლა,

დედამიწაზე —

ვის, ვის უნდა

ახალი ტროა?!..

უსათნოესი —

აზრის თვალი

თუ, წაღმა ბრუნდა,

არ იჭაჭანებს —

ბელზებელი, —

მიწად და... ცადა...

იქ, სიცოცხლე და...

სიყვარული —

ზეიმობს, მუდამ,

სიბრძნეთა სიბრძნე —

ზენარის,

ზეიმობს, სადაც...

მშვიდობა:

მზე და სიცოცხლეა!!!..

მშვიდობას ვლოცავ,

დასაპამიდან,

იმ, ყველა ომს

ვიხსენებ — წყრომით!!!..

გაძებგილა დედამიწა —

ატომით, როცა, —

სიბრიუვე არის

და... სიგიჟე —

შუღლი და... ომი!!!..

გაოგნებული —

გრძნობით

განცდის, —

დაჭრილი ლომის,

ვლალადებ, ვგოდებ...

და... ვქადაგებ —



კოსმოსშიც წედომით,  
დასაბამიდან, –  
ხელში – გუთნით,  
ხმლის პირზე – დგომით,  
ვამბობ:  
არ გვინდა, –  
არასოდეს,  
არ გვინდა ომი!!!..

ყველას –  
უსაზღვრო,  
უნაპირო ტკივილი  
ახლავს, –  
თვალებს ახელენ –  
შიშით... დარდით...  
და... ძილის –  
კრთომით...  
არავინ, არსად,  
არსად არის –  
გულცივი, –  
ახლა,  
ჭიანჭველაც კი,  
სამზეოზე,  
მიწაზე –  
მძრომით...

ყოფნა – არყოფნის  
რად ვითვლიდეთ:  
წუთებს და...  
ნამებს?!  
გვახსოვს:  
ბერლინიც  
კართაგენიც  
და... გვახსოვს –  
რომიც...  
სიკეთეს,  
სიბრძნეს  
და... სიყვარულს,  
რაისთვის  
წვავენ?!..  
არ გვინდა –  
ომი!!!..  
არასოდეს,  
არ გვინდა –  
ომი!!!..  
  
დღეს, –  
უგიჯესი სიგიჯეა:  
მზის ქვეშეთს –  
ომი!!!..  
დამლუპველია, დღეს,  
პლანეტის –

შულლი და...  
ომი!!!..  
თავის თავს ებრძვის,  
უწინარეს,  
სიკვდილის –  
მდომი...  
მსოფლიოს ხალხებს –  
არასოდეს,  
არ უნდათ –  
ომი!!!..

P.S.

სიცოცხლეს, ვინაც, –  
უსიკეთოს,  
ჩააგდებს – არად,  
აინთებს, ვინაც,  
სიყვარულით:  
გულსა და სახეს,  
მე – ვენაცვალე,  
ვეთაყვანე,  
დავლოცავ, – მარად,  
დედამიწაზე  
სანთლად, ვინაც –  
დატოვებს სახელს!!!..

3



27-III-2022

## აღა დათუკიშვილი

### ოში

სადაც ომია სულ იქ არის  
ჩემი სამშობლო,  
რაც დავიბადე ომის სუნი  
ძვლებში გამიჯდა,  
მარადიული ლოცვა გვერგო  
ღმერთო გვამორენე,  
ჩვენი მიწების,  
ჩვენი ხალხის  
დაშლა გამიჯვნა.

სადაც დენთია  
სულ იქ არის ჩვენი სიცოცხლე,  
სულ სასწორზეა შეგდებული  
აწმყო-მყოფადი,


მშვიდობა,  
აბა რა ხილია ნეტა ვიცოდე,  
მხოლოდ ის ვიცი რომ  
მშვიდობის  
მქვია ქომაგი.

ჩვენი ლექსები ისე  
მორცხვად იწერებიან,  
ვერ გახდებიან გმირებივით  
სულის ნამლები,  
ნამდვილი ლექსი დახვრეტილი  
ის არწივია,  
დროშას რომ ფეხით არ შედგა და  
მოკლეს წამებით.  
ჭეშმარიტების პოეზიაც  
სანგრებში ცოცხლობს,

გრძელდება სადაც  
ბავშვიანი სარდაფებია  
და ვიდრე ნალმი უწიგნური  
ბალახებს მოძოვს,  
და ვიდრე ცაზე სირენები  
განათდებიან.

ამ მოლოდინის რეჟიმშია  
ჩემი სამშობლო,  
რაც დავიბადე ომის სუნი  
ძვლებში გამიჯდა,  
დაე,  
ეს ომის სტრიქონები  
ღმერთმა გვაშოროს,  
ღმერთმა გვაშოროს მიწების და  
ხალხის გამიჯვნა.





90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანეს ძე ხელიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ითარ!

ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდზე დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ღვანლმოსილ, ამაგდარ შემოქმედს და მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

ეს ოთხმოცდაათი წელი სამშობლოს უებრო, ვაჟკაცური მსახურების ერთი ჩინებული ნიმუშია.

მკითხველი ათწლეულების განმავლობაში თქვენ გიცნობდათ, როგორც ქართული უურნალის-ტიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნარმომადგენელს, ობიექტურ, პირუთვნელ ქედუხრელ კალმოსანს, რომელიც მუდამ მისი საესავი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს იცავდა და დაუნდობლად ამხელდა ყველას, ვისთვისაც ჩვენი ნაგვემი, მაგრამ ქედუხრელი მათი სამარცხვინო, მზაკვრული, ვნებების დასაკმაყოფილებელი ასპარეზი იყო და არა ის წმიდათაწმიდა ტაძარი, სადაც მუხლმოდრე-კილმა არსთაგამრიგეს უნდა შეავედრო შენი ქრისტესავით ჯვარცმული ერი.

უკვე გამობრძედილმა თვალსაჩინო უურნალისტმა მწერლობაშიც სცადეთ ბედი. 1981 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოაქვეყნეთ პირველი მოთხოვნები და მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო უურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა, გემოვნებიანმა და მომთხოვნმა, მიიღო თქვენი პროზაულები („ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „რაფრა მოვიცეთ ახლა ჩვენ“, „ელამი სარკე“, „ცხოვრება ღიმილით...“), რომლებშიც თავმოყრილ მოთხოვნებში, ნოველებსა თუ ფელეტონებში ქვეყნის ჭირისუფლის სულიერ ქურაში ნაწილობი პოზიციადა დავანებული. გვხიბლავთ ჯანსაღი და უბოროტო იუმორით, მრავალფეროვნებით, სისხარტითა და უზადო თავანკარა ქართულით...

მთელი ცხოვრება ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეალიეთ. იყავით თელავისა და ახმეტის რაიონული გაზეთების მთავარი რედაქტორი, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „რესპუბლიკის“ ლიტერატურული მუშაკი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილების რედაქტორი...

ღვანლი დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. მონიქებული გაქვთ ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის სახელობის პრემიები. სრულიად დამსახურებულად ატარებთ ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებას.

ბატონო ითარ!

მართლაც რომ სამაგალითოა თქვენი ობიექტურობა, პირდაპირობა, მართლის თქმის პრინციპის ერთგულება. ამის ჩინებულ მაგალითს თუნდაც ის ფაქტი ნარმოადგენს, რომ შემდგენელი და რედაქტორი ხართ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მედეა მეზვრიშვილისადმი მიძღვნილი პუბლიცის-



ტური კრებულისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოური ეპოქის ზოგიერთ პარტიულ მოღვაწესთან ახლოსაც ვერ მივა თანამედროვე საქართველოს არაერთი ნომენციურული მუშავი.

თქვენი მეგობრები ძალზე განვიცდით, რომ ბედისწერამ სიჭარმაგეში არაერთი მეტად მტკიცნეული დარტყმა მოგაყენათ. გვინდა გვჯეროდეს, რომ ვაჟუაცურად გაუძლებთ ამასაც...

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს მშობელი ქვეყნის სამსახურში ბოლომდე დახარჯულ შემოქმედს, გისურვებთ დღეგრძელობასა და მზეგრძელობას, თქვენი ოცნებების ხორცებს ხმას.

## საქართველოს მთავრობის კავშირი

5

### ჩინებული მთავრობი და ურნალისტი



ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, შესანიშნავ პიროვნებას, ჩინებულ მწერალსა და უურნალისტს ოთარ ხუციშვილს ვულოცავთ 90 წლის იუბილეს. ვუსურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობასა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

დარწმუნებული ვართ, უურნალ „ოლე“-სთან, ბატონი ოთარის ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

მთავრობა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“,  
ურნალ „ოლეს“ რედაქცია

## პატონო რომ!

დიდებულო ქართველო და პიროვნებავ!

ახლა თვალს რომ ვავლებ თქვენს მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას, ერთადერთი ეპითეტი, რაც თავში მომდის, მეციხოვნეა.

თმაგათეთრებული, სამშობლო ქვეყნის ბედზე დაფიქრებული მეციხოვნე, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, თავისი ცხოვრების წესითა და ნირით ნორმასა და ნიმუშს რომ წარმოადგენს მამულის უებრო მსახურებისა.

თქვენ, მწერალი და უურნალისტი, მართლაც რომ ნიჭიერებითა და შესაშური ღირსების გრძნობით ემსახურებით სიტყვაკაზმული ქართული ლიტერატურის განვითარებასა და წინსვლას. არას-დროს გილალატიათ იმ რწმენისათვის, იმ იდეალებისათვის, აქამომდე რომ მოიყვანა ქრისტესავით ჯვარცმული ჩვენი ქვეყანა.

ბედისწერამ არაერთი მტკიცნეული დარტყმა მოგაყენათ, არაერთი გამოცდა მოგიწყოთ, რომლებსაც ბიბლიური იობივით გაუძელით, არ წაუჩინეთ, არ გატყდით.

სწორედ თქვენისთანების მხრებზე გადადის ის ჭაპანი, საქართველო რომ ეწევა.

სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს და კოლეგას.

სულ მალე, საუკუნესთან მიახლება მომელოცოს ბერო ქედანო.

ზაალ პოტკოველი

ოქტომბერი, №2, 2022



ՀԱՅՈՒ  
ՀԻԵՐՈՎԱՐԴՅՈՒՆ

6



„ჩემო მეგონდანო, გვერდიგვერდ თანაწეოვორება უკი  
კიდევ არ ნიშნავს, რომ სიღოწლის წყაროს ყველა  
ერთნაირი სულისკავენებით გენაციებით... სხვაგვარად გე-  
ტუვი, გააჩნია, უფლისგან ნამოძები სიღოწლისგან ვინ  
რას გამოილის, ზოგი აშ წყაროს ანბინდავებს, ზოგიც  
ანბინძურებს... ხან სიკეთეა ზემოდან, ხანაც მოროცება...  
მოკლედ, წვალობის წხოვრებაზ და ადამიანის”.

„წხოვრების გზაზ ხან გასწორდება და ხან უფლისკავ-  
ში გადაიჩეხება, არა, მაგონი?”

„ეგრეა!”

መ. ፭፻፲፭

„გვირაბი“ ვანო ჩხილვაძის მორიგი, მეოთხე რომანია.

ნაწარმოები ბოლო ათწლეულების ერთგვარი კარდიოგრამაა, რომელზეც კიდევ ერთხელ იკითხება პერმამენტული კითხვა: შენ ვის მხარესა ხარ, ვის შეუდგები, „პირნათელს“, იგივე ქრისტეს, თუ – ყაჩაღს, ყველა დროში ერთნაირი ხელწერით რომ ძალმომრეობს საზოგადოებაზე, ქვეყანაზე, მსოფლიოზე.

ნაწარმოების კომპიუტორიცა, ხერხემალი – ერთად თავმოყრილ სხვადასხვა ამბის თუ თავგადასავლის მდინარებაზეა დაფუძნებული. პერსონაჟებს ადამიანური ცხოვრების საერთო, ნარმოსახვითი გვირაბი აქვთ გასავლელი. კაცთა მოდგმის თანდაყოლილი „ადამიანური“ ნაკლი და ღირსება აერთიანებთ და სიზიფეს მოთმინებით სატარებელი, ერთნაირი დოკონილობის აქვთ ბეჭტებული.

ვანო ჩხილები ვირტუოზული ოსტატობით ქმნის სერვანტების გენიალური რომანის, ლამის, იდენტურ მხატვრულ-ესთეტიკურ ქსოვილს (ერთადერთი გამონაკლისია – სანჩიო პანსას მაგიერ – ქართული „თომა“), ინკრუსტაციულ, ვირტუალურ რეალობას, რომლის ფონზეც მკაფიოდ იკვეთება საქართველოს დღევანდელი მტკიცნეული პრობლემები.

ამ პრობლემებისადმი ავტორის დამიკუდებულება, „გვირაბს“ ქართულ მწერლობაში უნათესაო მხატ-ვრულ ტილოდ ხდის ჭარუა ამირეჯუბისეული გაგებით.

ახალი რომანი სულ სხვა კუთხით დაგვანახებს მწერლის მრავალფეროვან, მრავალწახნაგოვან შემოქმედებას.

„გვირაპიც“ მისთვის სიზიფეს ტვირთია, ზურგი რომ შეუდგა და მკითხველს განსასჯელად სთავაზობს.

80% ზარნაპი

ମେଲାରୀ

၁၂၁

1.

ონებანი გადავკეტე, ვდეგავარ, როგორც სა-  
მოთხეში ადამი, რომ უცებ ვიღაცამ ჩემ შო-  
რიახლო ჩაახველა. მივიხედე და, რომელიღაც  
საშხაპედან, დაბალი, ჩასუქებული, ნამდვილი  
უხორაზემო სპლიყვი არ გამოიზუბა?!

კონსპირაციის მიზნით ვიტაცე ხელი სადაც საჭიროა, მაგრამ რაღა დროს – რენტგენში ვარ უკვე გატარებული. მაშინვე ტრადიციული „საიდან გამოტყვერი, შე ოჯახეორო!“ – მომადგა ენაზე, მაგრამ გამახსენდა, რომ ტრადიციული ახლა მოდაში აღარაა და ღიპჩამოვარდნილი ტიპისთვის, მართლაც რომ ძალიან ჰეგავდა

სპლიუს, რატომძაც მოვინდომე იმ უცხოელად მომეჩვენებინა თავი, ქართულს ძლიერობ ამზროვნები ხოლმე:

„მისაზროვან ეიჩარ, რატომ აქ... რისთვის“...

ვიფიქრე, დავაბნევ-მეთქი, მაგრამ ჩემი  
კოვზიანად ნაცარში ჩავვარდი, როდესაც  
გამართული ამერიკული ინგლისურით მიპა-  
სუხა: – ეიჩარი არ გახლაგართ, მაგრამ დაახ-  
ლოებით მაინც გამოიცანით, ტრენინგის ჩასა-  
ტარებლად მომინვიეს.

„ვაი შენ, ჩემო თავო!“ – ჩავიბურდლუნე, ამოვიცვი შარვალი და გამოვიძურნე.

მეც ტრენინგზე ვარ, ოლონდ, მსმენელის სტატუსით, კულტურის ხაზით მოვლინებული და ახლა არ გინდა, სპლიუს ცხვირწინ დაუჯდე?

ჯერ საპარიკმახეროს მივაკითხე, თავზე შერჩენილ ორი-ოდე თმის ღერსაც გამოვეთხოვე, მერე იქვე, ბაზრობაზე მზის სათვალე შევიძინე, საკონფერენციო დარბაზში გულდამშვიდებული შევედი და არცთუ თვალში მოსახვედრ ადგილზე მოვკალათ-დი. ლექციაზე შემობრძანებულ-მა ჩემმა საშხაპეს ნაცნობმა საუბარი პირდაპირ გენდერული თანასწორობის აუცილებლობით დაიწყო: – გერმანიაში, დღესდღეობით, ისე წავიდ საქმე, რომ ქალბატონების უმეტესობა მხოლოდ ერთ ბავშვს თუ აჩენს, ისიც ოცდაათი წლის ასაკის შემდგომ პერსპექტივაში.

„შემდგომი პერსპექტივა“ ვერ გავიგე, მაგრამ ეს არ არის არსებითი; მთავარია, ოცდაათ წლამდე რას აკეთებს, საქმროების არჩევაშია, საოჯახო ხელსაქმეს – ქარგვას, წინდების დაკემსვას, სადილის მომზადებას, ოჯახის მოვლას სწავლობს, რომ ჯვრისწერას მომზადებული შეხვდეს, თუ...

— ვერ გამოიცანით, ბატონებო, — სპლიუსმა საფეხქელთან კურდლის თათივით ფუმ-ფულა თითი ისე დაიტრიალა, თითქოს საჭირო ღილაკი მოძებნა, — მანამდე გერმანელი ქალი თავის დამკვიდრებას ცდილობს საზოვადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასე ვთქვათ, ბედსა სცდის, ქვეყნის მართვის ნებისმიერ უბანზე კაცი რომ ჩაანაცვლოს...

მე ხომ ენას ვერ ვაჩერებ:


- მერე, ეგ კარგია?
- რას გულისხმობათ?

— ქვეყნისთვის, ნაციისთვის, კარგია, ქალმა თავის ნამდვილ როლზე, ფუნქციაზე, მონიდებაზე უარი რომ თქვა?

სპლიუსმა მოზომილი, რბილი ნაბიჯებით სკამებს შორის ჩამოიარა და მხარზე ხელი ჩამომადო:

— მე არ მითქვამს კარგია თუ ცუდი, მაგალითი მოვიყვანე, განსჯისათვის... ისე, ემანსი-პაციამ ბევრს აუხილა თვალი, განსაკუთრებით იმათ, ვინც ვერ წარმოიდგენდა, ქალი, მამაკაცის ერთი ნეკნის ნაყოფი თუ ამდენს მიაღწევდა!.. და, საერთოდ, მისტერ ეიჩარ, ეგ სათვალე ზედმეტად მუქი ხომ არ არის და ეკრანზე წარწერების კითხვაში ხელს ხომ არ გიშლით?

- არა, ჩემო ბატონო!
- პირიქით, თავად ბატონი — სააპა-



## 2160 ჩეიკვაძე

ზანოში კიდევ როდის აპირებთ შებრძანებას, რომ იმ საათებში თავი შევიკავო?

სიცილი ამივარდა, კამუფლიაჟმა არ გამიმართლა, „და საერთოდ“, თქვენც მაგარი ყოფილხართ, გენდერული თანასწორობის მხურვალე თემა, უფლის მიერ ქალის შექმნის გადმოცემის ცივი შხაპით რომ გააგრილეთ, – გავუნოდე მარჯვენა, დაკა ხელი-მეთქი.

იმანაც დაჰკრა.

გენდერულ თანასწორობისკენ მონიდების გარეშეც, ისეთი მეფე-ქალები, დედოფლები, ჩინიანი თუ უჩინო ქალბატონები გვყავდნენ, საქვეყნო საქმეებში მამაკაცებს ტოლს რომ არ უდებდნენ. დღესდღეობით კი, მათი შთამომავლების უმეტესობა, ძვირფასმა დროებამ ოჯახებს დედაბოძებით გამოაცალა და ვითომც არაფერი!

„რომელ წელს, რომელ თვეს, რომელ დღეს, რომელ საათზე ჩატყდება კიბე, რომელიც გვეონია ზეცას მივადგით და ზემოთ მივებლოტებით? – ვწერ ფურცელზე და, მცირებაუზის შემდეგ, ვაგრძელებ, – რათა მერე სინანულით ამომხდეს:

— აკი მაფრთხილებდი!

— არ დაგიჯერე და აპა!

„რომ დამეჯერებინა, რა, კიბე მაშინ გაგვიძლებდა?“

„და საერთოდაც“, გულისამრევად გამოვიყურებით, როცა წარსული შეცდომების მუთაქების ქექვას ვიწყებთ და თან, ახალ, უფრო მძიმე შეცდომებქვეშ ვისრისებით...

როდესაც სამალავიდან გამოვყავდით, მაშინაც კი, ჭკუა რომ გვესწავლა, ბებიაქალის დაკვანჭულ თითს მივარტყით ცხვირი, მაგრამ რა გამოვიდა? არც არაფერი, გარდა იმისა, რომ ტკივილისგან ავლნავლდით. მერე, ღუნდულებიც გაგვისილაქეს, რათა გული უფრო მეტად ამოგვჯდომოდა და, ასე და ამგვარად, ჩვენი დაბადება გამოგვეტირა.

ახლა, წლების გამოცდილებით დაზინულები, ახალგაზრდებს მომაბეზრებელი ტონით ვაბოლებთ, ჩვენი შეცდომები არ გვინდა გაიმეოროთო. არადა, ჩვენსას როგორ გაიმეორებენ, როცა ყველას თავისი აქვს სამყოფი და სამყოფზე მეტიც. ანდა დალაგებული, თმადავარცხნილი უშეცდომო ცხოვრება რა ცხოვრებაა, იმ ვითომდა მცდარ ნაბიჯებშიც, რამდენი სიტკბოება და ნუგბარია, ვინ მოთვლის! მე თუ მკითხავთ, სიცოცხლის გემო სწორედ ცოდვებსა და შეცდომებშია!

მითია თუ სინამდვილე, რა მნიშვნელობა





აქვს, ფიროსმანმა იმდენი ფული რომ გაიქნია და ვარდების ზვინი მიართვა საყვარელ ქალს, მაშ შეცდომად ჩავუთვალოთ?! მითუმეტეს, დედაკაცმა რით უპასუხა?.. მაგრამ ესეც ვთქვათ, ნიკალას მიჯნურის უკიდეგანო სისულელე რომ არ ჩავდინა, ფუნჯს კიდევ დაიმორჩილებდა?

გაჰქინია, თუ რამ ებადა, და ხელახლა დაიბადა, უფრო ძვირფასის და შეუფასებელის პატრონი გახდა!

ძველი უბნების ხის კიბეები მაშინვე ფიროსმანს მახსენებე — გენიოსი კიბის ქვეშ!.. ამას რიგითი ობივატელი აიტანდა? ადიოდნენ, ჩადიოდნენ, თავის ფეხთა მტვერს ზედ აყრიდნენ და ვითომც არაფერი, აუტანელს იტანდა.

ნასვამს, ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა რომ სდომოდა, შესაძლოა, ნაცნობებსაც თვალი აერიდებინათ, ხელიც არ მიეშველებინათ!

დღეს, როცა ყველაფერი მზესავით გაკაშაშდა, გაბრწყინდა მხატვრის ვარსკვლავი, ყველაზე „მაღალი“ გვამებიც კი ხელში აყვანილს გადააციმციმებდნენ ქუჩაზე, მაგრამ რაღა დღოს! დღევანდელ სინანულს ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს!..

დააგვიანეთ, ბატონებო, მაშინ უნდა გეფიქრათ, მაშინ... სპლიუვის ლექციაზე ვარ და რეებზე ვფიქრობ!

ჩვენში დარჩეს და, იმ დროს, გენდერული თანასწორობის აგიტაციის ზეწოლა რომ ეწვნია, ხომ შეიძლება, დედას ნიკალა არც გაეჩინა?. ანდა რამდენი გენიოსია მეორე, მესამე, და შემდგომ შვილებად მოვლენილი, იმათი დედებიც, როგორც დღეს მოდაშია, ერთზე რომ შეჩერებულიყვნენ... რა განსაკუთრებული პირობებით ისინი იყვნენ განებივრებულები – ცხოვრობდნენ, შრომობდნენ ტრადიციულ, მრავალსულიან ოჯახებში გამოკეტილები, ქმრების თვალებში შემაცქერლები, ერთგულები, მონა-მორჩილები, ხელსაქმეს გადაყოლილები, პატიოსნები... რა იცოდნენ გენდერული თანასწორობის სიკეთისა.

— ისე მიღიოდნენ იმქვეყნად, რომ, სხვა მამაკაცი, მეუღლის გარდა, მათი ფეხის კოჭის თვალის დამკვრელი არავინ იყო! ახლა ნახეთ, ფაშატი კვიცებივით, გამოწუთხულ შარვლებში ყალყზე რომ შეუყენებიათ თეძოები და თეძოების მიმყოლი მკვრივი დუნდულები. მტკაველიან, ვითომ კაბებში კიდევ, დღევანდელი კოჭიბროლები, „ტლოკებზე“ გაკრულ მბზინავ კაპრონს მიაშარიშურებენ და დივანზე ფეხი-ფეხს როცა გადაიდებენ, თვალისთვის დაფარულს და მიუწვდომელს ალარაფერს გვიტოვებენ.

დედა ვუცხონე და მამა, ასეთებმა ან ერთი რატომ უნდა გააჩინონ? იმ ერთსაც სხვები უზრდიან და საწყალ ბავშვს ველარ გაუგია, ეს

გადაპრანჭული, ნელსაცხებლით შელესილი საფრთხობელა, რომ ეუბნება დედაშენი ვარო, გამზრდელ ძიძაზე მეტად რად უნდა უყვარდეს!

სიყვარული ამაგმა, უძილო ღამეებმა, გულის სითბოს გაცემამ იცის! ამათ კი, ათასგვარ შეკრებებსა და ლანჩჩებზე ნაწოწიალებ, ნამიტინგარ, ემანსიარებულ, პირმოლნიოშებულ ქალებს, იმდენს რომ ენევიან, მარტო ცხვირიდან კი არა, ყველა ნახვრეტიდან ბოლი რომ გამოსდით, რაღა დედობრივი სითბო შერჩენია!

მეორე დილაა, ტრენინგზე ვარ და უკვე ავიჭერი, ავქოთდი, ნერვები დაწყვეტაზე მაქვს.

გუშინწინ წყალბროლას ნაპირზე ბებერი მურყანის ძირში ჩამომჯდარი, წყალში ფეხებს ვალაბლაბებდი და წყლის ლულუნს ვუსმენდი. რა ხანია, მდინარის რიტმული ხმაური აღარ გამიგონია! რუსეთში მდინარეებს სძინავთ, ყოველ შემთხვევაში, რაც მე მინახავს, ამერიკაშიც, მიიმდორებიან ნელა, მძიმედ, უხალისოდ, დროგის ცხენებივით; დაგუბებული ენერგიით გაპიპინებულ, ვეებერთელა კალაპოტებში. ვერც გაიგებ, მოძრაობენ თუ ერთ ადგილზე ტოკავენ.

ჩვენები არა! მოდიან, მოიჩქარიან, თითქოს ქუდზე კაცს უხმესო, მოგრიალებენ მთიდან ბარისკენ.

მოსწავლე ვიყავი, პირველად რომ გამოვცად – რას ნიშნავს მთის მდინარის აკომპანემენტის ქვეშ ძილი – მთიულეთში, ქვეშეთის გადალმა, ხადისხევასა და არაგვის შესაყართან, მთის კალთაზე მიყუჟულ პატარა სოფელში, დასაძინებლად დაწოლილს, თითქოს ბალიშზე კი არა, წყლისპირა სიპ ქვაზე მედო თავი. მდინარეები შხუოდნენ, გუგუნებდნენ, კეჭნაობდნენ, ფარ-ხმალს აულრიალებდნენ, ნაპერნებებს ყრიდა ერთმანეთს დაჯახებული ფოლადი და საბრძოლო სიმღერებში გუგუნებდა მთის მელოდიების უკვდავი მოტივი. ვიდრე შევეჩვეოდი, ორიოდე დამეს გამიჭირდა, თორემ მერე, დედის ნანასავით ჩამესმოდა!

სადლაც ონკანიდან გამოპარული წვეთის ხმა ღამის სიჩუმეში არ დაგაძინებს, ჭკუიდან გადაგიყვანს, გაგაგიუებს და რატომ მთის მდინარის ხმაური არ წენავს ნერვებს?! როგორც არფაზე თითისგულები რბილად გადაატარონ, ოდნავ შეათროთოლონ სიმები, თანდათან მიიღოდა ხოლმე წყლის ხმაური და მეც მივყავდი ძილ-ბურანისკენ.

ახლაც, „ყინწვისის ანგელოზის“ მონახულების შემდეგ (რატომლაც გამახსენდა დაბომბვის დროს ნამსხვრევებად ქცეული და მერე ნაწილ-ნაწილ შეკონინებული „რეიმსის ანგელოზი“), ისევ მდინარესთან ვზივარ და წყლის ხმაურს ვაყურადებ.

მომაგონდა ჩემი სტუდენტობა.





ერთხელ ექსკურსიაზე ვიყავით და კორომში, პატარა მდელოზე სუფრა გავშალეთ. ჯგუფში უფროსკურსელი ბიჭი გვერია, დამწყები პოეტი, მონღლოლივით განზე გაქცეული თვალების ჭრილით და კლდესავით პიტალო მკერდჩადგმული. როცა დათვრა, რაღაცაზე განაწყენებული, ჯერ ყველაზე მაღალ ხეს მოექცა კენწეროზე და ტოტი არ ჩამოუტყდესო, გული გაგვიხეთქა, მერე ჩამოვიდა და სქელ-შუმა, დაკუთხული, ეგრეთ წოდებული მაღენ-კოვის ჭიქა ყველის ნაჭერივით ჩაღეჭა... ვიღაცამ არაყით გაპიპინებული წრუტი მიაწოდა, დააყოლე, შუმამ არ გაწყინოსო. რაკი ეს ჩვენი „ცირკაჩი“ იუმორთან მწყრალად იყო, ის წრუტიც, თავის არყიანად მომპასივით ჩაახრამუნა და ჩვენს სიცილ-ხარხარში ისევ კენწეროს მოექცა. ღამე მარტო თუ დარჩები, ბუა მოვა და გადაგსანსლავსო, – ნამოსვლისას ხვენა-მუ-დარით ჩამოვიყვანეთ.

ნეტავი, ახსოვს წყალპროლას ის შემთხვევა თუ სამუდამოდ ჩაიარეს მაშინდელმა ტალღებ-მა? მოდის მთებიდან აკრეფილი ძალ-ლონით და რიყეზე უძრავად მწოლიარე საუკუნოვან ლოდებს მკერდზე წყალი შხეილით გადასდით. მურყნები, ბუჩქები, ნაპირ-ნაპირ მიხორავებული ნარიყი! გაღმა, ამწვანებულ გემის კიჩისავით გადმოყუდებულ ბეჭზე, უცხო ყვავილი ბუჩქად ამოფეთქებულა – დავითვალე, სულ შვიდი ღერია. ვუყურებთ ერთმანეთს და ვფიქრობ, მე რომ მომწონს, ნეტავი, ყვავილებსაც თუ მოვუდივარ თვალში-მეთქი.

ასეთ დროს შეუძლებელია არ გაგახსენდეს პოეტი და გენერალი:

„საამოა სახილველად ოდეს ვარდი ნინას ეპყრას,

მარა ვინ სცნას, ვინა სუნავს: ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას.“

დაჭენენ ჭავჭავაძეთა წინანდლის ვარ-დებიც, სიტყვა და ლექსი კი დარჩა, ისეთი ცოცხალი და უკვდავი, თუ დაყნოსავ მაშინდელ სურნელს იგრძნობ.

ზურგს უკან, გადახურული ფიცრულის გვერდით, სახელდახელოდ გამოჩირკნილ მაგი-დაზე ქალები სუფრას შლიან; მაღვე მსუბუქმა ნიავმა ჩანავლულ ნაკვერჩხალს მიფიცხებული მწვადის სურნელი მოიტანა.

რომელილაც, პარიზზე მეოცნებე, ქალ-ბატონი თავს იკლავს, ამ ცოტა ხანში, რომ არ წავიდე საფრანგეთში, გავგიუდებიო! არც ჩაცმულობაზე, არც მიხრა-მოხრაზე, არც მე-ტყველებაზე შუაევროპელობა არ ეტყობა და, რა დაკარგა მაინცდამაინც პარიზში, ასე რად ჩაიხვია-მეთქი, მიკვირს. ეტყობა, დანარჩენებს აბოლებს, თორებ მოინატრე რა, ახალგანაყარი ძმები

— მოსკოვი, პეტერბურგი, როსტოვი, ან სულაც ბაქო, ანდა... გაგიუებით ვის გააკვირ-ვებს, ლამის ნახევარი საქართველო ქუჩაში და-დის და თავის თავს ელაპარაკება.

მე არსად ნასვლა არ მინდა, არც ის მწვა-დი, არც ჩაქაფული, არც ვერცხლისფერი, გემ-რიელი ცოცხალი – გულუხვად რომ მოუფენი-ათ ხახალზე... არა-მეთქი, ასე მინდა ვიჯდე და უსმინო მშობლიური წყლის ჩქაფუნს, დღეს, ხვალ, უსასრულოდ, ვიდრე პირში სული მიდ-გას. მინდა, ეს მაცოცხლებული ლამუნი, მონ-ატრებული სიყვარულით შევირგო, მდინარეს ხმაურით რომ მოაქვს.

რატომ აგვიცრუეს გული, ამ ქალბა-ტონივით რატომ გვერდია, რომ სადღაც, სხ-ვაგან უკეთესია, ამას სჯობია?! იმიტომ ხომ არა, რომ გაგვიტყუონ, გადაგვკარგონ და შე-უფასებელ მარგალიტს თავად დაეპატრონონ?

სხვა ქალბატონებსაც ხომ რაღაც უნდა ეთქვათ, ამას თუ პარიზი ენატრება, განა სხ-ვებს ჩაქრობიათ გულ-გვამში ნატვრის ჭია-კონონა!

შენა, ქალო, პარიზი და მე კიდევაო... მეორო... ეგ ხაჭაპური მანდეთ ჩადგი, აქეთ უკვეა... ჰოდა, იმას ვამბობდი, ამერიკაში რო წავედი, თხუთმეტი თუ ოცი კილო, მარტო ყვე-ლი წავიღეო.

— სავაჭროდ მიგქონდა? — ჰეკითხეს.

იქაურ ქართველებთან გამატანეს, აქაურ-მა ნაცნობმა ოჯახებმაო... აქაო, ამერიკაში, არაფრის პრობლემა არა გვაქვს, ყველაფერი თავზე საყრელია, მარტო ჩვენებური ყველი გვენატრებაო.

ჰმ, მარტო ყველი მონატრებიათ! არაფერი მეტი!

გადაუხარშავთ, უნიტაზის წყლით ჩაუ-რეცხავთ გულ-გვამში მოდებული ნოსტალგია. მართლებიც არიან, აბა, აქ სხვა რაღაა მოსან-ატრებელი! ვიდრე საქართველოში ყველი ჯერ კიდევ ამოჰყავთ და ვიღაც ღვთისნიერის ხე-ლით უგზავნიან, ხომ კარგი და მერე აღარც ეს მოენატრებათ!

არა!

იმათ, ამერიკაში მოჩლიხულ შთამომავ-ლებს ხომ – უფრო მეტად არა და არა!

არც ჭინჭრის სუფი, არც შინდისა და ღო-ლოს შეჭამანდი, არც ჩიხბაში (ცხონდეს ლუარსაბის სულ)! – სამშობლოდან კი არა, თავის ეზო-დან ვერ გაადგმევნებდი ფეხს, ვერც ლუ-არსაბს და ვერც იმის „ბიჭების დამზიოკებელ“ დარეჯანს)... ჰომ, ბოზბაში ბატკინის კანჭით... არც მიტოვებული სოფლების, ქალაქების, გამოკეტილი სახლების კერის ანგელოზების კვენესა მიუკაუნებთ სამუდამოდ ჩაკეტილ გუ-





ლის კარზე.

არ მოენატრებათ-მეთქი!

უპატრონო სახლები, წაშლილი სოფლები, დაუმუშავებელი მინდორ-ველი, ატირებული ოჯახის სალოცავები – არვინ და არაფერი.

მარტო ყველი – მარილიანი, უმარილო, სუფრის, სახაჭაპურე, ელარჯად ჩაზელილი, ღომში ჩაფუფქული, თონიდან თუ კეციდან აკრეფილ მჭადთან შესმატყბილებული იმერული, მეგრული, თუშური, ცხვრის, თხისა თუ ძროხის, გუდის მოუხდელი, რომ გაჭრი და ყვითელი ნაჩვერტებიდან ერბო წვეთავს... კავკასიონის, თრიალეთის, იორ-მულანლოს, ელდარის, შირაქის, საქართველოს მთა-ბარის ყუათიან საძოვრებზე ნახალისები ცურების ყოველდღიური ნობათი.

წყალბროლას ნაპირთან მურყანზე აყუდებული, უძლები შვილებისგან მივინყებული, დაცლილ ხეობაში ჩარჩენილი სამშობლოს სადარდელით გულგამოხრული კაცისკენ, ვიღა გამოიხედავს, ვინ იცნობს ანდა ვის მოენატრება!

„დღეს პირველი მარტია,  
უნდა შევქმნა პარტია“...

მუხლზე ხელი გამეტებით დავირტყი, გამოვთხილდი – შემეშინდა, ხომ არ დავუსტვინე-მეთქი.

ისე, რითმის საჭიროებას რა ვუთხარი, თორებ გაგანია აგვისტოში, რა პირველი მარტი ამიტყდა, პარტია რამდენიც გინდა და, რომელ თვეშიც გინდა, მაშინ შექმენი. დაგიშლის ვინმე, რათაო, რა პონტია ამდენი პარტიაო? აბა, ერთი ჩამოგვირასკაზე, საარჩევნოდ „კურთხევა“ რომ მოგცეთ, რა სიკეთე დაგვეცემა თქვენგან მეხივითაო... შექმენი და, თუ ვინმე გააბრიყვე და გამოგყვა, ატარე მიტინგებზე, ნაირნაირ „სოფლის მაშენებელთა“ თავყრილობებზე, მოდურ ტრენინგებზე, ყბედობის კურსებზე, შენი რა მიდის!

აბა, ყველანი ჯიხურებში ხომ არ ჩავდგებით ანდა დასავლეთში გავიქცევით, სამშობლომ რომ არ ჩათვლიმოს, დროშა და საპროტესტო ტრანსპარანტიც ვიღაცამ ხომ უნდა გაშალოს და აფრიალოს!

\* \* \*

ჩქარა, სუფრასთან, მწვადი გაცივდებაო, დაიძახა წყალბროლასპირული „პიკნიკის“ მასპინძელმა და მოლოდინით დალლი, მოშენებული ქართველობა, გადახურულში, სალანჩო მაგიდის გარეშემო მოვქუჩდით. მალე, მოზრდილ ჯამში, ლავაშით შამფურებიდან ჩასვლეპილი, ხახვმოყრილი ღორის მწვადი ჩამოატარეს.

მეც გადავიღე და, როგორც კი კბილი და-

ვადგი, ჩემდა ჭირად, აქ მოსვლამდე, ქალაქის ცენტრში ხეზე გაკრული განცხადება გამახ-სენდა: ღორებისა და ძროხების ხელოვნური განაყოფილება, – ეპიზო ავასენტი კოვზაპა – თავისი ტელეფონით, მობილურით და მისა-მართით, რა თქმა უნდა.

მწვადის ნაჭერი მაშინვე ძალლს ჩავუგდე და თავბედი ვიწყევლე, ყველაფერს მე რატომ უნდა გადავეყარო, ეს ამაზრზენი განცხადება რამ წამაკითხა-მეთქი.

ეჭვსაც დიდი თვალები აქვს, თორემ მწვა-დი, მაინცდამაინც, კოვზაძის მიერ ხელოვნუ-რად განაყოფიერებული ღორის ხორცის რატომ უნდა ყოფილიყო, მთელი სუფრა რომ შეესია და თავმოგდგმული ჯამი უცებ ძირზე დაიყვანეს!

შენ შეგერა კრიჭა, ბატონო ავქსენტი – თეფზე დარჩენილი ორი ნაჭერიც მალულად მაგიდის ქვეშ შემომძვრალ ფინიას ჩავუგდე და ვითომ ქონიანი ტუჩებიც ხელსახოცით მოვიწ-მიდე. საქონლის ექიმო, შენ რა გითხარი, რას მერჩიდი, კაი ხნით რატომ შემაძულე მწვადიცა და მწვადის სახსენებელიც... რა უნდა მეღონა, ყველსა და მწვანილს მივადექი, არ გამახსენდა, რომ შეიძლებოდა ყველიც ამ უკულმართი გზით განაყოფიერებული ძროხისა ყოფილიყო.

კიდევ კარგი!

ფინიამ ხორცი წამში გადასანსლა, კმაყ-ოფილი ფეხზე გამეგლასუნა, მადლიერი გა-მომეტყველებით მუხლისთავზე ამეტოტა, ხე-ლის ნებზე „საამბორებლად“ მომეტანა, მაგრამ ომახიანმა თამადამ დაუტატანა, ნუ გვაწუხებო, და მუქარას წიხლიც მიაყოლა. ძალლი მაგიდის ქვემოდან ისე ზანტად გაიზღაზნა, ეტყობოდა, ასეთ „თავაზიანობას“ შეჩვეული იყო.

უჰ, რაკი ეგ გაწუნებული მაწანწალა მოვ-იცილეთო, ერთხმად აღმოხდა სუფრას.

ჩვენგან მოშორებით გაძურნულ მყეფარს თვალი მხოლოდ ჩემზე რჩებოდა, ეგონა, სხვე-ბზე მოწყალე და გულკეთილი ვიყავი.

„ეჸ, ჩემო ცუგა, ტყუილად ფიქრობ, რომ ამათზე უკეთესი ვარ

— მადლობა ექიმ კოვზაძეს მოახსენე, ჭადრის ხეზე, განცხადება საგულდაგულოდ რომ მიუსკოჩავს“.

ფინიამ ჩემი გულში ნათქვამი ვერ გაიგო და, კიდეც გაეგო, არა მგონია, ექიმის გასაცნობად და განცხადების ნასაკითხად გაქცეულიყო.

მალე შეზარხოშებულმა თამადამ, მა-გიდის კუთხეში დახვავებული სასმისებისგან ორი სალუდე კათხა გამოარჩია, გადაავსებინა მერიქიფეს და ერთი ჩემკენ „გამოუშვა“, დამ-დეთ პატივი, სადლეგრძელო, თამადის მერე, თქვენ ბრძანეთო.

კათხა მემიბა, ბოლოკით, ტარხუნითა და წინმატით გაჯერებული გულ-მუცელი, ალბათ,



ძნელად იგუებდა ამდენ ალკოჰოლს.

კიდევ ერთხელ შეეუთვალე ლოცვა-კურთხევა ჩემს გამვეგეტარიანებელს.

\* \* \*

ეკრანზე გამოსახული დიაგრამის წინ მოსაუბრე სპლიენდის თავზემოთ, თითქოს სივრცე გაიხსნა, გადატრუსული ველის ბოლოში ამორავებული წერტილები თანდათან მოახლოვდნენ და მალე არცთუ ძნელად ამოსაცნობ ცხენოსნად და ვიროსნად იქცნენ. დიაგრამისკენ შებრუნებულ მომხსენებელს მათი ხილვისას, მეგონა, განცვიფრებისგან ენა ჩაუვარდებოდა, მაგრამ ნირიც არ შეუცვალია, ჩვეულ ტონალობაში განაგრძობდა ლექციას. არც უკანასკნელ წლებში მრავალგზის დატრენინგებულ სემინარისტებს გაკვირვებიათ ორი საქვეყნოდ ცნობილი მხედრის მოულოდნელი გამოჩენა. მაშინაც არ შეშფოთებულა ვინმე, როდესაც ლექტორმა, საჩვენებელი ჯოხის წვერი მჭლე, თვიზიერ ბედაურს წაატაკა და ლამის თვალი ამოუგდო.

მივხვდი, მე და დანარჩენები ეკრანზე სხვადასხვა რამეს ვხედავდით.

ეს ჯაგლაგზე ამხედრებულმა შუბოსანმაც დამიდასტურა, როდესაც უნაგირზე შებრუნდა და როგორც მსახურს ეკადრება, იმ მანძილზე ადვინებულ საჭურველმტვირთველს მიმართა:

„ჩემო მეგობარო, გვერდიგვერდ თანაცხოვრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სიცოცხლის წყაროს ყველა ერთნაირი სულისკვეთებით ვენაფებით... სხვაგვარად გეტყვი, გააჩნია, უფლისგან ნაბოძები სიცოცხლისგან ვინ რას გამოელის, ზოგი ამ წყაროს ანგინდავებს, ზოგიც აბინძურებს... ხან სიკეთეა ზემოდან, ხანაც ბოროტება... მოკლედ, წვალობს ცხოვრებაც და ადამიანიც“.

„ცხოვრების გზაც ხან გასწორდება და ხან უფსკრულში გადაიჩეხება, არა, ბატონო?“

„ეგრეა!“

„რაც უნდა მოხდეს, მირჩევნია, როგორც ახლა, ჩემს სახედარზე სულ ზემოდან შემომჯდარი ვიყო!“


„ეგ ვის არ უნდა, მაგრამ ცხოვრება დედაკაცი არ არის, ზოგჯერ ქვეშაც ამოგიდებს!“

„ეჲ, ჩემო ბატონო, დღევანდელმა დედაკაცებმაც ისეთი „ამოდება“ ისწავლეს, რომ თავს არ აგანევინებენ, თუ ზემოდან მოგექცნენ“. „ჩემი მიჯნური ეგეთებს არ მიათვალო!“

„ჯერ ამოგიდოთ და მერე ვნახოთ, როგორი იჭირებოთ!“

„ვინ არის ეს ხალხი და რა უნდათ, თომა?!“

„მებაჟეები, ბატონო!.. ვითომ თავაზიანად გვთხოვენ, ჩამოქვეითდითო, რაც სინამდვილეში ჩამოთრევას უნდა ნიშნავდეს!“



11

#### მხატვარი სოფიო ჭელიძე

„რატომ, რა დავუშავეთ... არა, მაინც რა გვნებავსო?“

„მებაჟეებს ნებავთ ის, რასაც ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ, ორი თითის ერთმანეთზე ცმაცუნით მიანიშნებდნენ ხოლმე“. „სულს იქით არაფერი გაგვაჩნია და, რა უნდა მივცეთ?!“

„ნატურითაც იღებენ, ბატონო!.. თუკი გამოადგებათ, არაფერზე იტყვიან უარს“. „როგორ, ამ ჩვენს მშობლიურ მხარეში, კანონი აღარ კანონობს, რომ იჩივლო და სამართლი გააჩინო?!!“

„განა, საიდანაც მოვდივართ, იქ სამართლიანობის ბაღარი ყვაოდა?!.. ჩივილს არც აქ გიშლის ვინმე, ოლონბ სულს როცა ამოგაძრობენ, მერე რამდენიც გინდა! გვაჩქარებენ, ვერ ხედავთ, რამდენი ხალხი გვიცდისო!“

„ნუთუ ბესტაეთიც ასე გაირყვნა?!“

„რომ არ გარყვნილიყო, არც გარყვნილი მებაჟე ეყოლებოდა“. „ერთი ეგ ფინიკიური ღვთაება ამოახედე!.. აი, ეგ მარჯვნივ რომ დგას და ყველაზე მეტად იბლვირება“. „ესა? გაუჭირდება, ეგრე აქვს კისერი ჩაპროგრამებული... მაღლა რომ იხედებოდნენ, რაღა გვიშავს – ან თავისი თვალების სიმაღლეზე იყურებიან, ან მინას დასცერიან, საზღვარზე ფეხი რომ არ გადაგვიცდეს“. „მამ, შევცდი, ჩემი მიჯნური ამქვეყნიურ



სამოთხეში რომ მეგულებოდა?“

„მგონი, ეგრე უნდა იყოს, ბატონი!“

„კეთილშობილ რაინდს გაქსუებული მება-  
უე წინ როგორ გადაუდგებოდა, თუ არ უნდოდა,  
ნაპატიებ დუნდულებში შუბის წვერი ეგემნა!“

„უკეთესის მოლოდინმა გაგვაბრიყვა,  
როცა საროჭიკოდ აღვიძიარით... ისე აღარ არის,  
როგორც საგმირო რომანებშია!.. დრო შეიცვა-  
ლა, ერთი სვეგამნარებული პრინცისა არ იყოს,  
მხოლოდ დანიაში კი არა, იმის აქეთ-იქითაც,  
ყველაფერი ერთნაირად ანუ გვარიანად ყარს!“

„დაუუშვათ, ჩვენ გავგიუდით, მაშ, ამდენი  
ხალხი რაღად მისწყდომიან გადაგვარებული  
ბესტაეთის მისადგომებს?“

„თქვენმა გულუბრყვილობამ ხომ სისხლი  
გამიშრო!.. ბატონი, აკი გითხარით, ის დრო  
აღარ არის, თითო-ოროლა, თითებზე ჩამო-  
სათვლები რომ უსტვენდნენ, გიუდებოდ-  
ნენ, ახლა კოლექტიურად გადადიან ჭკუაზე  
სოფლები, ქალაქები, მხარეები და, თქვენ ნარ-  
მოიდგინეთ, ქვეყნებიც კი“. „

„მებაჟები ვირისა და ულაყის უკანა-  
ლებთან რაღას ჩირთიფირთობები?“

„ეძებენ, ნარკოტიკი ან აკრძალული „ხილი“  
ხომ არ გადაგაქვთო!“

„სამოთხის დახურვის შემდეგ, სადღაა  
აკრძალული ხილი, გადაშენდა, რადგან აღარა-  
ვის სჭირდება – სათავეში თუ აცდუნეს და აამ-  
დვრიეს, აქეთ რა სუფთა წყალი ჩამოივლის? ნარკოტიკის კიდევ უკანალმი რა უნდა, მესმის,  
ჩლიქებზე ამოკრული ან სახედრის ყურებში  
ეძებონ“. „

„ჯერჯერობით რა გვიშავს, მერე ნახეთ  
ჩვენი საჯდომების შემონმება თუ დააპირეს...  
აგე, რას ამბობენ, ყველაფერი უნდა გავამ-  
ჭვირვალოთო!“

„ხუმრობ? ადამის მოდგმის სულს რა გაამ-  
ჭვირვალებს!“

„ამათი მეთოდები რომ იცოდეთ, მაგას არ  
ბრძანებდით!..“

„ეგ შევგვრემანზე აღმატებული ქალბა-  
ტონი ვინ ბრძანდება, რა სურს და რატომ შე-  
მოგვტრიალებს?“

„ჩვენგან რა უნდა, ვერ გეტყვით, მაგრამ,  
ამბობს, ნარმომავლობით და მოწოდებით ლეს-  
ბოსელი კერპების თაყვანის მცემელი და მიმ-  
დევარი ვარო... მგონი, არ უნდა ტყუოდეს, მა-  
გის პატიოვანი დეკოლტედან ამოფრქვეული,  
ნარბენი მონლოლური ცხენის ოფლის სურნელ-  
იც ადასტურებს!“

„არის და არც მალაგს?“

„აბა რას ბრძანებთ, ყურადღების მის-  
აქცევად, ლამის აჯეჯილებულ ბოქვენსაც  
აღარ იფარავენ და“. „

„ურცხვობა ამაზე შორს ვეღარ წავა!“

„წავა!“

„კრიჭაში ნუ ჩამიდგები!“

„წავა-მეთქი!.. მაშინაც ასე ამბობდით, ტო-  
ლედოელმა მეფუნდუკემ, შემთვრალ კლიენტს,  
ოქროს სამაჯური რომ ანაპნა.“

„მერე ხომ მიიღო ჩემგან საკადრისი!“

„მიიღო, მაგრამ ამით კაცობრიობას ეშვე-  
ლა? უარესს უნდა ველოდოთ, ვიდრე ეშმაკე-  
ბით გაძეგილებს ხელახლა კოლტების უკა-  
ნალში არ შეგვლალავენ“. „

„ნუთუ სახენათელი ჩვენ სახსნელად  
ერთხელ კიდევ არ გამოჩნდება?“

„მერე, გეგულებათ დღევანდელ იორდა-  
ნები, მისი მომლოდინე ნათლისმცემელი?..  
სახენათელი ვიღას სჭირდება, ფულზე ლოც-  
ულობენ, ფული ღმერთია; საითკენაც უნდა  
გაიხედო, დანეცვლილი ვერცხლი ჩხრიალებს“. „

„თუ დაწყევლილია, ჯიბუები რატომ გაქვს  
დაფხავებული მაგის ძებნაში?“

„არ დამიფხავდებოდნენ, გუბერნატორო-  
ბისას ჩემი ვირის სამყოფი ჭკუა მაინც რომ  
მქონოდა!“

„ნანობ?“

„ზოგჯერ მზად ვარ ეს ხორკლიანი წევბლა  
თუ სახრე, სახედარს კი არა, მე გადავიწნა და  
ცხრაპირი ტყავი ავიძორო!“

„მართლა შევიშლები! უფალო, მინახავს  
და გამიგია, ადამიანი ჩადენილი ცოდვები-  
სათვის შენდობას ითხოვდეს, მაგრამ პატიო-  
სან საქციელს ინანიებდეს... მაშ, ამ მებაჟებს  
რაღაზე კიცხავ?“

„ვკიცხავ იმიტომ, რომ უფრო უარესად არ  
იქცევიან!.. ნახეთ როგორ შემოგვყურებენ –  
როგორც სამუზეუმო ექსპონატებს... არ გაგიკ-  
ვირდეთ, თქვენი აღჭურვილობა ჯართად რომ  
ჩაიბარონ, ჩვენ კიდევ მუზეუმის სიძველეთა  
საწყობში გვიკრან თავი, იქ, სადაც ბალზამირე-  
ბული მუმიები განისვენებენ“. „

„ღმერთო, დიდებულო!“

„ტყუილად გაქვთ იმის იმედი... გამჩენიც  
იმათექნ არის, ვისაც ბანები და ჯიბები რაღაც  
უჭყავის!.. ჩვენთვის კი, როგორც იტყოდა სა-  
ბრალო ლირი, აღვირასხსილი შვილების ვირი:

„მოკვდა, მოკვდა, ის აღარ არის!“

„ის თუ აღარ არის, მაშინ აღარც მე ვყო-  
ფილვარ!“

„მერედა, ვინ გითხრათ, რომ ხართ! თქვენ,  
როგორც ყველა მცნების შეძლებისდაგვარად,  
პატიოსნად აღმსრულებული, კარგა ხანია, კონ-  
გრესის სასახლის შპილზე დაკონწიალებთ!“

„სასახლეს შპილი არა აქვს“. „

„თქვენი არ მიკვირს?! კაცობრიობას  
ლმერთი ნაართვეს და პატიოსანი იდალგოს  
დაჩამიჩებულ უკანალს რომ გაუძლოს, შესაფ-  
ერის შპილს ვერ დაუყენებდნენ!“





„განა საქმე მხოლოდ ფიზიკურ სიმძიმე-შია? ალბათ, რაღაც სხვაზე, უფრო მნიშვნელოვანზე იყარეს ჯავრი, რაღაც სხვა ჩამოახრჩეს, თორემ ერთ მოხეტიალე რაინდს მაგდენ პატივს არ მიაგებდნენ... ეგ იგივეა, ღამით, უცხო სახლში შეპარულმა ქურდმა ოთაში მოპარ-პალე ერთადერთი სანთელი ჩააქროს!“

„მადლობა, უფალო, როგორც იქნა, გათქვარა გაყამირებული ტვინის ლაბირინთები ჭეშმარიტებამ!“

„ესენი ვიღა ბრძანდებიან, უთავო, რეინა-ბეტონის უძეგლო კვარცხლბეკებს რომ ჰგვანანა?“

„ჰგვანან კი არა, ეგენი არიან. აქაურობის დაცვაა და თავები საერთოდ არ სჭირდებათ... თუ მაინცდამაინც მდგომარეობამ მოითხოვა, პატრონებს რომ ანუყობთ, ისეთ დროებით თავებს ან ძეგლებს შემოდგამენ... მოკლუდ, ესენი ისინი არიან, ვინც არ უნდა იყვნენ“. „ჩუმად, თომა, არა მგონია, შენი არცთუ უწყინარი კალამბურები გაგვიგონ, მაგრამ, თუ გაგვიგეს, მით უარესი! – შეიძლება ჯარიმაც მოგვიხიონ“. „ჯარიმა, იცოცხლე, ძალიან უყვართ, ჯარიმაზე გაფიქრებაც კი ისე ათრთოლებთ, როგორც ახლა, ჩემს ახურებულ სახედარს ჭავზე შეხტომის სურვილი... აგე, იმ უკანალზე ხელებდანყობილ მოლარეს კიდევ სხვა მოვალეობა აკისრია – ენას გამოგიყოფს და საბაჟოს ძელზებელთან ნასყიდობის, ქვითრის ან ჯარიმის ფურცელს წამში მოგიხევს“. „მერე, ერთი ენა ამდენ ხალხს როგორ უნდა ამყოფინონ?“

„ენა შაქარი ხომ არ არის, რომ დადნეს, დაიღიოს... მოკლედ, როგორც ვერონის პრინცი იტყოდა... ძაღლის სხენებაზეო, ხედავთ? თვითონაც აქ არის, ეტყობა, ძესტაეთს დიპლომა-ტიური მისით სტუმრობს“. „საწყალი, უნუგეშოდ შეყვარებული ბავშვები, ალბათ, უკვე დამარხაა“. „რომ ეჩქარათ და მიჯნურები გადარჩენილიყვნენ, ეგებ დღეს სამყარო ცოტათი მაინც უკეთესი ყოფილიყო... რა იყო, ბატონო, რა გემართებათ?“

„კისერზე ატყავებული კანი მეწვის“. „შპილიდან ჩამოხსნისას ყელში წაჭერილ თოკს სენატორმა დანის პირი როცა გამოჰკრა, ეტყობა, მაშინ აგეფცევნათ“. „ესე იგი, შენ მემონმები, რომ კარგა ხანია, აღარა ვარ!.. მაშ, ესენი, არარსებულს, საბაჟოს როგორ მთხოვენ?!“

„ახლა ეგრეა, კრიზისია ძესტაეთშიც და გადასახადის ქვითრები მიცვალებულებსაც მისდით... იცის გაქნილმა ხელისუფლებამ, ყველაზე გაჭირვებული ჭირისუფალიც

კი, რა ვიცით, ეგებ, იქაც დასჭირდესო, გარდაცვლილს ხელის ჭუჭყს მაინც რომ ატანს“. „მერე, მიცვალებულისგან როგორ უნდა ამოიღონ?“

„საგადასახადოს ეგ შეეშლება?“

„მართლა მძინებია და ამ წუთისოფლის ვერაფერი გამიგია!.. იკითხა ტაძრად შესულმა, როცა მიიხედ-მოიხედა, ვინ მსახურებდნენ და ვის მსახურებდნენ... განა არ იცით, ტაძარი ვისია და ვინ ეპატრონებაო... მას შემდეგ, რაც სახენათელს ზეციურ საბრძანებელში უხმო მამალმერთმა, ტაძრებში მავანნი ხელახლა ისე ღრმად ჩაინერგნენ, ფეხს ეშმაკიც ვერ მოაცვლევინებთ“. „ადამიანებს ეშმაკის უფრო ეშინიათ, ვიდრე ღმერთის?“

„რა თქმა უნდა, ეშმაკი სულ ჩვენ გვერდით არის, ხელისუფლად, მოსამართლედ, ადგოყატად, ფინაგენტად, მებაჟედ, ზოგჯერ თანამეცხედრედ, ათასი ჯურის ჯანდაბად და დოზანად განსხეულებული და, უფალი – შორს... აბა, დაითვალე რამდენი ბოროტი ხელი მოსისინებს საბრძალო პატიოსნების მოსახრჩოდა“. „ღმერთო, გვიშველე, წარმოდგენაც კი თავზარს დაგცემს!.. ბატონო, ხედავთ, როგორ უცებ შეისმინა, უფალი ეშმაკზე შორს სულაც არ ყოფილა – ვინ არის ეს ქალბატონი, ქვისგულა მებაჟების დერეფანში რომ გამოგვატარა და ძესტაეთის საზღვარზე გადმოგვიყვანა?“

„მადლობა რომ ვუთხარი და ულაყიდან ხელზე საამბორებლად გადმოვიხარე, ქალის არათითზე სწორედ ის ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი მეცნო, საიდუმლო საქმეთა მდივანმა რომ უბოძა, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობის მიწოდებისთვის“. „ნამდვილად ის ქალბატონია, ხორცით ანგელოზი და სულით მეძავი?“

„უეჭველად! თუმცა გვარიანად შემჭნარა, როგორც ჩამოუკრეფავად დარჩენილი ყურძნის კლერტი-ჩამიჩი, მაგრამ თვალებში რომ ჩავხედე, ისევ ისეთი შინი და ვნება ამოთუხთუხებდა, მგონი, წარბ-წამნამი ამეტრუსა... მოვლილი და ნაპატივი ქალბატონისთვის სამასი-ოთხასი წელი, ან უფრო იმაზე მეტიც, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდებენია, არაფერია... იცი, ვინც ბრძანდებოდა ჯაშუშობის, ტრფიალისა და მიჯნურობის ნაირ-ნაირ ხლართებში გაბმული ეს დედაკაცი? აბა, გეტყვი და გაოცებისგან ძირს არ მოადინო ბრაგვანი – ფრანკთა საიდუმლო სამსახურისაგან პატივდებული, უწყინარი ანდალუზიელი პასტორის მეექვსე ქალიშვილი, მთელ ესპანეთში პატივცემული სახელმწიფო მრჩევლის, ახლა უკვე ბებერი, მაგრამ გავლენიანი დონ ხორხეს მამულში შემოთესლე-





ბული, იმ დონ ხორხესი, რომლის ხმალი, ჯანი და გონება, სამშობლოს ერთგულ სამსახურში ჩამოილია! ჰოდა, რაკი თავისი გასაღენი გაღუნა, სანაცვლოდ, უზრუნველი ცხოვრებისთვის მოსავალიც გვარიანად მიითვალა და მიხრნილობის წლებს თავის საყვარელ მამულში ატარებდა; როგორც ძველ, თავაშვებულ არშიყს, თუმცა აქტიური „საბრძოლო“ ოპერაციებისთვის წყობიდან გამოსული, დადამბლავლებული „ორგანო“ მხარს ვეღარ უბამდა (შენ და შენს სახედარს ჭავების საძიებლად რომ დაგაფუზარავებთ ხოლმე), მხოლოდ თვალის სამებლად, ეს მომხიბლავი ქალბატონი დაუსვეს; თანაც, მის ნამდვილ, საიდუმლო მისიაზე რამე რომ არ ეგუმანა, შიმუნვარების სამყოფში, სასახლის ქვედა პალატაში განამწესეს, ვითარც მდაბიო ფოლორცელს ეკადრებოდა!“

„ფოლორცელს?“

„დიახ, დანარჩენი დებისგან განსხვავებით, რომლებმაც მამის ლოცვა-კურთხევით, ამქვეყნიური სიამენი, მონაზვნის მძიმე და გაუხარელი ცხოვრების სანაცვლოდ დათმეს, ამან მეჯინიბე ბიჭთან ჯერ კიდევ ცამეტი წლისამ შესცოდა!.. მას შემდეგ აპლაკული ფეხები ძირს აღარ დაუწევია... მოკლედ, თუკი გარყვნილებას კვარცხლბეკს დაუდგამდნენ, ზედ უსათუოდ ამ ქალბატონს შემოასკუპებდნენ. ასეთი გახლდათ, მაგრამ, როდესაც კდემამოსილის როლს თამაშობდა, ფრთიან ანგელოზსაც მოწინებით თავს დაახრევინებდა.“

„მიკვირს, ასე რომ გაუმწარებიხართ და პასტე-პასტეებით გულუხვად ამკობთ... თქვენთან მაინც რა შესცოდა ასეთი?“

„სწორედ რომ შესცოდა...“

„ააა, ყველაფერი გასაგებია!“

„არაფერიც არ არის გასაგები!“

„გამოტყდით, ბატონო, უარყოფით გაბოროტებული გულის ჯავრს იყრით!“

„ცდები-მეთქი, მეგობარო. იმ ხანებში, როდესაც ბედისწერამ პირველად მისი ხილვის იღბალი მიბოძა, ისეთ ასაქში არ გახლდით, არათუ ენით აუწერელი, თვალთმაქცი მშვენება, ნებისმიერი დედაკაცი, შეუხედაობის გამო რომ დამეწუნებინა, მაგრამ... მოდი აქ შევჩერდეთ, მაშინდელი ჩემი მდგომარეობის გახსენებაზე, ასე მგონია, დუღლინება ტობოს ასულს და მის უმანკუობას ვდალატობ... მხოლოდ დავამატებ – ვიხილე თუ არა, სისხლმა ისე ძალუმად შემომჩერება, მაშინვე ნარმოვთქვი უკვდავი სტრიქონები, ჩემი ბიოგრაფიის მეტ-ნაკლებად კეთილსინდისიერმა მკვლევარმა, დონ მიგელ მეორემ, თავის არც-თუ მოსაწყენად საკითხავ თხზულებაში რომ შეიტანა, მაგრამ მკითხველს ლექსის ნამდვილი ავტორი დაუმალა. ალბათ, ფრანგთა საიდუ-

ლო სამსახურის რიდით თუ შიშით, არ გაამხილა ნამდვილი ადრესატიც, ანუ ეს ქალბატონი და ფუნდუკში, კორხეიდორთან მოღლაბუცე მენელსაცხებლე გოგოსკენ სტყორცნა ჩემი გულისთქმის ისარი... ქალბატონმა კი, დონ ხორხეს თანამეინახე დიდგვაროვნების წყალობით, ვერსალის სამოთხის ბალისკენ მიმავალი, ზეობის საეჭვო ლაბირინთებიც ყოჩალად გაიკვლია, თუმცა მთლად ხელმწიფის ფავორიტთა კოკორში ვერ გაიფურჩქნა, მხოლოდ იმიტომ, რომ რჩეული სეფექალები, რომლებიც მირონცხებულის გვერდით ფლეშს არიგებდნენ, არანაკლებად „თავშენახული“ მარკიზები გახლდნენ და ესპანეთში გამნესებულ ჯაშუ კონკურენტს, იოლად ახლოს არ გაიკარებდნენ; უფრო სწორად, ევროპის ჭიპის პირველ ვიოლინოსთან არ მიუვებდნენ... კონკურენტი ვის უყვარს, ვარდისფერ, ჰაეროვან წვივსაფარებს თავადაც ცხვირინი უფრიალებდნენ, კორიდის ხარივით ამძუვნებულ გვირგვინოსანს... ასეა, თომა, ზოგი მოვგნონს, ზოგს მოვნონვართ, მაგრამ ჩვენი გული სამუდამოდ ერთ აუხდენელ საოცნებოს ეკუთვნის!.. რამდენი უქონელი დარდობდა, რატომ დანიის პრინცის აკვანში არა ვენევარო, სიღარიბის ჯლიბები ხომ ვერ მომინელებდნენო, მაგრამ ნახე ირონია ბედისხერისა, იმ ღატაკამა თუ მეჯღანემ პრინცზე რამდენით მეტი წუთისოფლის ჯამი გამონაფა, ჰამლეტის თავის ქალა კიდევ“...

„ის მეჯღანე მე ვარ?“

„შენ ამბობ, მე ხომ არა!.. ნაინანატრი პრინცის თავისექალა კიდევ უსახელო სასაფლაოზე ლპება-მეთქი!“

„სასაფლაო ვინ აღირსა, კრემაცია უყვეს და გოლფსტრიმს ჩრდილოეთისკენ გაატანეს!“

„რატომ ჩრდილოეთისკენ, სამხრეთმა რა დააშავა?“

„გოლფსტრიმი იაბო არ არის, პირველი ჩვენება შეცვალოს და, თუნდაც უბედური პრინცის გულისთვის, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გაჭენება ინებოს!“

„მომაკვდინებელი ლოგიკაა, მაგრამ ეგ არია, ვგონებ, სხვა ოპერიდან უნდა იყოს“. „რა მნიშვნელობა აქვს, ავტორი ხომ ორივეს ერთი ჰყავს?“

„კაცობრიობაც ერთმა ავტორმა, უფალმა ღმერთმა შექმნა, მაგრამ მენამული და თეთრი არ განსხვავდებიან ისე ერთმანეთისგან, როგორც ადამიანები... ოჳ, რა შორს ნავედით!“

„არა, სჯობს, ისევ პირველ სიტყვაზე მოვიდეთ – როგორც დავასკვენი, თქვენსა და ამ ქალბატონს მორის, შავი კატასავით, სწორედ ედმუნდ ბუკინგამელის ფასდაუდებელმა ბეჭედმა გაირბინა და, ის უარყოფა დღემდე ვერ მოგინელებიათ!“



„ეგ დეტალი, ჩემი გაუმართლებელი პირველი გრძნობისა, საიდანლა იცი! ნუთუ ამ ულირსმა დედაკაცმა შენთანაც კი დაიმდაბლა თავი, სანოლში გამოგიტყდა, როცა ჰეტაფეს გარეუბნებში, მაგ ოჩანის წინაპრის ზურგზე აკიდულ ზეთისხილის ნახშირის ტომრებს დაატარებდი?“

„არა, ჩემმა მზემ, ვფიცავ ნახშირის გამონვაში დაფორაჯებულ ხელებსა და მაჯებს, რომლებიც თავის ნამდვილ, დედის მუცლიდან დაყოლილ ფერზე მხოლოდ ნიშნობის ღამეს მქონდა, რომ გუმანმა მიკარნახა, როდესაც წელან საამბორებლად დაიხარეთ და ქალბატონის არათითზე წამოცმული ბეჭდის ხილვაზე ფერმა გადაგრათ“.

„გამაოგნებელი ხილვაა, შენი პირით გაცხადებული... ეტყობა, ეგ ქონით გაფისული ფატრის ქუდი მაინც გაარღვია ზეციდან გადმოღვრილმა ზეშთაგონებამ და ჯაგარმი გახვეული თავის თხემიც გაიარა“.

„მაშ, ყველაფერი ეგრე მოხდა? ხომ გამოტყდით, ბატონი!“

„მეტი რა გზა მაქს! რომ შემეძლოს, არათუ ხელის, ფეხის თითებსაც კი მოვკავევადი!.. მაშინ ახალგაზრდული მჭრე პატიოსნების მეტი არაფერი მებადა და ეს მოლალატე ისეთი უმწიკვლიო მეგონა... ჭაბუკებს იოლად აცდუნებენ, ადვილად შეასალებენ ხოლმე „ყალბოქროს“ ამ დედაკაცის მოდგმისანი... მხოლოდ გამოცდილი ხვადები ხვდებიან – რამდენ დინგშია გამოტარებულ – განუწნული „კარამელი“... ასე რომ, პატიოსნების კამუფლაჟით მხოლოდ გამოუცდელ, ნადირობაში ჯერ გაუჩვეველთ თუ აცდუნებენ... ეს ქალბატონიც, მეგონა, ყვავილსაც კი იშვიათად ყნოსავდა, ნაზად მფშინავი ნესტოები რომ არ შეემფოთებინა, სინამდვილეში ვინ მოთვლის თავისი საძრახისი, უძველესი პროფესიის წყალობით, საჯაშუშო დავალებათა აღსასრულებლად, რამდენ ამაქვეყნის ძლიერთა მიერ იყო ბილიკის ბალახივით გათელილი; სწორედ ეს ძლიერნი, ქვეყნის ერთგულებისთვის ფიცდადებულნი, მისი ლაჯების ვნებიან მორევში ჩაძირულები, ძვირფას ცნობებს ეგრე იოლად ანიავებდნენ, როგორც სიმდიდრეს – ბანქოს აზარტული მოთამაშენი“. „ანიავებენ სამშობლოს „სადიდებლად!“... ოჳ, გესმის, უანა? უანა, შენირულო ქალნულო, „რეიმსის ანგელოზის“ სიახლოეს როდემდე უნდა აჭიხვინო ყალყზე შემდგარი ცხენი!..“

„აზრი დამიკარგე, თომა, საიდან სად ისკუპე... ამ მცხუნვარე მზეს ყალუზები არ უნდა ჰქონდეს, ხანდახან მაინც რომ ჩამოვუშვათ და გადახურებულ თავის სარქველებს შვება მოვცეოთ?!“

„აბა, რას ბრძანებთ! უალუზები რომ

ჰქონდეს, მზეს ვიღა დაგვანახებდა“...

„კი, კი, მეხბორე-მეჯოგეებისთვის ნამდვილად ვერ გაიმეტებდნენ!“

„არც გუდამშიერ იდალგოებს უწყალობებდნენ! ეჲ, ჩემონ ბატონო, ნარმოდგენაც არა გაქვთ ჩვენი პირველად სანანნალოდ გზას შედგომის შემდეგ, რომ გეგონათ სამართლიანობას დაამკვიდრებდით, ვაგლახ, უფრო მეტად ნახდა ადამიანიც და ჩვენი ჯორ-ცხენის ნაფლოქვარი მიწაც!“

„ვიცი, თომა, ვიცი, დედამინას გათახსირების ალმური ასდის!.. პლანეტთაგან ვენერაზე გარყვნილი არცერთია, რადგან დედამინასთან ყველაზე ახლოსაა, ამის გამოა, ჩემს სადარდებელს რამდენიმე ჯორ-აქლემიც რომ ვერ ზიდავს“.

„მერე რატომ და როდემდე, ბატონო! ადამიანები, კეთილშებილურ საქმეთა აღსარულებლად აღძრულები, ყველაფერს, მთელ ხაბაკ-ხუბაკს თან კი არ მიათრევენ, რაც არ სჭირდებათ, შინ ტოვებენ... თქვენ თქვენი სატანჯველიასე რამდენ ხანს უნდა ატაროთ, ნავი სიმძიმისგან რომ იძირება, რაღაცებს შეელევიან, წყალში ყრიან, თავად რომ გადარჩნენ – ხომ შეიძლება, ზოგჯერ გზიდან გადავუხვიოთ და ხიფათს მშვიდობიანად შემოვუაროთ?“

„ამდენი ხანია მიცნობ და, ნუთუ ვეღარ გაიგე, გადახვევა არ შემიძლია, როცა სამართალს უსამართლობა აჩმორებს?!“

„თუ ისეთი კედელია, რომლის გასარღვევადაც მაკედონელის ფალანგაც უძლურია, ხოლო თქვენ ჯიუტი ანდალუზიელი მეცხვარის ცოლის წინდისჩხირივით დაბლაგვებული შუბის წვერით მიეტევებით, გამოვა რამე?“

„არ გამოვა და მაშინ შუბლით“...

„თუ შუბლს ჭკუა ზურგს არ უმაგრებს“...

„გმირობა და თავგანწირვაც სწორედ ის არის, ყველაფერი ფრთხილ და მშიმარა ჭკუას არ დავეკითხოთ!“

„იმიტომაც გაგვჟეპავდნენ ხოლმე დღეში ორჯერ თუ არა, დღეგამოშვებით მაინც... თუ გახსოვთ, ბატონო, „კომბლების ველზე“ რომ გაგიგდეს და გადაგიარეს, რამდენ ხანს იტანჯეთ ცოცხალ-მკვდარმა?.. კიდევ მე რომ არ მეყოჩალა, არ შემეშვირა ფერდები მუშტების სეტყვისთვის, თქვენი დღემდე მიუწვდომელი გულის რჩეული, ტობოს ასული, კაი ხნის ჩამჯდარი იქნებოდა მძიმე ძაძებსა და უფრო მძიმე მწუხარებაში“.

„მართალს ამბობ? აქამდე არ გადამიღლოვებდა, არ დამივიწყებდა?“

„რას ბრძანებთ, ბატონო! არათუ გულისსნორს, თქვენი დავიწყება რომ შეეძლოს ვინმე კაცთაგანს, განა ლამანჩელ რაინდზე შექმნილ ნიგნებს ძეგლს დაუდგამდნენ?“





„თან ჭრი და თან კერავ!.. აბა, სიჯიუტეზე ანუ სიკერპეზე, შუბლთან დაკავშირებით რას ბრძანებდი?“

„ხეირი არ მოაქვს-მეთქი... ჩემმა ყურპან-ტურამაც კი იცის, თუ ძალიან გაჯიუტდება, ფერდებში როგორ რიკიან სახრეს მიიღებს!“

„გამეტებით?“

„თქვენი მოწონებული გამეტებით!“

„რაში გენალვლება მაგის ფერდები!“

„სიჯიუტე ვირის თვისებაა, ზოგი ადამიანისაც... ამიტომ ისეთი ჩარპუზანას დავატრიალებ და ერთს ტაშხოშიანად გადავკრავ ხოლმე..“

„მეუღლეს?“

„დედაკაცს რომ ერთი გადაშეუილება ათვინიერებდეს, მაგასაც ვიზამდი... ზოგჯერ მუშტები ამექავება, ისე თხოულობს ნეკნების დალილავებას, მაგრამ ხელის შემობრუნება იცის“. „და მაინც უყვარს და შესტრფის მამაკაცთა მოდგმა დაუძინებელ, სამოთხიდან ადევნებულ მტანჯველს!“

„გინდათ თქვათ, რომ უფალმა ქალით იყარა ჯავრი კაცზე?.. უყვარსო, ბრძანეთ, მგონი, უფრო ეშინია... სოფელში ლოთი მეთვეზე მეზობელი მყავდა. დაუნდობელმა თანამეცხევა-დრემ, მძინარეს, ყურში მარილი ჩაყარა... წისქვილის ხვიმირასავით ყურები ჰქონდა და ლამის მთელი ჯამი მოაპირევავა“. „აფსუს, ჩვენს უმარილო სამშობლოს კიდევ მარილის გაფუქსავატება უნდოდა?!“

„დედაკაცი, სისასტიკესთან ერთად, ცინიკოსიც გახლდათ“. „ცინიზმის ცინოზი ისეთი დაავადებაა, რომელიც ძირითადად ცეცხლზეშემოდგმული, მდუღარე ქვაბის ძირზე ჩნდება, ანუ ნახარშის დუმილად ილექება, მაშინ, როცა ზემოთ ბეჭის მსუყე, გემრიელი ნაჭრები თიმთიმებენ“. „დამაბინეთ, ბატონო, მაგ თქვენი შუბის ნევრივით, თქვენი მსჯელობა, მიზანს ასცდა, თანაც, მსუყე ლურთების ხენებამ ჩემი ისე-დაც მოწყენილი სტომაქი კიდევ უფრო დაამნუხრა“. „მაპატიე, თუ მეც საღერლელი ამეშალა და მოგონებათა სილომეებისკენ გარდავიჭერი“. „მოგონებების რა გითხრათ და კუჭის აშლას, ზოგჯერ, შვება მოაქვს... ზოგჯერ კი, შიმშილის სისასტიკის შეგრძება... კუჭი მთელ გულ-გვამზე ბატონობს და, როცა ჭკუის ნაკლებობას განიცდიან, რჩევას მას ეკითხებიან... და, რაკი სტომაქი გაიხადეს მბრძანებლად, ახლა სიმართლის თქმას ხუმარებიც კი ვერ უბედავენ მრისხანე მბრძანებელს“. „ვერც ბესტაეთში?“

„ბესტაეთი რა, წითელი კოჭია? უფრო უარესადაც“. „მაშ, სამყაროს ზნეობას დედაბოძი გამოსცლია!.. ნუთუ ერთ დროს მიწიერ სამოთხეს აღარაფერი ეშველება, ეგრე უნუგეშოა?“

„მანამდე არაფერი გეტკინოთ!.. თუ არ გინდა გეტკინოს, ნულარ დალევ მეტ ღვინოს!.. ეჲ, იყოს და ეგრე ჩავახივლო და ჩავალილინ გამოგვალულ ხორხში, მგონი, დაბლიდან ეშმაკები ამომძახოდნენ, გეყოფა, ნუ ჩაგვახრჩო!“

„შენ კუჭმუავაში ეშმაკებს რა უნდათ?“

„აბა, ნალველაში ხომ არ გაიმნარებენ სიცოცხლეს!.. მართალია, დღესდღეობით საკვები ნაკლებად აქვთ, მაგრამ ჰაერი, თავისუფლება და სანავარდო სივრცე – ოხრად!.. ჩემი ფაშვი ისეთი მგრძნობიარეა, შიმშილს მაშინვე იგებს, თორმებ ძლიმას

— ვერა... ბიძაშვილი მყავს, შესჩვეოდა ჩემს ორლიტრიან თხას, მისდგებოდა თურმე ეს პირფლაშია და ერთიანად გამოღეჭავდა... ნავასნარი, მაგრამ პირდაპირ, მაშინვე არ დავუნთე ფერდებში, ჯერ მივაძახე, რას სჩადი, თავი ქვას ხომ არ მიარტყო-მეთქი... ჰო, მივარტყიო!.. თანაც, იმ გაიძვერამ, გზისპირზე ჩამოგორებულ ლოდზე მიმანიშნა და რაღა უნდა მექნა, ნიხლით რომ შევდგომოდი, იმის ამორნყეული რძე რაღად მინდოდა, შეიძლება პირდაღებულ, მშეერ ქოფაკებსაც არ აელოეათ!.. თქვენ როგორ მოიქცეოდით?“

„ეგ სერიოზული საკითხია და დაფიქრება უნდა“. „იმდენად სერიოზული, რომ სერიოზულ-საც ვერ დაარქმევ!.. თქვენი წყალობით ნაბოძებ გუბერნატორობისას ბაზარი მოვინახულე და ერთ ხანდაზმულ დედაკაცს შევევაჭრე, რაღირს თქვენი შემოუსვლელი (ვითომ, მაზანდა და რომ დაეკლო) კახამბალი-მეთქი... დედაკაცმა ამხედ-დამხედა, აათვალიერ-ჩაათვალიერა ჩემი ძვირფასი მოსასხამი და მითხრა, თუ ჩემი გაჭირვების მიხედვით მოვრიგდებით — ათი, ხოლო თუ თქვენი აღკაზმულობით — ხუთჯერ ხუთიო... სამოსს ხშირად შევუყვანივართ შეცდომაში-მეთქი... რა ვქნა, ბატონო, თვალებმა როგორც შეგაფასეს, საფასურიც იმდენი მოგახსენეთო, გამომიტყდა დედაკაცი... ვინ იცის, ასე რამდენ თვალს ვატყუებდი... დამამშვენეს ძვირფასი მოსასხამით, მომცეს კვერთხი, ოქროსბუნიკიანი, მაგრამ ხომ იცოდნენ, იმათაც და მეც, შიგნიდან მკენარების დაფხავებული, სილატაკის ჯვალო რომ მეცვა?.. როცა მოვარაყებულ, წინამორბედი გუბერნატორის, ცხონებული დონ დიეგოს ნაქონ სარქეში ვიხედებოდი, ჩემი თვალები თვალს ვერ მისწორებდნენ — მიუცხვეს, შენ და ძვირფასი ტოგა ერთმანეთთან რა შუაში ხართო!.. ვერ გავუგეთ ერთმანეთს, ვერ შევიფერე პატივი, ძილშიც კი თავთავისთვის გამოსმული



ნამგლის შეუიღლი ჩამესმოდა“.

„იმ დიეგომ ხომ შეიფერა, თავის დროზე, გუბერნატორობა?“

„შეიფერა და მერე როგორ!“

„ზოგი სარფიანად გადაცვლის ხოლმე თავის გუდამშეკრობას გუდასიმაძლრებზე. . .“

„მართალია, ჩემო ბატონი, მაგრამ ჩვენ ხომ ამჟამიერ პატიოსან გულზე და თვალებზე ვპასობთ?.. თუმცა ეს გული და თვალები, სტომაქი მითუმეტეს, უარს არ იტყოდნენ ცხვრის მსუყე ბულიონში ჩაზელილ ბრინჯზე“. . .“

„ბუასილიანებს ცხვრის ბულიონი არ ეჭმევათ“. . .“

„შიმშილი მომიღებს ბოლოს თუ ბუასილი, რა მნიშვნელობა აქვს!“

„ზემოთ პატიოსან გულსა და თვალებზე ბრძანებდი, არა? მერედა, ვის უნდოდა ასეთი გუბერნატორი? განა არ იცოდნენ, რა სიკეთესაც მოუტანდათ ეგ შენი საამაყო პატიოსნება?! რამდენ ქურდბაცაცას, მპარავს, მძარცველს, ქვემძრომს დაუმოკლებდა ხელებს?.. ეგ შენი ვირიც პატიოსანი და ერთგულია, მაგრამ ჯოხი თუ არ გადაპყარი, ეკლიანი ტოტით გვერდები თუ არ „მოფხანე“, შენებურად“...“

„როდის და როგორ მიხვდით მაგეებს, ბატონო?“

„გვიან, ჩემო თომა, გვიან... ყველა, ვისაც კი რაღაც მოვალეობა მაინც აკისრია, სინდისთან კი არა, ცდილობს ქალალდთან, ფურცელთან იყოს მართალი, ფარატინა ნაგლეჯთან, რომელსაც უმსგავსი კაცის ხელში გავლის, უფრო სწორად გაუპატიურების, შემდეგ არც სინდისი და არც ნამუსიალარგააჩნია... რასაც ჩავძახებთ, იმასვე ამოგვძახებს... რამდენი სისხლარღვი გამოვწრუბეთ, ვიღას ეხსომება! ბეჭედდასმული ფურცელი უკანასკნელ დვთისმგმობელსაც გაამართლებს!.. ხომ კარგად იცი, რომ იბატონო, ქვეყანას ქვეყანა, მოდგმას მოდგმა, ადამიანს ადამიანი უნდა შეაძულო!.. მეტი რა ვნახეთ და რა გამოვცადეთ, ჩემო თომა!.. ყველაფერს, როგორიც უნდოდათ, ისეთი გასაღები მოარგეს... ერთი რამ დარჩათ თავსატეს და პასუხ-გაუცემელ გამოცანად... არა, ტოლობის ნიშანი კი მაშინვე დასვეს, როდესაც წიგნიდან ჩვენი ამბები შეიტყვეს, მაგრამ დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ, გიუებად მოგვნათლონ თუ – ქვიოანებად“. . .“

„ხან ისე და ხან ასე!“

„როდესაც უადგილოდ მაჩერებ, ისეთი რამე მაინც ამოთქვი, ჩემი სიტყვის შენყვეტად

რომ დირდეს!“

„მინდოდა მელიარებინა, ახლა გიუივით სულაც არ ლაპარაკობთ-მეთქი!“

„გემლება, როგორც ერთ დროს, ახლაც ასე მხოლოდ გიუები ლაპარაკობენ, ქვიანები კი დუმან!.. ხანდახან მაინც უნდა დაყენდე, რადგან მაინც ვერ დაადგენ, ბუზი, რომელიც პირთან მიტანილ, მოხარშულ კვერცხისგულს დაასკუპდა, მანამდე სად, რაზე და რატომ იჯდა!“

„ასე თუ ვიფიქრეთ, ოდესლაც, ყველანი სადღაც, რაღაცაზე ვისხედით!.. მერე, ავფრინ-დით და... დედამინაც კვერცხისგულია – ხელახლა დასაჯდომ ადგილს ვეძებთ!“

„მაოცებ, ჩემო მეგობარო!.. მეშინია, ვათუ თუ, ორივე გამოუსწორებელ ქვიანებად დავრჩეთ!“

\* \* \*

ეკრანზე გამოსახულ დიაგრამაზე საჩვენებელი ჯოხის წვერი მიცოცავს.

— შეხედეთ, მეგობრებო, ჩემს ოთხსულიან ოჯახში შემოსავლის ძირითადი შემომტანი ვინ არის? – დასვა კითხვა სპლიუვმა და, რომ არ დაგვესწრო, მაშინვე სხარტად უპასუხა: – მე!.. ეს შემოსავალი ოჯახის ოთხ წევრზე ნანილება, მისი ნახევარზე მეტი მიაქვთ შვილებს... ოჰ, ეს შეილები (ჩაეღიძა თავის კანტურით), მეუღლეზე და, რაც მორჩება, თქვენს მონა-მორჩილს, ანუ მე მიბრუნდება...“

ერთხელ, როდესაც გაბრაზებულმა შევძახე, სამი ადამიანი მასხედხართ აი, ამ კისერზე-მეთქი, – ვითომ ისე ვერ გაიგებდნენ კისერი რა იყო, ზედ გამეტებით დავიტყაპუნე გაშლილი ხელისგული, – მეუღლემ მითხრა, ჩემს შრომას რატომ არაფრად არ თვლი, აბა, დაიანგარიშე, დღედაღამ გარჯით, რამხელა ეკონომიას ანუ შელავათს ვაძლევ ოჯახსო.

მეც დავჯექი და დავიანგარიშე.

გამოირკვა, სხვას თავი დავანებოთ, მარტო საჭმლისთვის – სადილ-ვახშამი რომ არ მოემზადებინა და კაფეში გვევლო, ან შეილების აღზრდა ძიძებისთვის გადაელოცა, ყველაზე მიზერული გამოთვლით, ჩემი გასამმაგებული შემოსავალიც არ იკმარებდა!

ასე რომ, ჩემო კარგებო და ძალიან ძვირფასებო...“

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**





აკაპი  
პიძინაშვილი

תְּלִימָדָה וְעַמְּדָה

ქოლა-მეგორნებთან  
 მოვიარე მშობელი მხარე,  
 სადაც კომერციი  
 ქართულ მიწას მშვენებით ოთავენ.  
 სადაც არაგვი  
 ემიტუნება თერგზა და ოიობს,  
 სადაც კარისყვალავნი  
 აქტარენ ზორალა თვალებს...

## အုပ္ပန် စိတ်ဝင်ဆွဲလေ

## ერთი ანგანი

ეს მადლი ერგო კოლხესა და იბერს,  
ერთად ხარობდნენ კარგი ამბავით.  
ამერს და იმერს, იმერს და ამერს  
ყოველთვის ჰქონდათ ერთი ანბანი.  
ერთად გრძოლდნენ სიტყვას და წვიმებს,  
ერთი – სათიბი, ერთი – საბარი,  
ერთად ააგეს ბეთლემის მღვიმე,  
ტანზე ეფარათ ერთი საბანი.  
ამერს და იმერს, იმერს და ამერს,  
უფლის დალოცვილს, უფლის განბანილს,  
გადუტანიათ ომები მძიმე,  
არა ყოფილან, არა, ჯაბანნი!  
ერთად ამბობდნენ ქვევრთან მოძახილს,  
ოქროს ადნობდნენ, რკინას ღუნავდნენ,  
ერთ დიდ დარბაზში ჰქონდათ ოჯახი,  
შთამომავალზე ერთად ზრუნავდნენ.  
არა ყოფილან სხვისი მონები,  
ხორბალით სავსე ჰქონდათ ამბარი,  
ყოველთვის იყვნენ ერთი გონების,  
მეპატრონენი ერთი მთა-ბარის.  
სულ მმობა სურდათ ფარნავაზს, ქუჯის,  
დრო მათი აზრის ისარით მომბს  
და დღესაც, თუკი რაიმე უჭირთ,  
ერთმანეთისათვის ზრუნავენ მხოლოდ.  
ეს მადლი ერგო კოლხესა და იბერს,  
ერთად ხარობდნენ კარგი ამბავით.  
ამერს და იმერს, იმერს და ამერს  
ყოველთვის ჰქონდათ ერთი ანბანი.

სან კი – შმაგი რიონი...  
სან შოთა ვარ, სან – აკაკი,  
სან კი – გალაქტიონი...  
მწვერვალები გადმივლია,  
სან ტკივილით, სან ლხინით,  
სან ვაჟა ვარ, სან – ილია,  
სან – დავითის მახვილი...  
მთებს და ველებს ვულიმივარ,  
მშობელი ვარ ქარიშხლის....  
სან დიდგორის ქუხილი ვარ,  
სან – წუხილი კრნანისის!

၃၄၂

ოდესმე მივალ ნეტავი  
სადაც სამყაროს თაღია.  
სადაც მზე მზეობს ნეტარი,  
თავის მაღლი არ დაღლია...  
სადაც შეკრული ტივია,  
წყალს სიყვარული ადულებს...  
სადაც მღერიან, ტირიან,  
მაგრამ მტერი არ აწუხებთ...  
სადაც ძმა ძმის კვალს არა შლის,  
მის გატეხილ გულს ამთელებს...  
სადაც კელაპტარს ტაძარში  
სამშობლოსათვის ანთებინ!


ՏՇ ՏԵՇՈՆՑ!

hsf

ხან მზეს ვგავარ ამომავალს,  
ხან ციხე ვარ სურამის...  
ამირანის შთამომავალს  
შემედრება ნურავინ!

არ გნატრობ იჯაასს კარებმიკეტილს,  
სადაც ტირიან დევგმირის ცხედარს...  
მე წინათგრძნობა მიხმობს სიკეთის,  
გამთლიანებულ საშობლოს ვებდავ!  
ვებდავ ყმაწვილებს ჯან-ღონით ავსილ  
და ვისმერ კისკისს ლამაზ ასულთა,

დიდება უფალს, რომ ტყედება ნავსი  
და წინაპართა ნატვრა ასრულდა...  
მე სიყვარულის სიმღერას ვისმენ,  
ქართულ მინაზე ნათქვამი მითის...  
არ აერიოს ეს გზები ვისმე,  
უკვდავებისკენ რომელიც მიდის!



ერთ დროს ვიყავი ლომი და  
მეც ვანათებდი ვით მზე...  
გავდივარ ტრფობის ომიდან,  
გულდანყვეტილი გიმზერ.

## ვნახე საწყისი

ტოლ-მეგობრებთან  
მოვიარე მშობელი მხარე,  
სადაც ღმერთები  
ქართულ მინას მშვენებით რთავენ.  
სადაც არაგვი  
ემიჯნება თერგსა და რიონს,  
სადაც გარსკელავნი  
აცეცებენ ბრიალა თვალებს...  
სადაც ამირანს  
გაუვლია ასიათასვერ...  
სადაც აიეტს  
ააცალეს ოქროს საწმისი,  
კავკასიონის  
ბრძენი შუბლი ფეხით გადავჭერ,  
ადამიანთა  
წარმოშობის ენახე საწყისი.

## აკაპი პიძინაშვილი

### მთაზე ვარდები

მთაზე ვარდები მოჩანს ხომლებად,  
სისხლი გუგუნებს ისე, რომ მნებავს,  
მოქეხს ნიავი, სურნელით სავსე,  
იქნებ ეს არის ნაღდი ცხოვრება?!  
ჩამოშლილი აქვთ მნათობებს თმები...

მთებს შეუსხია არწივის ფრთები.  
წვეთიც არა ჩანს თასში ღვინისა,  
ვეგავარ, გიყურებ და ვატყობ ვთვრები...  
წყაროსთან მოჩანს ავსილი სურა,  
ბედნიერების მორევში ვცურავ,  
ჭადარს ადვიძებს შენი სიცილი,  
ფიქრი მიაფრენს ჭალაში ქურანს...  
არა, სიკვდილი არ არის არსად,  
ეს ერთი წამი ვიწამე ასად...  
ბედნიერება შენთან ყოფნაა,  
უკვდავებაა, უყურებ რასაც!

## ნეტავ...

ნეტავ აქამდე სად იყავ,  
ანგელოზი ხარ სრული.  
ასე მგონია, ხატი ხარ,  
ფრესკიდან გადმოსული...  
ვაგლახ, სიმღერას ვამთავრებ,  
ვჩრდილავ უმანკო იას...  
ფეხადგმულ ამურს გადარებ,  
შენმა მშვენებამ მძლია.

## ვერა

ვარ მუხლმოყრილი და ვფიქრობ შენზე,  
მგონია, მაინც ბედი მიწყრება,  
ვეცადე, მაგრამ ვერაფრით შევძელ  
შენი მშვენების გადავიწყება.  
ვინ იცის, ახლა აკეთებ შენ რას,  
მარადისობის ცეცხლით მოცულო,  
აფროდიტესგან მოითხოვ შველას  
და ჩემნაირად შენცა ლოცულობ.



## ლანა მანველი

20



საქართველოს კულტურული გარემონდა სიყვარული...

— შეუწინობი და იღუძმალი გრძელება სიყვარული... ან უცხოულეად, ქართველი ამოგარდული, სუნთქვეს შეგიკრავს და ზოლომძე ფაგიპირობს ან ნელა-ნელა, სათუთად დაივანებს სულში და დაგატკობს ან სულარგვერდით ჩაგვილის ნაურალური გრძელება გასხვავით და უფლებურად, უსახურად შერჩება წარსულის კიდეს... მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფასანის ფასასოულის თან ახლავს, დანალენა-სიკვდილის შეგვასად, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ, სიყვარული მაინჯ არ ქრება, თუნდარ ერთად ალარყოფნის შემთხვევაში... ასეთი გრძელება, სულის უკაფავების თანაზიარია...

ლანა მანველი

*Il est où le bonheur*

### სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 ნელი,  
„ოლე“ №1 2022 ნელი

„Je t'aime“

მებანიმ სულმოუთქმელად აირბინა კიბები. ასვლისას ორ-ორ საფეხურს ერთ-დროულად ახტებოდა. ძალიან მოსწონდა ასე. ჩასვლითაც ამგვარად ჩადიოდა. ვიდრე ჩანთიდან გასაღებს ამოიღებდა, სახელური მოსინჯა. კარი ლია დახვდა. ფრთხილად შეხსნა. უცნაური სიჩუმე შემოეგება. ჩანთით ხელში მოიარა ოთახები. დედას საბანი თავზე წაეფარებინა და ეძინა. თავის და ლუის საერთო ოთახში შევიდა და მოულოდნელობისაგან გაშეშდა. საწერი მაგიდის მისი კუთვნილი უჯრა გამოხსნილი, ხოლო ელიასის მიერ გამოგზავნილი წერილები მაგიდაზე მიმოფანტული დახვდა. ჯერ შეამცირნა, მერე წამოახურა. ერთხანს ასე გახევებული იდგა. მერე თითქოს გონის მოეგო, აკანკალებული ხელებით სწრაფად მოაგროვა წერილები, თუმცა თავის ადგილზე აღარ დაუბრუნებია. არ დაუმალავს. ან კი რაღა ჰქონდა დასამალი?!

სულგაძარცვული და გამოფიტული გრძელება თავს. დედის ჩხუბისაც ეშინოდა და ლუის მწარე ენისაც. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. სახლში გაჩერება გაუჭირდა, ამიტომ უჩუმრად გამოაღო კარი და ფრე-

დოსათან გავიდა.

ფრედო სამზარეულოში იყო და ჭურჭელს რეცხავდა. შენუხებული მელანის დანახვაზე ხელები სწრაფად შეიმშრალა და მის მოსასმენად მოემზადა.

კოლმარელ ბიჭებს არ ვიცნობ, მაგრამ თუ გინდა გავიკითხავ, დაველაპარაკებიო.

მაშინ მელანიმ ყველაფერი სულ თავიდან, დაწვრილებით მოუყვა. აუხსნა თუ რამდენად ძვირფასი იყო მისთვის ელიასი.

ფრედომ პურის ნაჭრები გახუხა და ზედ ლოტარინგიული ქლიავის ჯემი გადაუსვა. მელანის ხასიათი ცოტათი გამოუკეთდა.

ბოლოს, მაინც გულისკანკალით დაბრუნდა სახლში. შარლოტას სათვალეები გაეკეთებინა, ლოყა მარჯვენა ხელისგულზე დაეყრდნო და გაბრაზებული სახით ტელევიზორს უყურებდა. მელანი ოთახის კართან შეჩერდა და წყნარად თქვა: — დედა...

შარლოტამ ვითომტც ვერ გაიგო, ეკრანისთვის მზერა არ მოუცილებია. გულნატკენი მელანი უკან გაბრუნდა.

ლუი სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და ბაბინიანი მაგნიტოფონის გაწყვეტილენტებს აწებებდა. დის დანახვაზე საქმეს თავი მიანება და დაცინვით უთხრა:

— Je t'aime ma Cherie\*, მაგ ვიღაცას მართლა რომ უყვარდე, მაგ სიტყვებს განაბრჭყალებში დაგინერდა?!

\* მიყვარხარ ჩემო ძვირფას! (თარგმანი ფრანგულიდან).

მელანი შეცბა. ჯერ ცხვირთან იგრძნო სიმწარე, მერე კი ცრემლებით დაებინდა მზერა.

იმ საღამოს, ელიასის გამოგზავნილი ყველა წერილი დახია.



## ლანა მახვილი

ბლეიზი, ანეტის მიერ საგულდაგულოდ დალაგებულ საწოლზე ზემოდანვე, ჩაცმული იწვა და ათას რამეზე ოცნებობდა. თვალებმილულულს, მკლავები თავქვეშ ამოედო, ფეხები კი ერთმანეთზე გადაეჯვარედინებინა.

დასი ერთ კვირაში სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ მარსელში მიემზავრებოდა თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. ეს ამბავი მას ძალიან აპენიერებდა. მსახიობობაც უზომოდ უყვარდა და მოგზაურობაც. უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ დააფიქსირებდა ყველაფერს ფირზე. სტრასბურგში დაბრუნების და დამონტაჟების შემდეგ კი თანამშრომლებს სახლში მოიწვევდა და იმ ახალ ეკრანზე აყურებინებდა, რომელიც თავისმა ძველმა მეგობარმა ეტიენ გავერიომ გასულ კვირას გამოუგზავნა პარიზიდან.

- ან იქნებ, ფესტივალის დამთავრების შემდეგ, რეჟისორს დავეთხოვო და სენ-ტროპეში დავრჩეო რამდენიმე დღით. ლაუვარდოვანი სანაპიროს წარმოდგენაზე ურუანტელმა დაუარა, იქვე დადებულ სიგარეტის კოლოფს გადასწვდა და კოხტად ამოაძრინა ერთი ღერი.

სიამოვნებით დაარტყა ნაფაზი და პირიდან გამოშვებულ რგოლებს მზერა გააყოლა. უეცრად თვალში მოძველებული ხის ჭერი მოხვდა. შენიშვნა, რომ კედლებსაც შელესვა ესაჭიროებოდა. ისიც გაახსენდა, იმ დღეს პასკალი რომ წუხდა, – ფანჯრის დარაბები ალარ იკეტებაო ზოგან!..

ბლეიზს ხასიათი გაუფუჭდა, სიგარეტი ჩააქრო და ბუზღუნით წამოდგა.

ანეტი ეზოში, ყვავილებთან ახლოს დამჯდარიყო და მოდის უურნალ „Femmes d'aujourd'hui“\*-ის ძველ ნიმრებს ათვალიერებდა. გრძელი, შეთხელებული ჭაღარა თმა შუაზე გაეყო და კეფაზე დაეხვია.

\* „ქალები დღეს“ – მოდის, კულინარიის, დეკორაციის და ა.შ. უურნალი ქალებისთვის, რომელიც ბელგიაში გამოდის ფრანგულ ენაზე (სუტ. შენიშვნა).

შვილის დანახვაზე წამოიწია, – რამე ხომ არ გინდაო? – შეეკითხა. ბლეიზმა მოგრძო თითებით თმა შუბლიდან კეფისკენ გადაიწია და პასუხის სანაცვლოდ ღრმად ამოიოხრა.

ღობის იქით, იტალიელი მეზობლის, ქრისტიან პიანეტის გერმანულმა ნაგაზმა „პრადამ“ დაიყეფა.

ბლეიზმა ფიცრებს შორის ხელი გაყო და ძალს დაცემეტილ ყურებზე მოეფერა. პრადა გაიქცა. მან კი კიდევ ერთხელ ამოიოხრა, თვალები

დახუჭა და სევდიანი სახე მზეს მიუშვირა.

ანეტმა უურნალებს თავი მიანება და მზის გულზე გახევებულ ბლეიზს გასძახა:

– იქნებ, მონახო ვინმე, უშვილოდ აპირებ გადაგებას?!

ბლეიზმა მზეს სახე მოარიდა, ანეტისკენ გაიხედა, შუბლზე ხელი მიიდო და არტისტულად წამოიძახა: ეჲ, დედაჩემო, დედაჩემო!.. თქვენ იქნებ ის მითხრათ, დღეს სადილად რა გვაქვს?

ამჯერად უკვე ანეტმა ამოიოხრა და უურნალები წამოკრიფა.

\* \* \*

– ალბათ, რთულია ბოლომდე შეიყვარო ვინმე თუ ოდნავ მაინც შემორჩენილი გაქვს ძველი სიყვარულის სენტიმენტები...

– შეუცნობი და იდუმალი გრძნობაა სიყვარული... ან უცაბედად, ქარიშხალივით ამოვარდება, სუნთქვას შეგიკრავს და ბოლომდე დაგიპყრობს ან ნელა-ნელა, სათუთად დაივანებს სულში და დაგატკბობს ან სულაც, გვერდით ჩაგივლის ნაუცბადევი გრძნობის გახარჯვით და უდღეურად, უსახურად შერჩება წარსულის კიდეს... მიუხედავად იმისა, რომ ყველა დასაწყისს დასასრულიც თან ახლავს, დაბადება-სიკვდილის მსგავსად, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ, სიყვარული მაინც არ ქრება, თუნდაც ერთად აღარყოფნის შემთხვევაშიც... ასეთი გრძნობა, სულის უკვდავების თანაზიარია...

## ელზასში

შარლოტა ლუ-ში, ელზასელმა რეჟისორმა ივ ბოეპნლენმა მიიწვია. ადრე, მათ პარიზში ერთად იმუშავეს ჩეხოვის „ალუბლის ბალზე“, სადაც მან რანევსკაიას





ქალიშვილი ანა ითამაშა.

ივს ამჯერად, სტრასბურგის ეროვნულ თეატრში უნდოდა, იგივე პიესის დადგმა.

დასის მსახიობები არაერთგვაროვნად შეხვდნენ ახალ კოლეგას. ზოგი გულთბილად, ზოგი ფამილარულად, ზოგიც გულგრილად.

ბლეიზი პირადად ივმა გააცნო. სასიამოვნო და თბილი აღმოჩნდა მათი პირველი გასაუბრება. შარლოტა უმაღლ მოიხიბლა მისი ხავერდოვანი ხმის ტემბრით, უშუალობით, სიმპათიური გარეგნობით, არისტოკრატიული მანერებით, კეფისკენ გადავარცხნილი ოდნავ ჭალარაშერეული შავი თმით. ჰო, კიდევ უზომო რიდი გაუჩნდა მის მიმართ, ბლეიზი ხომ ასაკით მასზე საკმაოდ უფროსი იყო.

მეორე დღეს სიხარულით წავიდა თეატრში. რეპეტიციის დაწყებამდე მსახიობები თეატრის უკანა შესასვლელთან, მოგრძო ხის სკამებზე ისხდნენ და ოხუნჯობდნენ. თვალებით ბლეიზი მოძებნა. იქ არ აღმოჩნდა. შარლოტა მათ თბილად მიესალმა და შენობაში შევიდა. სარეპეტიციო დარბაზში ასვლამდე საგრიმიოროში შეიარა. კუთვნილ მაგიდასთან ჩამოჯდა და სარკეში თავისი გამოსახულება შეათვალიერა. 23 წლის შარლოტა ახალ ცხოვრებას არც თუ ისე თავდაჯერებული იწყებდა.

...ბლეიზი დაგვიანებით მოვიდა. ყელი შარფით შეეფუთა, ახველებდა. ივმა მცირედი შესავლის შემდეგ როლები გაანაწილა და სამაგიდო რეპეტიციაც დაიწყეს. შარლოტამ ტექსტი მალევე აღიდგინა. რეჟისორი ამჯერად პიესის გათანამედროვებული ვარიანტის დადგმას აპირებდა, რაც უფრო დამაინტრიგებელი და საინტერესო იყო შარლოტასთვის და ალბათ, სხვებისთვისაც. ღელავდა, მაგრამ ცდილობდა არ შეტყობოდა. ხალხმრავლობას თავიდან ეჩვეოდა.

ივი ჩვეულებისამებრ დიდი შემართებით იძლეოდა მითითებებს და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

შესვენებაზე ყველანი თეატრის კაფე-ტერიაში ჩავიდნენ. შარლოტამ შორიდანვე გაულიმა ბლეიზს. მან კი ვითომც ვერ შენიშნა, ისე გააგრძელა სხვა მსახიობებთან საუბარი. შარლოტას ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. სენდვიჩი და ყავა იყიდა. მარტო ჩამოჯდა, უხერხულად შეჭამა და სასწრაფოდ სარეპეტიციოში დაბრუნდა...

მაიკლ კატალდი, პრემიერის დღეს

გაიცნო. ის ნანსის „Theatre de la Manufacture“-ის ახალგაზრდა მსახიობი იყო. სტრასბურგში, თავის ავსტრალიურ ნაგაზთან – „ლეგოსთან“ ერთად იმყოფებოდა. თეატრის თითქმის ყველა თანამშრომელი მოიხიბლა ლეგოთი. ათასგვარი სასუსნავით უმასპინძლდებოდნენ. შარლოტაც მოეფერა. თამამად გადაუსვა ხელი მის ლია მოყავისფრო-მოთეთრო ზურგს და თავზე აკოცა.

– ძალლები გიყვარს? – მაიკლის ქვემოდან ამოხედა და პასუხის ნაცვლად გაუღიმა...

თეატრიდან ერთად გამოვიდნენ. ქალაქის ძველ უბნებში გასეირნების შემდეგ მდინარე ილთან ახლოს მდებარე კაფეში შევიდნენ. შოკოლადის მუსი და ესპრესო შეუკვეთეს. შარლოტამ ჩვეულებრივი, ხოლო მაიკლომ ორმაგი ესპრესო დალია. ლეგომ ქილებში დარჩენილი შოკოლადის მუსი ენით პირზმინდათ ამოასუფთავა. ორივენი გამხიარულდნენ, ოფიციანტის ჩუმად, მაგიდის ქვემოდან რომ აჭმევდნენ ძალლს.

– გურმანიაო, ჩემი ლეგო, – მაიკლომ მისი თავი ხელებში მოიქცია, ისიც გათამამდა, კალთაში ჩაუხტა, მერე ორივეს სახე აულოკა და მოპირდაპირე მხარეს მჯდარ ხანშიშესულ მამაკაცისკენ თამამად გასწია. კაცი შეცდა.

– არ იქბინება, კეთილი ძალლიაო! – დაამშვიდა მაიკლომ.

– მთავარია არ იეჭვიანოს და მადამს არ უკბინოსო, – მკვირცხლად უპასუხა კაცმა და წინ გადაშლილ გაზეთს მიუბრუნდა. ლეგო ფეხებთან მიუწვა და დრუნჩი მის ფეხსაცმელზე ჩამოდო...

მაიკლომ კვირის ბოლოსთვის შარლოტალოტარინგიაში მიიწვია.

## სტუმრად ლოტარინგიაში

პარასკევს, ასე დღის სამი საათი იქნებოდა ვაგზალზე რომ მივიდა. მატარებლით მგზავრობა ყოველთვის ასევდიანებდა. მისთვის გაცეცევასთან, ვინმესგან წასვლასთან ასოცირდებოდა. რადიოში სერულამა მღეროდა – „D' Aventures en aventures“\*.

შარლოტას ერთხელაც არ დაუსვამს საკუთარი თავისთვის კითხვა, თუ რატომ

\* თავგადასავლებიდან თავგადასავლებამდე. (თარგმანი ფრანგულიდან).

მიდიოდა მაიკლოსთან, მასთან რას ეძებდა? ახალი ურთიერთობის დასაწყებად განა საკმარისი იყო ის სენტიმენტები, რაც მცირე ხნიანი ნაცნობობის შედეგად წარმოშვა მათ შორის?

ან იქნება, სურდა, ბოლომდე წაეშალა ყველანაირი კვალი სულზეც და სხეულზეც, რაც კი უან-ბატისტისგან შემორჩენოდა?..

მაიკლო სადგურში ჯერ არ მოსულიყო. ხალხის ტალღამ შენობის გარეთ გაიტაცა. როგორც კი შეძლო და მათ მოცილდა, სადგურის წინ ბეტონის ჩამოსაჯდომზე ჩამოჯდა და მოპირდაპირე მხარეს მდებარე შენობები შეათვალიერა, „Praktica“-ს მარკის ფოტოაპარატით რამდენიმე კადრის გადაღებაც მოასწრო.

დიდხანს არ დალოდებია. ერთმანეთი ორჯერ გადაკოცნეს. ლეგომ მაშინვე იცნო და მხიარულად აათამაშა ფუმფულა, მოგრძო კუდი. გულით მოეფერა.

სახლში მისვლამდე „Auchan“\*-ში შეიარეს. ძალით მანქანაში დატოვეს. მაიკლომ ეზოში შარლოტას ხელი ჩაკიდა, რომელიც შესვლისთანავე წყნარად გაუშვა.

ბაგეტი, მანდარინი, ბანანი, ქათმის ორი მოზრდილი ბარკალი, ყველი, იოღურთი, სალათის ფურცლები და ორცხობილა იყიდეს. ჰო, კიდევ ლეგოსთვის შედარებით დაბალი ხარისხის ხორცი. უფრო მაიკლო დადიოდა, შარლოტა მარკეტის ურიკასთან იდგა და თამაშგარეთ დარჩენილივით შორიდან ადევნებდა თვალს მის მოძრაობებს. სულ ბოლოს მაიკლომ მოლარესთან გრძელი დიალოგი რომ გააბა ფასდაკლებაში მყოფ დანების კომპლექტზე, პირველად მაშინ გაიფიქრა: – ნეტავ, აქ რა მომარბენინებდაო...

ქალაქის გარეუბანში, ახლად აშენებული ხუთსართულიანი სახლის მეორე სართულზე ავიდნენ. შარლოტამ სტრასბურგიდან ჩამოტანილი სუვენირი ჩანთიდან ამოილო და მაიკლოს გადასცა. მასპინძელს მოენონა ჭიქა, რომელზეც „მე მიყვარს სტრასბურგი“ ენერა და გულის ფორმის ბრეცელი ეხატა. მადლობა გადაუხადა და მეორედ აკოცა. ლეგო მაშინვე მათ შუაში ჩადგა და მაიკლოს შეახტა...

ძმარმოსხმული სალათის ფურცლებით და გახეხილი ტრიუფელის სოუსით შეზავებული მაკარონით ივახშმეს. წითელმა ღვინომ შარლოტა გაამხიარულა. ლეგომ ისევ პირნმინდად მოასუფთავა თავისი თასი

და დესერტად უკრემო ნამცხვრის ნაჭერი მიიღო. მაიკლომ პროვანსში მცხოვრებ ბიცოლას დაურეკა დაბადების დღის მისალოცად. მერე შარლოტას ლავანდის თაფლი გაასინჯა.

ძილის წინ, ლეგო პარკში ერთად გაასეირნეს. ისევ ხელჩაკიდებულები მიდიოდნენ, ხანდახან იძულებულები ხდებოდნენ შეჩერებულიყვნენ და ლეგოს დალოდებოდნენ, რომელიც სასეირნოდ გამოყვანილ თანამოძმებთან ჩერდებოდა სათამაშოდ...

ვიდრე შარლოტა სააბაზანოში იყო, მაიკლომ ჭურჭელი გარეცხა და ლეგოს დასაძინებელი ლეიბი საძინებლიდან მეორე ოთახში გაიტანა. ორადგილიან საწოლზე თავთან გრძელი, თხელი ბალიში იდო. შარლოტამ თავის მხარეს ორად მოკეცა და ისე დადო თავი...

მეორე დღეს კრემიანი კრუასანებით და ყავით ისაუზმეს. მაიკლოს კრუასანები მანამდე მოეტანა, ვიდრე შარლოტას ეძინა. სახლიდან გასვლამდე ფანჯარაზე ჟალუზი სანახევროდ ჩამოენია, რათა მზის სხივებს მისი სტუმარი არ შეეწყებინა.

ქალაქის დასათვალიერებლად მალევე გავიდნენ. ნახეს სტანისლას სასახლე, „Palais des Ducs de Lorraine“\*, ღვთისმშობლის ხარების ტაძარი, წმინდა ეპვრის ბაზილიკა, ისეირნეს ალიანსის მოედანზე და პეპინიერების პარკში. შარლოტამ ტანსაცმელების ბუტიკში საზაფხულო კაბა შეიძინა, მაიკლო და ლეგო გარეთ ელოდებოდნენ.

თეატრი მხოლოდ გარედან დაათვალიერეს, შიგნით არ შესულან. ის თუთუნის ყოფილ ფაბრიკაში იყო განთავსებული, ამიტომაც დაერქმიათ „მანუფაქტურის თეატრი.“

ამასობაში მოშივდათ. იტალიური პროდუქტების დახურული ბაზრობის სასადილოში შემწვარი ინდაურის ფილე, ყველიანი მაკარონი, ზღვის ბოსტნეული და წითელი ღვინო შეუკვეთეს. დასასრულისთვის ყავა და სულ ბოლოს ლიმონჩელო.

სახლში დაბრუნებისას ცოტა ხნით მიწვნენ. მაიკლოს ჩაეძინა. შარლოტა ადგა, წყალი გადაივლო და სამზარეულო მიალაგა. სხვადასხვა ზომის და შემადგენლობის თაფლის ქილები გაწმინდა და რაფაზე სიმაღლის მიხედვით დააწყო. მაგიდაზე მორბენალი ჭიანჭველები დახოცა და სახილე გარეცხა.

\* სუპერ მარკეტების ქსელი საფრანგეთში. (სუპ. შენიშვნა).





მაიკლოს კუჭის ტკივილით გამოეღვია-  
ძა. სოდიანი წყალი დალია და ისევ ერთად  
გავიდნენ ძალლის გასასეირნებლად.

კვირა დილით, ლეგოს თასმა შარლო-  
ტამ დაიჭირა. ძალლს არ გაუპროტესტებია,  
მიეჩვია მის გვერდით ყოფნას და თითქოს  
აღარც ეჭვიანობდა. მუზეუმის ბაღში  
სეირნობისას შარლოტამ იგრძნო თუ რო-  
გორ თანდათან იპყრობდა სევდა, რომელიც  
მცირე დოზით დილიდანვე აჰყვა...

სახლში დროებით მიბრუნებულებმა,  
ყვითელი და მონითალო ქიშმიშით შენელე-  
ბული ყველით წაიხემსეს და რკინიგზის  
სადგურისკენ გასწიეს. მანქანაში ლეგო  
ისევ მათ შორის გაწვა. შარლოტა მთელი  
გზა ეფერა. სტრასბურგში გამოსამგზავრე-  
ბელი ბილეთი მაიკლომ უყიდა. ბაქანზე  
ერთად დაილოდეს. შარლოტას შინაგანად  
აკანკალებდა. გამომშვიდობებისას ერთ-  
მანეთს აკოცეს, – დაგირეკავო ჩასვლისას  
– თქვა და ვაგონისკენ გაემართა. კიბეზევე  
შეჩერდა და მოიხედა. მაიკლო ლეგოსთან  
ერთად უკვე მიწისქვეშა გასასვლელის  
კიბეზზე ჩარბოდა.

აქ უკვე უკანასკნელად გაიფიქრა: – არ  
უნდა ჩამოვსულიყავიო! – ამოიოხრა და  
თავისი ადგილი მოძებნა.

## პლეიზი და დებორა

დებორა ლორსონთან დაშორების შემ-  
დეგ, ბლეიზმა ველარავინ შეიყვარა. რამდე-  
ნი გრძელი, ულიმდამო წელიწადი ჩაიკარგა  
ნარსულში. ერთმანეთს მიჰყვნენ სიბრაზით,  
ტკივილით, ცრემლით, მონატრებით, სინან-  
ულით გაჯერებული დღეები. რეპეტიციები,  
სპექტაკლები, გასტროლები... გულის გადა-  
საყოლებელი წვეულებები, უგულო ურთ-  
იერთობები...

საყვარელი ქალის დავიწყების უშედეგო  
ცდები...

ცხელ გულზე მოხსნილი, განზე მოს-  
როლილი და თვეების შემდეგ, ისევ მაჯაზე  
მორგებული ძმინის სამაჯური. სამაჯური,  
რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ატარა  
ბლეიზმა.

– იქნებ დებორასაც უკეთიაო, იქ  
პარიზში, მისი მსგავსი, შედარებით მომ-  
ცრო ქვებისგან ასხმული „ნიშნობის“ სამა-  
ჯური?! – ბევრჯერ დაუმშვიდებია ბლეიზ  
თავი ოცნებით, ნატვრით...

ბოლო დროს ხშირად ჩხუბობდნენ. დებ-

ორა ძალიან დაღალა ბლეიზის ეჭვიანო-  
ბამ. ახსნა-განმარტებების აუცილებლობამ,  
ბოდიშებმა, მონანიებებმა.

იმ დღეს, რეპეტიციიდან რომ ბრუნდე-  
ბოდნენ გზაში ისევ იჩხუბეს. რაც პირზე  
მოადგათ, რაც მანამდე ეფიქრათ და არ  
ეფიქრათ ყველაფერი უთხრეს ერთმანეთს.  
დებორამ იქვე გადანყვიტა დაცილება.  
ურთიერთობის გაგრძელების არანაირი  
სურვილი აღარ ჰქონდა. ბლეიზი უყვარ-  
და, იცოდა რომ მასაც უყვარდა, მაგრამ ეს  
საკმარისი აღარ იყო. უკვე ბევრჯერ აპა-  
ტია. აღარ სურდა ამ ჩხუბსაც სხვა მრავ-  
ლის მსგავსად ისე, უბრალოდ გადაევლო.  
თავმოსანებული და მონანიე ბლეიზის  
მოსმენის არანაირი სურვილი აღარ ჰქონდა  
და კუთვნილი ნივთების მოკრეფა და სახ-  
ლის დატოვება მოსთხოვა.

დებორა ტუჩამრეზილი, დამცინავი ღი-  
მილით ელოდა როდის მორჩებოდა ბლეიზი  
ყველაფრის მოგროვებას და წავიდოდა. იო  
დღეში შობა უნდა დამდგარიყო. ნაძ-  
ვის ხესთან ერთმანეთისთვის გამზადებული  
საშობაო საჩუქრები ელაგა. გამნარებულმა  
ბლეიზმა იქიდან დებორასთვის ნაყიდი სუ-  
ნამოები – დიორის „Miss Dior“-ი და გერ-  
ლენის „La Petite Robe Noire“-ი, ანეტის მიერ  
გამოგზავნილი ბონბონიერი აილო. მაცივრი-  
დან კი, წინა დღით თავისი ნაყიდი შებოლი-  
ლი ორაგული და ბატის ლვიძლის ცხიმი Foiie  
gras-იც გამოიღო. დებორა იღიმებოდა, ეს  
უფრო მეტად აგიუჟებდა ბლეიზს. ათასგარ  
სალანდლავ სიტყვას ამბობდა და უხემობდა.  
ვიტრინიდან, დიდი წითელი გულის ფორმ-  
ის კანფეტი აილო, რომელიც ერთად უნდა  
გაეხსნათ შობის ლამეს. გასვლის წინ შე-  
მოსასვლებში დააგდო და კარი ძლიერად  
გაიჯახუნა. დებორა კარს მივარდა, გააღო  
და თავიდან მიაჯახუნა, მერე შუაზე გადა-  
ტეხილი კანფეტი იატაკიდან აილო და ხე-  
ლმეორედ, მთელი ძალით დაანარცხა ძირს.  
წვრილი, ტკბილი ნამსხვრევებით გაივსო  
იქაურობა. ცრემლებით დაენამა სახე, არ  
დამჯდარა, მისთვის დამახასიათებელი სი-  
ამაყით ოთახები მიიარ-მოიარა, დარჩენი-  
ლი ნივთები შოაგროვა და კართან დაყარა.  
გადასაგდებად მხოლოდ ის საჩუქარი ვერ  
გაიმეტა ბლეიზისთვის რომ ჰქონდა გამზა-  
დებული. პატარა ჩანთა, პირადი ჰიგიენის  
ნივთებისთვის, ასე რომ სჭირდებოდა გას-  
ტროლების დროს. ერთხანს ხელში ატრია-  
ლა, მერე ისიც მოისროლა და ატირდა...  
ცხელ გულზე მთელი ბინა მოანესრი-



გა, თეთრეული გამოცვალა, გარეცხა, მერე სავაჭრო ცენტრში წავიდა და Sephora\*-ში ზუსტად ის ორი სუნამო იყიდა, რომლებიც ბლეიზმა წაიღო.

\* \* \*

ბლეიზი ერთი თვე არ გასულა სახლიდან. იწვა ჩამობნელებულ ოთახში, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ოხრავდა. დარდით გულგადალეული შერიგების სხვა-დასხვა ვარიანტებზე ფიქრობდა და ყოველ წუთს საყვარელი ქალის გამოჩენას ელოდა. ხანდახან ლექსებს კითხულობდა ჩუმად, თავისითვის. მისი ხავერდოვანი ხმა სადღაც გამქრალიყო. ჩახრენნილ-ჩანყვეტილი ბგერები ამოსდიოდა.

რამდენჯერმე ტელეფონის ყურმილიც აილო დებორასთან დასარეკად, მაგრამ... ვერ გაბედა. მისი სევდიანი იდილია ბოლოს და ბოლოს ანეტმა დაარღვია, რომელიც პასკალისგან განსხვავებით, ძალიან განიცდიდა შვილის დეპრესიულ-რომანტიკულ გვემას. მიუხედავად თავისი რბილი ხასიათისა, ვეღარ მოითმინა, მთელი ძალა მოიკრიბა და ბლეიზთან მკაცრი სახით შევიდა. მისი პროტესტის მიუხედავად ფარდები გადასწია, ფანჯრები პოლომდე გახსნა, მერე შვილს თვალი თვალში გაუყარა და მშვიდად წარმოთქვა: დიდი ხანია, რაც დებორა პარიზს გაემგზავრა, შეგიძლია თვითგვემა დაასრულო!..

ბლეიზი გაშრა, დიდხანს ხმა ვეღარ ამოილო, მერე საწოლში წამოჯდა, საბანს ორივე ხელით ჩაეჭიდა და უხმოდ ატირდა...

## შარლოტა და ბლეიზი

შარლოტა ბინის ქირას, ნიკოლასთან და სტეფანთან ერთად იყოფდა. ისინი სტრასბურგის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. სამივეს ცალ-ცალკე ითახებში ეძინათ. ნიკოლასი ძალიან მეგობრული და კეთილგანწყობილი იყო გოგონების მიმართ. მაიკლოსგან სახლში დაბრუნებულ შარლოტას ვახშამი გამზადებული დახვდა. ის-ის იყო მაგიდას შემოუსხდნენ, რომ კარზე დააკაკუნეს. ზღურბლზე ოდნავ ნასვამი ბლეიზი იდგა Château Merlin-ის წითელი ღვინის ბოთლით და ვარდებით ხელში....

შარლოტას მისი მოსვლა გაუკირდა, თუმცა იმდენად იყო ემოციურად გადალ-

\* პარფიუმერიის მაღაზიათა ქსელი. (სვტ. შენიშვნა).



25



## მხატვარი სოფიო ჭელიძე

ლილი, რომ დიდად არ შეუწისებია თავი დაუპატიჟებელი სტუმრის მოსვლის მიზეზის გასარკვევად. ნიკოლასი და სტეფანი გააცნო და სუფრას ერთად შემოუსხდნენ.

ბევრი ისაუბრეს, იმხიარულეს, იმდერეს, ლექსები წაიკითხეს. ბლეიზი ოხუნჯობდა და როგორც სჩეკოდა თანდაყოლილი ბუნებრივი ხიბლით ყველა მოხიბლა.

საღამოს დასასრულს შარლოტას გასეირნება შესთავაზა. ნიკოლასმა და სტეფანმა გაუღიმეს და ერთობლივი მხარდაჭერა აგრძნობინეს. მხრებზე შალმოხვეული შარლოტა უზომოდ ბევრს ლაპარაკობდა. ბლეიზი ღიმილით უსმენდა და ხანდახან ხელს აველებდა ოდნავ შეზარხოშებულს ფეხი რომ არ წამოერტყა რამისთვის. მერე თვითონაც წაბარბაცდებოდა და ახლა შარლოტა იჭერდა. ამაზე ორივენი ხმამაღლა იცინოდნენ და მერე, უეცრად ჩუმდებოდნენ და თავიანთი ხმების ექოს აყურადებდნენ...

სეირნობა სეირნობაში ბლეიზის სახლთან ამოყვეს თავი. ბლეიზმა შარლოტა სახლში შეიპატიჟა. ანეტი და პასკალი უკვე დაწოლილიყვნენ დასაძინებლად. სასწრაფოდ წამოდგნენ და სტუმარს გამოეგებნენ.

ბლეიზი სიმარტოვემ დაღალა... ღამ-ღა-

ოლება №2, 2022





## მელანის გარეშე

ელიასმა უკვე მერამდენედ შეამონმა საფოსტო ყუთი. მელანისგან ისევ არაფერი ისმოდა. ხელები უკანკალებდა. მოაჯირს მოჭიდებულმა კიბე მთვარეულივით აიარა. სახლში ისე შევიდა დედისკენ არც გაუხედავს. ყველაფერი აღიზიანებდა. სავარძელში ფეხები ძლივს აკეცა და თავი მუხლებში ჩარგო. აღარაფერი არ უნდოდა ამქვეყნად, – აღარც ხატვა, აღარც ლიცეუმში სიარული და საერთოდ აღარაფერი. სამზარეულოში მყოფი ლეა, დაძაბული, უჩუმრად ადევნებდა თვალს შვილის ფორიაქს და თან ვახშმისთვის ფარშირებულ ბატის კისრებს ამზადებდა უხალისოდ.

ბიჭმა ასე გარინდებულმა, ძილ-ლვიძილში გაატარა რამდენიმე საათი. გამოფხიზლება არ უნდოდა, რადგან გაურკვეველი ტკივილი უწვავდა გულ-მუცელს და ფიზიკურადაც ასუსტებდა. ათასი უცნაური და უიმედო ფიქრი ულრნიდა ტვინს. როგორც კი თვალს გაახელდა თმაბურდული, უსახო ვიღაც, ათასი თვალით გარშემორტყმული უახლოვდებოდა და შორდებოდა. კეფა უხურდა, ხელები ეკრუნჩხებოდა. ხვდებოდა რომ ეს არსება თავადვე იყო და როგორც არ უნდა ეცადა ვერსადაც ვერ გაექცეოდა.

ლეამ ოთახში შემოიხედა. ძალიან არ უნდოდა შვილთან კამათი, მაგრამ ველარ მოითმინა. ხედავდა, როგორ თვალს და ხელს შუა უქრებოდა შვილი. – ფსიქოლოგთან წავიდეთ, იქნებ საერთოდაც გადაგავიწყოსო ის გოგო!..

ელიასი გაბრაზდა, დედას ეუხეშა, – გაჩუმდი! მეორედ არ ახსენო მელანი, ეგ ერთადერთი ადამიანია, ვინც ამქვეყნად მიყვარსო!..

ლეას ისტერიული სიცილი აუვარდა და თავში ხელები წაიშინა. ელიასი მის დამშ-

ვიდებას შეეცადა. ბოდიშები უხადა და თავზე მოეფერა. დიდხანს იჯდნენ იატაკზე ერთად და ჩახუტებულები ტიროდნენ.

დედა ცოტათი დამშვიდებული რომ ნახა, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, თავის ოთახში გავიდა, ბლოკნოტი აიღო და იატაკზე დამჯდარმა, სულიერი და ფიზიკური ტკივილებით გათანგულმა, მელანისთვის გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა:

## მელანი

არ ვიცი, ამ ბოლო დროს რატომ აღარ მპასუხობ... ეს სიჩუმე ძალიან მაღლვებს. გაუარესებული ჯანმრთელობის გამო ვერ ვახერხებ სტრასბურგში ჩამოსვლას. უკვე მერამდენე ბარათს გწერ..

შენ იცი, როგორ გულით მიყვარხარ ჩემო ანგელოზო. მე ყოველთვის შენს გვერდით მინდოდა ყოფნა რათა დამეცავი და დამემშვიდებინე.

ახლა, კი გთხოვ, შენ თვითონ იზრუნო შენს თავზე. არ მინდა რაიმე ცუდი მოგივიდეს. მინდოდა, რომ გავიზრდებოდით, ერთად გვეცხოვრა სიმშვიდეში, მხოლოდ შენ და მე. უკვე წარმოდგენილი მქონდა ჩვენი ცხოვრება...

ბალი, ყვავილებით, ხეხილით და ჩიტებით. წიგნებით სავსე ბიბლიოთეკა... მე დავხატავდი, შენ... რაც შენ გაგიხარდებოდა, იმას გააკეთებდი. ყველაფერს ვიღონებდი შენს გასახარებლად. შენ ხარ წარმოუდგენლად არაჩვეულებრივი, იდეალური ადამიანი. მე მიყვარს შენი ლიმილი, ხმა, სიარულის მანერა, შენი კანი...

გთხოვ, შენი ცხოვრების მეგზურად სიხარული და სიმშვიდე აირჩიო...

და ამით, ჩემს სულსაც აჩუქო ეს ყველაფერი...

„მიყვარხარ“  
ე. მ.

ელიასს ეს წერილი მელანისთვის არ გაუგზავნია. იმ ღამით, სულიერ აშლილობას მეტად ველარ გაუძლო და თავის მოკვლას შეეცადა.

ვენებგადაჭრილი თექვსმეტი წლის ელიასი სასწრაფოდ სტრასბურგის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.



## თავის გაერობის მცდელობები

მელანი ფოსტის ყუთს აღარ ეკარებოდა, ისიც არ იცოდა ისევ უგზავნიდა თუ არა წერილებს ელიასი. სულგაფიტული და გულნატკენი იყო. დედა მტრულად ექცეოდა. ყველაფერში ზღუდავდა. ლუიც ეუხეშებოდა. უკვე ვეღარ უძლებდა, მამასთან უნდოდა წასვლა, მაგრამ დიდად არც მისი იმედი ჰქონდა. სითბო და ურთიერთგაგება ენატრებოდა. ადრე ელიასს უზიარებდა თავის ფიქრებს, დარდებს, შიშებს. ისიც მუდამ შველოდა თავისი თბილი და მზრუნველი დამოკიდებულებით. ახლა ისიც აღარ ჰყავდა. მას შემდეგ, რაც მისი ბარათები ასე დასაცინი გახდა, მელანიში შინაგანად რაღაც ჩაკვდა, ყველაზე წმინდა და ხელშეუხებელი რომ ეგონა, ის. ჯერ ურეაქციო გახდა, მერე თავის დასჯა გადაწყვიტა, თავისიანების გასახარებლად. მათ ხომ ასე მოეწონათ მის სულში ხელების ფათური. ან იქნებ მათთვის სულერთი იყო?! ერთი რამ კი დანამდვილებით იცოდა – მათ მისი ბედნიერება არ უნდოდათ! სკოლაშიც მარტო გრძნობდა თავს და სახლშიც. სიკვდილს ნატრობდა. სახლში მარტოდ მყოფი ოთახიდან ოთახში დადიოდა და გამოსავალს ეძებდა, ნაკლებ მტკიცნეულს. მჭრელი საგნების ეშინოდა. ფანჯრიდან ან აივნიდან გადახტომაზეც იფიქრა, მაგრამ ვერ გაბედა. ამიტომაც იყო, რომ ჯერ ერთი მუჭა სარეცხი ფხვნილი შეჭამა, ეგონა მოინამლებოდა, მაგრამ არც არაფერი. მხოლოდ პირი აუქაფდა და მთელი დღე გული ერეოდა. მერე ოფთალმოლოგის მიერ გამოწერილი წამალი დალია. ახსოვდა, ექიმმა რომ უთხრა, ფრთხილად იყავი, არ გადაგეყლაპოსო.

იმ საღამოს შარლოტა ქვედა სართულის მეზობელთან იყო ჩასული. სითხე სააბაზანოს კარადაში იდო. დალია და ცარიელი შუშა სხვა ნივთებს უკან დამალა. ფილმებში ჰქონდა ნანახი, როგორ პოულობდნენ წამლების დაცარიელებულ ბოთლებს ახლობლები. მას ეს არ უნდოდა და ამიტომ. ლუი უბნიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. საგარდელში ჩაჯდა და ლოდინი დაიწყო. ისევ არაფერი. უფრო სწორად მას ეგონა ასე. ცოტა ხანში „თევზმა“ ზარი დარეკა და სახლის ტელეფონით სარგებლობისთვის ნებართვა ითხოვა. მელანიმ ის ოთახში მარტო დატოვა და თვითონ სამზარეულოში გავიდა. ფრედო გასვლამდე გამოელაპარაკა. მელანი გასასვლელისკენ წავიდა, უცბად

თვალებში ძლიერი შუქი იგრძნო, ირგვლივაც ზომაზე მეტი სინათლე იყო.

– დღეს როგორი სხვანაირი სინათლეაო, – თქვა და ფრედოს გაოცებულ სახეს შეხედა.

– რას ამბობ, ვერაფერს ვერ ვიგებო, – ფრედო.

მელანიმ გაუმეორა. ის ისევ ვერ იგებდა. ბოლოს გაილიმა და კარგი, როგორც არის არისო, უთხრა და კარი მიუხურა. შეშინებული „თევზი“ შარლოტასთან გაიქცა და უთხრა, რომ მელანი ვერ ლაპარაკობს, თვალები უზომოდ აქვს გადიდებული და რაღაცებს ლულლულებსო.

შარლოტამ, მეზობლების დახმარებით სახლთან ახლოს მდებარე ოტოპიერის საავადმყოფოში წაიყვანა. მელანიმ არაფრის დიდებით არ თქვა, რა დალია, ამიტომაც მონამვლა ბაზარში წაყიდ ყურძენს დააბრალეს და კუჭის ამორეცხვის შემდეგ ერთი ღამით დატოვეს საავადმყოფოში. სახლში დაბრუნებული ერთი კვირა ლოგინიდან არ ამდგარა. საჭმელსაც ვერ ჭამდა წესიერად.

ლუიმ – ძალიანაც კარგი რომ არ ჭამ, ცოტა გახდებიო, უთხრა და ჯიმი პეიჯის ფერადი პლაკატი მიამატა კედელზე გაკრულ დანარჩენ პლაკატებს.

ფიზიკური გამოჯანმრთელებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე რომ ვეღარ უმკლავდებოდა უზომო სევდას და მარტოსულობას, მჭრელი საგნებისადმი შიშს სძლია და მაჯაზე ვენების გადასერვა სცადა. ჯერ შხაპი მიიღო, მონესრიგდა. არ უნდოდა მკვდარი უსუფთაოდ ყოფილიყო. დიდხანს და რუდუნებით იბანდა სახეს, ხელებს, ფეხებს, ტანს... კბილები გამოიხეხა, თმაც მოიწერიგა. მერე, როგორც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში ჰქონდა წაკითხული, ვედროში ცხელი წყალი ჩასახა... მუხლებზე იდგა და ელოდა სისხლისგან როდის დაიცლებოდა. სწორედ ამ დროს ატყდა ზარის რეკვა და ბრაცუნი. მიხვდა, რომ კართან ლუი იყო. წამოდგა, მაჯა ნაუცბადევად გადაიხვია და კარი გაუღო. ლუიმ: „სად ხარ გოგო, ამდენ ხანსო!“ -თან შეუბლვირა და სახლი მიათვალიერ-მოათვალიერა. სააბაზანოშიც შეიხედა. მელანის ნიკაპი აუკანეალდა. ლუიმ ჯერ ვედროს შეხედა, მერე მის ხელზე სისხლიან სახვევს და სრულიად გულგრილად ჰკითხა – ეგ, რა გჭირსო, გოგო?!

მელანი სააბაზანოში შებრუნდა და გუ-





ლამომჯდარი ატირდა. პირზე ხელს იფარებდა, მისი ღმუილი ოთახში რომ არ გასულიყო. ლუიმ მალევე „ლედ ზეპელინის“ სიმღერები ჩართო და პლანტის ხმამ სრულად გადაფარა მელანის ქვითინი. დიდხანს ტიროდა, თვალები დაუსივდა. იატაკის ცივ ფილებს უკვე ვეღარ გრძნობდა. მთელი სხეული უხურდა. ტიროლი ბოლოს სლუკუნში გადაუვიდა და შეწყდა. ცხადად აღიქვა სინამდვილე. მიხვდა, დიდად არავინ იდარდებდა მის სიკვდილს. წამოდგა. ვედრო გარეცხა. სახე დაიბანა, მაჯა სადეზინფექციო სითხით გაიწმინდა და ბინტით შეიხვია. მერე აივანზე დაჯდა და ჩამავალ მზეს უყურა.

ერთი სული ჰქონდა გაზრდილიყო და სახლიდან წასულიყო.

### ლუის ნასვლა

ლუის, ბოლო დროს ძალიან აღიზიანებდა სახლში მისვლა. განსაკუთრებით მაშინ თუ იცოდა, რომ მარტო არ იქნებოდა. თავისუფლება და მეტი სივრცე სჭირდებოდა. შარლოტას ქრონიკული სიბრაზე და მელანის მელანქოლიაც უშესამავდა გუნება-განწყობას. მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენა უყვარდა, რაც ხშირად ვერ ხერხდებოდა. ან დედამისს სტკიოდა თავი ან მეზობლები წუხდებოდნენ.

იმ დღეს, როგორც კი ბინის კარი შეაღო, დედამისის ხმა მოესმა:

- ლუი! ფეხები საფენზე კარგად გაიმინდე! მან კი თითქოს ვერ გაიგონა, ტილოზე ფეხი ერთხელაც არ გაუსვია, ისე შეაბიჯა სახლში. ჩანთა იქვე მიაგდო და სამზარეულოში შევიდა.


- ჯერ ხელები დაიბანე! – შარლოტა

თავზე დაადგა. ლუიმ ვითომც არაფერი, მაცივარი გამოაღო და ის იყო ძეხვი უნდა აეღო, რომ დედამ მკლავით გააკავა. ლუი უძალიანდებოდა. ქალი გაბრაზდა. დაიწყეს ჯაჯგური. შარლოტას უნდოდა შვილისთვის გაერტყა, მაგრამ ლუიმ ორივე ხელი დაუჭირა და კედლისკენ უხეშად უბიძგა. კედელს მინარცხებული ქალი ჯერ გაშრა, გაოგნდა. მერე გამნარდა, ისტერიკა დაემართა. ყვიროდა და ყველაფერს აქეთ-იქით ისროდა. თუმცა, ლუის აღარ ეკარებოდა. ბიჭი მიხვდა, რომ „გაიმარჯვა“, ამიერიდან ვეღარ მოერეოდა დედამისი და მის ფიზიკურად დასჯას ვეღარ შეძლებდა.

ერთხანს სამზარეულოს კედელს ზურგით მიყრდნობილი, ირონიულად უყურებდა როგორ ილენებოდა ლოჯის მარმარილოს ფილებზე მისი ნივთები. მერე ჭუჭყიანი ხელებით ბაგეტი შუაზე გაგლიჯა, ძეხვი პირდაპირ მოკბიჩა, მოზრდილი ლუკმა ყელზე დამდგარ ცრემლთან ერთად გადაყლაპა და სახლიდან გავიდა. კარის ჯახუნი პირდაპირ გულზე მოხვდა მელანის, რომელიც შეშინებული და აკანკალებული ჩუმად უყურებდა ამ აურზაურს და ამ შემთხვევაში, რატომღაც მხოლოდ დედა ეცოდებოდა. ლუიზე ბრაზობდა. მასაც ძალიან არ მოსწონდა დედის სიბრაზე, ასევე არ უყვარდა ძმის უსუფთაობა, უხეშობა, მაგრამ ის რაც დღეს გააკეთა, უკვე მეტისმეტი იყო. კედელს მინარცხებული, უსუსური შარლოტას დანახვაზე პირველად მოუნდა ძმის სიკვდილი.

ლუი, იმ დღის შემდეგ, საცხოვრებლად მამასთან და ბებიასთან გადავიდა, სტრასბურგის ქველ უბანში, თუმცა ყველა თავისი ნივთი თან მალევე არ წაულია.

### გაგრძელება შემდეგ ცომარში



ମାର୍କୋପାଦ୍ଧତି

תְּמִימָנָה וְתַּחֲזִיקָה בְּעֵדָה וְבְּעֵדָה כְּבָשָׂר וְכָלָבֶן

## ՏԱՅ ՅԱՐ “ՖՈՓՈ ԿԱՐՈ”

შუბლზე მანერია: არა ვარ პირმოთნე,  
არ მსურს ნაჩუქარი სხვისა,  
მერე, რომ არა ვარ, ვინმე, „დიდი კაცი“,  
მყოფნის ნაბოძარი ღვთისა.  
შუბლზე მანერია: მტრობა რომ არა მწამს,  
თუმცა, მიგემია სხვისა.  
ყველას, დიდსულოცნად, ვაბატიე,  
არ კი ჩამითვლია ღირსად.  
გულზე მანერია: არა ვარ ბოროტი, –  
კარგი მიხარია სხვისა,  
ვაკეთო კეთილი, თუნდაც, იყოს მცირე,  
როგორც, ერთი წვეთი ზღვისა.  
გულზე მანერია: ჩემი ერთი ლუკმა,  
უმაღ მიმიღია სხვისად,  
პატარა რომ ტირის, პატარას რომ შია,  
სიცოცხლეს გავიღებ მისად.  
შუბლზე მანერია: მომენდე, გაგიტან,  
იგივე ვისურვე სხვისა,  
ერთ მუშტად შევიკრათ, ერთად მოვუაროთ,  
ნეუ გავხდით საშობლოს სხვისად!..

କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରଙ୍କାରୀ, ଗାସିମାରୁକା!

მოსკვარვია მთას – ღრუბელი,  
 ცრემლად აწვიმს – ტრფიალების.  
 საქართველოვ, გაგიმარჯოს:  
 ყანებით, თუ, ფიალებით!  
 ხევხუებში მოსჩქეფს წყალი,  
 გულს იხსნიან ტიალები,  
 საქართველოვ, გაგიმარჯოს:  
 ყანებით, თუ, ფიალებით!  
 თვალს იტაცებს ფერდობებზე –  
 ყვავილების რიალები,  
 საქართველოვ, გაგიმარჯოს:  
 ყანებით, თუ, ფიალებით!  
 შორეთში ჩანს: ეკლესიის –  
 გუდიათობი, – ჯერიანები,

ვიქტორი მადლიერი შედის,  
მეტი არ მელიოროს თუნდა,  
ეს არის სიმძიოფროე, ჩემი,  
მე, ხევა, არავერი მსურდა.  
ქონებას არასტრონოს ვნაცრობ,  
სიყვარულის ვაგროვერ, — მირკო,  
კიფევე, სიყვარული მინდა, —  
ამზენ სიყვარულის პაცრონებს...

ପାଞ୍ଜାବ ଦେଶ୍ୟକଷେତ୍ରଗଣ୍ଡି





ლმერთო, მნამს, რომ  
გააბრწყინება...  
ამ, შენს, წილხვედრს,  
ჭკვინებით,  
საქართველოვ, გაგიმარჯოს:  
ყანწებით და ფიალებით!..

## გაზაფხულის დავხატავი

ნისლს ავედევნები, ნისლივით  
მსუბუქი  
და... ყელზე მოვეხვევი მთას...  
მიყვარს ეს ფრიალო, თუნდაც,  
უნაყოფო  
და, ვისაც რა უნდა, ის თქვას.  
ქარს შევენივთები, ქარივით ფრთამალი,  
ხეებს გავალვიძებ მძინარს,  
არ დავემსაგასები გრიგალს, – ავის მსურნეს  
ბოროტს, შეუვალს და მძვინვარს.  
მერცხალს დავედრები კუდმაკრატელიანს,  
ჭერქვეშ რომ იშენებს ბუდეს...  
ჩემს სამშობლოში, ისეთ სახლს ავიშენებ,  
ყველა გადამთიელს შურდეს.  
სიტკბო, სიყვარული იქნება ამ სახლში,  
მეგობრებს ხვდებიან თბილად,  
გულში ჩავიხუტებ ამ ჩემს ნაამაგარს,  
დავრჩები სამშობლოს შვილად.  
ღრუბლების გულიდან წვიმას ჩამოვყვები,  
ცა, როცა ჩამოდის ფეხად,  
სიცოცხლეს შთავბერავ, ამ, ჩემს ერთი მუჭას  
და არ დავატყდები მეხად.  
ტანჯვას აგარიდებ, გადაგეფოფრები,  
ტკივილებს არ დავუხრი თავს,  
დარჩენილ სიცოცხლეს შენვე შემოგნირავ,  
მე, შენი წუხილები მელავს!  
ვიქნები მლოცველი, ფეხით შემოვივლი  
ალავერდს, იყალთოს, გელათს,  
სუყველგან ვილოცებ, შენი სიკეთისთვის,  
სული, ხომ, შენ, ერთზე, ღელავს...  
გაზაფხულს დავხატავ ფერადი ფანქრებით, –  
ცასფერ ცას და ოქროსფერ მზეს,  
ჭრელ-ჭრულა ყვავილებს მინდორს ამოვაქსოვ,  
უეკლოს მოგიქარგავ გზებს...

## თიხის დოქებში ზარტაკეტს ლვინო....

საკინძეს იხსინის ქართული მადლი,  
ალაზნის ველზე იმრავლებს ფერი,  
ადიდებულა მდინარე ლვინის,  
ბარაქას ვეღარ აკავებს ქვევრი.  
დაუზნექია ტოტები ხეებს,



მარიამ  
ქამუკაშვილი

ხილი მოსულა, ჯერ, არნახული,  
ყველგან, ტრიალებს სუნი სიმწიფის,  
ახლით იცვლება გადანახული.  
ხვავს ვეღარ იტევს ბეღელი, – პურის,  
და... ცხელ-ცხელ შოთებს ადნება  
ყველი,

თონის კიდეზე ჭიქა ლვინოთი,  
არ დავივიწყოთ ადათი, – ძველი.  
გალვიძებიათ ბუხრის თავებზე,  
საქმე გაუჩნდათ მოვერცხლილ ყანწებს,  
თიხის დოქებში ბარბაცებს ლვინო  
და „ემუქრება“ ბახუსით კაცებს.  
დააგვიანებს ალარც თამადა,  
კერსა დალოცავს, გამყოფოთ ძლიერ!  
საქართველოში უყვართ სიმღერა, –  
ჭერს აასცდება მრავალუამიერ.  
შეუდარები განძი ქართველთა, –  
მირონს მოაფრივევს ალაზნის ველზე, –  
დგას ალავერდი, – ძლევამოსილი  
და... შემოდგომა მოუსხამს მხრებზე.

## სიყვარულის ვაგროვებ, მარტო...

კალთა აიკეცა ლამემ,  
სიზმრების ჩაუქრა კვარი,  
ბინდად მოპარულმა დილამ  
უხვად გადმობერტყა ცვარი.  
მოლილ-მოქანცული ქარი  
ფიფქებს მიმოფანტავს ტყემლის,  
ცისფერთვალებიანს, იას  
კრძალვად ჩაუდგება ცრემლი.  
ბალახს აათროთლებს სიოს  
სინაზით თენთილი ვნება,  
დაათრობს სიყვარულით მას და,  
თვითონ, სიყვარულით თვრება.  
ბარში აფეთქდება ნუში,  
კვირტი დაასცდება ატამს.  
ღია ფანჯარაში, ზვირთად,  
სიცოცხლის სურნელი ატანს.  
მწვნედ მიუყვება ალმართის,  
შინდებს გამოურევს ოქროს,  
ცისთვალებს აანთებს ცისფრად  
და... ფურისულებად მოთოვს.  
მძლავრად გაუშლია ფრთები  
ცისფერს, უსასრულო ცისფერს,  
ღრუბლების ფუმფულა ზვავი  
ტყის თავზე მუქ ჩრდილებს იფენს.  
ვიქნები მადლიერი ბედის,  
მეტი არ მელირსოს თუნდა,  
ეს არის სიმდიდრე, ჩემი,  
მე, სხვა, არაფერი მსურდა.  
ქონებას არასდროს ვნატრობ,  
სიყვარულს ვაგროვებ, – მარტო,  
კიდევ, სიყვარული მინდა, –  
ამდენ სიყვარულის პატრონს...



### დარეჯან ჭანკოტაძე

პედაგოგი,  
ლირისტის ორდენის მფლობელი,  
თელავის საპატიო მოქალაქე



31

### ზუხარი

ვუძლვი ჩემი ბავშვობის საუკეთესო  
მეგობარს, ექიმ სტომატოლოგს, უმშვენიერეს  
მათიკო ჩხუბანიშვილ-ანდრონიკაშვილისას

### დარეჯან ჭანკოტაძე

საღამო იყო: მშვიდი, სავსე, – ბედნიერებით  
გზას მოვყვებოდი ვარსკვლავების სიცილ-თამაშში,  
მეფის სასახლეს დახაროდა ჯარი მნათობთა,  
დრო ასეთ წუთებს, – სილამაზეს, ვიცით, არა შლის.

მე სულით, გულით მოგილოცე დღე დაბადების

ერეკლეს ხიბლი ამშვენებდა გმირების მხარეს,  
მე შემს ქუჩაზე მოვდიოდი გახარებული  
გზას მინათებდა მშვენიერი, პირბადრი მთვარე.  
„სად ხართ აქამდე?“ მოლოდინით, – კრძალვით მითხარი,  
შემდეგ კი სტუმრებს მიგვანიშნე გვითხარ ძვირფასნო,  
„თქვენთვის ავანთე სიყვარულით – თბილი ბუხარი“

შენ გიცქეროდით, ამაღლებულს, როგორც ანგელოზის...  
და გადარებდით – აზრით, საქმით, იერით, ქალმზეს...  
ის, ენძელის ჰეგვდი სიცილს, ჰეგვდი გაზაფხულს  
„ჰეგვდი ყაყაჩოს, შავი ბუხრის ნაკვერჩლის ალზე“.

მთელი საღამო, ვსაუბრობდით – რაღაც, ღვთიურზე  
გვიან შევნიშნეთ – უამი, თითქმის, გათენებისა,  
„დრო როგორ გარბის!“... ბრძანა, მაშინ, ერთმა სტუმარმა  
დაგემშვიდობეთ და გისურვეთ – ძილი, – ნებისა...

გარეთ გამოსულს, ფიქრთა გუნდმა გზა გამიგრძელა,  
შენგან წამოსულს, თან, გამომყვა – განცდა, – მდუმარი,  
ვფიქრობდი შეწევ და ეს სითბო არ მცილდებოდა:  
„თქვენთვის ავანთე ძვირფასებო, ჩემი ბუხარი“...

ოთხე, №2, 2022



## მაია კაპაშრიძე

32



საქართველოს კულტურული და სამეცნიერო მუზეუმის მიერ გამოცემის მიხედვით

ფილის სისხლის სიონ ენერგიით და სისხლის უფლებაზე მდგრადი არის ლაშქარი შეკრიბოს, კიდევ ერთხელ შემოუქროლოს თავის სამეცნიერო და კულტურული კუთხე-კუნძული კიდევ ერთხელ მონაცემების მენაშე და შემოუქროლოს. მეხეს და შიშის ზარი კიდევ ერთხელ ფასეული გათავსედებული ჭარელი ლეკაბის შთამომავლებს, რომელთაგან ერთი რომ „ალმისავლეთის ლომი“, ფასული და წალი ფეხი სამარისკენ ნაულია თურმე. ერთხელ და სამუდამოდ ფაფურთხოს მფარვლი და ნურ-შელერთი. სათოთა აგური და კრამიტი საკუთარი ხელით შეასწოროს. ყველა ქვა ჩასვას ზღუდე-გალავნებში, ურ-კალოთაგან ამოგფერული და გაფაგფერული.

მთავრული განაცხადი

### ევაზენილიანი ეალაზი

მთელი ღამე თავზე ისე დაათენდა, ვერ გაიგო ბატონმა. მერე როგორ უყვარს მთვარით განათებული ქალაქის და მისი შემოგარენის ცქერა. გობრონთან ერთად, ბავშვობისას, რამდენი სამალავი გამართა ძველი ციხის კედლებში, ვერბა ქვების ირგვლივ. ზამთარში ხორბალს და პურის ნატეხებს მალავდნენ საკვების გარეშე დარჩენილი შაშვებისა და ბელურებისთვის. შემდეგ რა სიამოვნებით უცქერდნენ, როგორ მიარბენინებდნენ ყვითელ ნისკარტა შაშვები ნადავლს, მალულად და ფრთხილად. პირველი სამტრედეც რა კარგად ახსოვს..

ციხის ბურჯის შეკეთება უნდა, რამდენი ხანია ოსტატებს ელოდება. უკვე მეორედ გამოაგზავნა ნადირმა საუკეთესო ოსტატთა ჯგუფი, მაგრამ ჯერ ვერც ერთი ვერ მოვიდა. გზა და კვალი ვერ ნახა ვერც ერთის ერეკლემ. ამას ნინათ მეთევზებმა კი ამოიყანეს მდინარიდან კაი ხნის დამხრჩვალი უცხო ტომელები, მაგრამ არც უსტარი, არც რაიმე ნიშანი იმისა, რომ ისინი ნადირის ხალხი იყო ვერ უკვეს.

— იმედია, ესენი მაინც მოაღწევენ აქამდე, — ხმამაღლა გამოუვიდა ფიქრი ერეკლემ. სამუშაო ბევრია, კირითხურო თანდილას ბიჭებს და მაყაშვილის ყმებს დავახმარ, დაბახნების მხარის ბურჯიდან დავიწყებ და კოხტა პატარძალივით გავალამაზებ თელავს. როგორ მოუხდა ჩუქურთმებიანი აივნები ჩემ ქალაქს. ნადირი ქვაფენილის ოსტატსაც დამპირდა და წერილში მწერს, ოსტატთა ჯგუფთან ერთად იმ კაცსაც გიგზავნი, ქვაფენილის ნამოების და დაგების მეტი რომ არაფერი იცისო. დაემახსოვრებინა შაპს ერეკლეს ჩანაფიქრი, მშობლიური ქალაქი თუ როგორი უნდოდა ენახა

ნლების შემდეგ უფლისწულს.

— მხოლოდ ნადირის სასახლის შემოგარენი კი არა, მთელი ქალაქია ქვაფენილით მოფენილი. სამი ოსტატი რომ მყავდეს ასეთი, თბილისაც ეყოფოდა, შეგირდებს მივაბარებდი და მუდმივად მეყოლებოდა ოსტატთა ამქარი. მერე როგორ დაამშვენებდა თელავს ქვაფენილიანი ქუჩები. — ღმერთო, ნუ დამიტოვებ ამას ოცნებად და ხორცი შემასხმევინე ჩემი ჩანაფიქრისთვის, — შეჰლალადა ერეკლემ უფალს და ჯავრიც თან ამოაყოლა ღალადს.

— ნადირის უსტატიდან თუ ავითვლი დროს, ერთ კვირაში უკვე აქ უნდა იყვნენ ოსტატები. ქვედა შემოსასვლელთან სახელოსნო არ გამომადგება, დაბახნებთან უნდა ვნახო ადგილი. ჩილოყაშვილის ყმა, ქვრივი ნანაის ეზო კარგი ადგილია. ხვალევე გავაგზავნი მოძღვარ ლუკას, ლვითისმოში ქალია ნანაი, პატივად მიიღებს ჩემს განზრახვას.

— ბატონო, ბატონო, — გედეონი გამოჩნდა დილის ბინდბუნდში, თუშური ნაბდით ხელში. ყოველ წელს ახალს უგზავნიან თუშები, საგანგებოდ მეფისთვის თეთრად მოთექქილს.

რიურაუი ნელ-ნელა ეპარებოდა ღვთაების სამრეკლოს დინჯი ხმაურით გამოღვიძებულ ქალაქს.

### თამაზი, ნადირად ცოდებული

ნადირ-შაპის კეთილი განწყობა მეფობად დაენია 25 წლის ერეკლეს. სხვანაირად მიიბათავის გულზე უშიშრამა შაპმა შორეული საქართველოდან ლაშქარში დაძახილი ქართველი უფლისწული.

— ვიშვილებდი, მაგრამ სხვა სულისკვეთებისას და სარწმუნოებისას დიდხ-

ანს არ ექნება აქ მზის ყურების უფლება, – რამდენჯერ უთქვამს ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულ ნადირს თავისი ერთგული ბაქირ ყულისთვის.

ბაქირ ყული ნადირის დედამ იშვილა, როდესაც გავლენის მაძიებელი ადარხანი თავს დაესხა ბაქირის საგვარეულო მამულს და ერთიანად ააოხრა. ბაქირი, ბეჭნიერი შემთხვევის წყალობით, თავლაში იპოვეს საგულდაგულოდ მიმაღლულ კალათაში.

აფშარიდების დინასტია ვაჟების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა, თუმცა ნადირ-შაჰ ავშარის დედის ნება-სურვილით, ობლად დარჩენილი ბაქირი, მრავალ-რიცხოვანი ტახტის მემკვიდრეების გარემოცვას შეემატა და უფლისწულებთან ერთად იზრდებოდა.

დედამ თამაზი დაარქვა ნადირს. დედა... მოგონებები ღრუბლებივით ამოუტივტივდნენ მეხსიერებიდან. მზის ამოსვლისას, გაშლილი ხელით როგორ ანიშნებდა იქ საქართველოაო. რამხელა სიხარული და ტკივილი იყო ამ ორ სიტყვაში ჩატეული. სპილოსძვლისფერი, ლამაზი სახე როგორ უნათდებოდა და ელრუბლებოდა ნამიერად. ლურჯი თვალები, ხასხასა ცის ფონზე, მეტად ულურჯდებოდა და სხვანაირი სიყვარულით ეფერებოდა პატარა თამაზს.

ბეჭრი რამ გაიგო დედისგან ამ პატარა ქვეყნის შესახებ. შემდეგ თვითონ ცდილობდა ქართველების შეცნობას. ტყვებს შორის სახით სცნობდა ქართველებს. რამდენჯერაც მეომრებად აარჩია საუკეთესო აღნაგობის გურჯები იმდენჯერ დედამისის სიტყვები გაახსენდა:

– ანდერძად გიტოვებ, გაუფრთხილდი თითოეულ მათგანს. ქართველების ისტორია ძალიან, ძალიან ძევლია და სისხლითა დაწერილი. ეს უბრალო ქვეყანა არაა, იმხელა ფესვები აქვს დედამინას გასწვდება. ამ ფესვების ამოძირება არ გაბედო, ვერ შეძლებ. ეს ის ფესვებია, რომელზეც შენ დგახარ და თუ კი ხელი მოგიბრუნდება, ჩაჩეხო, დააზიანო, გახსოვდეს, რომ ამ ფესვებზე შენი სიცოცხლეა აღმოცენებული. შენს დასაყრდენს მოსპობ და ფეხვეშ მინას საკუთარი ხელით გამოიცლო.

ერთ დილით მსტოვარმა უსტარი აახლა, სადაც შიკრიკი ამცნობდა ახალგაზრდა ქართველი უფლისწულის გმირობის ამბებს. ეს შიკრიკი სხვა არავინ იყო თუ არა მის მიერ კახეთში საგანგებოდ მივლენილი სანდო ადა-



## მარა კაპაურიძე

მიანი, რომელიც ქართულიდან სახარებას თარგმნიდა სპარსულ ენაზე.

შიკრიკი ერეკლეს გამარჯვებებზე ყვებოდა, თუ როგორ ალაგმა და მოაშთო ლეკითა პარპაში კახეთის სოფლებში სრულიად ახალგაზრდამ.

– ამ ყმანვილს დიდი მომავალი აქვს, მინდა საკუთარი თვალით ვნახო, – ბრძანა ნადირმა. ცოტა ხანში უფლისწული ერეკლე ინდოეთის ლაშქრობაში გაიწია ნადირმა.

მოუთმენლად ელოდა ქართველთა სტუმრობას ნადირი. სულეიმან ხანს და არზრუმ ხანს მაშინვე შეატყო სახეზე ჩრდილთა თამაში, როგორც კი სათათბიროს განუცხადა ქართველთა სტუმრობის და ინდოეთის ლაშქრობაში მათი მონაწილეობის თაობაზე. ბაქირს იმავე სალამოს მისცა განკარგულება, თვალ-ყური ედევნებინათ ამ ორი კუდიანისთვის. მანამდეც იცოდა ნადირმა მათი ფარული ინტრიგების შესახებ, მაგრამ არ სჯეროდა.

– ერთხელაც იქნება, საკუთარი კუდებით თვითონვე ჩამოეკიდებიან მოედნის საუკუნოვან ზეთისხილის ხეს, – გაანდო ბაქირს თავისი ნაფიქრალი ნადირმა და კუშტად შეკრა კოპები.

უფლისწულის დანახვამ ისეთი ალი აუგიზებიზა გულში ნადირს, წამიერად დაავინყდა ყველაფერი, თუმცა მალევე აიფარა შაჰის მოჩვენებითი მრისხანება სახეზე ნიღბად. ერთი კი გაივლო გულში, ნეტავ დედაჩემი ხედავდესო.

ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, აღარც აპირებდა ერეკლეს სამშობლოში გაშვებას ნადირი, თავის თავს ხედავდა ამ მამაც და ჭკვიან გურჯში, მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გონებას ისევ გულმა და დედის შთაგონებამ სძლია:

– გავუშვებ, დაე იმეფოს. 130 წელი არ ლირსებია ქრისტიანი და მართლმადიდებელი ერთიანი მეფე ქვეყანას. იქნებ სული მოითქვას, იქნებ ფეხზე დადგეს ჩემი დედულეთი, ნაჯიჯინი, ნანამები, ხორცებ აგლეჯილი და ტყვედ გაყიდული...

## უკანასკნელი გემოდგროვა

კრწანისის ბრძოლაში მიღებული ჭრილობები კარგა ხანია მოუშუშდა ბებერ მეფეს, მაგრამ გული – ვერა... ერევნის ხანის





### მხატვარი სოფიო ჭელიძე

დალატი ყელში ბურთივით ეჩირებოდა 80  
წელს მიღწეულ ერეკლეს.

— რატომ არა ვარ ახალგაზრდა, მიიღები  
ჭკუის სასწავლებელს, — გაიფიქრა მეფემ  
და თავისი საყვარელი სასახლის გალავნი-  
დან თვალი მოავლო ქვემოთ, ხელისგულზე  
გაფენილ ალაზნის ველს. მედიდური კავკა-  
სიონი ნაადრევად დაეფარა უცაბედად მოსულ  
თოვლს.

— ზამთარი გრძელი და მკაცრი იქნება:  
მელანოს ობლებს კი მოვუმარაგეთ ზამთრის  
სამყოფი ნობათი და სარჩო, მაგრამ დათიას,  
ვეფხოს და ლექსოს ბავშვები ისე დარჩნენ,  
უნდა დროულად გავაგზავნო ესტატე. სახლის  
სახურავებია შესაკეთებელი და წინ თოვლიანი  
ზამთარი გველოდება, ვაითუ ვერ გაუძლოს.

— დათია, ვეფხო, ლექსო, თქვენ რომ არა,  
მხოლოდ იოანე ვერას გახდებოდა და მეც  
კრწანისის ველზე მომიწევდა სიკვდილი. დროც  
იყო, მაგრამ, ალბათ უფალს ესე სურდა, კიდევ  
დამრჩა ალბათ უფრო მნიშვნელოვანი საქმეე-  
ბიც, — ფიქრობდა ბებერი ლომი და მოღუშუ-  
ლი გაჰყურებდა თოვლიან კავკასიონს.

დიდი ხნით სასახლის პალატებში ველ-  
არ ჩერდება. გარეთ მიუწევს გული. ლამის  
კარავი გააშლევინოს ფარეშებს და იქ გად-  
მობარგდეს. დილის სისხამის სიო ენერგიით  
და სიცოცხლით ავსებს. ამ დროს ძარღვებ-

ში სისხლი უდუღს და მზად არის ლაშქარი  
შეკრიბოს, კიდევ ერთხელ შემოუქროლოს  
თავის სამეფოს და ყოველი კუთხე-კუნძული  
კიდევ ერთხელ მოინახულოს. მეხის და შიშის  
ზარი კიდევ ერთხელ დასცეს გათავხედებულ  
ჭარელი ლეკების შთამომავლებს, რომელთაც  
ჰგონიათ, რომ „აღმოსავლეთის ლომი“, დაუ-  
ძლურდა და ცალი ფეხი სამარისკენ ნაუღია  
თურმე. ერთხელ და სამუდამოდ დააფრთხოს  
მტარვალი და წურბელები. სათითაო აგური და  
კრამიტი საკუთარი ხელით შეასწოროს. ყველა  
ქვა ჩასვას ზღუდე-გალავნებში, ურჯულოთა-  
გან ამოგდებული და გადაგდებული.

,შავი ჭირი რომ არა, თბილისის აღდგე-  
ნას ნაწილობრივ მაინც შევძლებდი. დარე-  
ჯანის სასახლე კი დგას დედოფალივით, მა-  
გრამ ბევრი აიგანი აღსადგენია. გაჩანაგებული  
სახელოსნოებიდან ბევრი მოვიყვანეთ მწყო-  
ბრში, მაგრამ ბევრი დარჩა დასასრულებელი.  
გადაიაროს შავმა დღეებმა და ყველაფერს  
მიეცხდავ“. ფიქრებში წასულ მეფეს ბინდი  
შემოეპარა.

პალატებში შესვლისას ძალა ეცლება და  
თავი მართლაც დაუძლურებული ლომი ჰგო-  
ნია, რომელიც მორჩილად ელოდება სიკვდილს.  
ჰაერი არ ჰყოფნის... გარეთ კი კავკასიონის და  
ცივის მთებიდან მონაბერი სიცოცხლის ელექ-  
სირი შუბლს უგრილებს და უკან, სიყრმისკენ  
აბრუნებს... დაბადების დღისთვის თუშებმა  
მოკრძალებული ძღვენი მიართვეს. მინდიას  
ხელით გამოგზავნეს, ყველა ბრძოლაში ახლდა  
მეფეს ერთგულად თანაშეზრდილი

,ბედნიერ დღეს დავიბადე, მეფეო. თქვენ  
რომ დაიბადეთ, მეც იმ დღეს გავჩნდი. მად-  
ლობელი ვარ ღმერთის და განგების, რომ  
თქვენთვის სიკვდილი შემიძლია“ — ასპინძის  
ომში მეფის მხარდამხარ მებრძოლი მამაცი  
მეომარი არ დაანება მეფემ სიკვდილს.

,ესენი რომ არა, რამდენჯერ ვეყოლებო-  
დი მტერს მოკლული და აჩეხილი“ — გაიფიქრა  
ერეკლემ და სახეზე ღიმილი გაუკრთა.

სასახლის გალავნის სამხრეთით გაუშალეს  
მეფეს ტრაპეზი და სავარძელიც იქვე დაადგ-  
მევინა ფარეშებს. ვიდრე სადიღის დრო მოვი-  
დოდა, უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ მეფესთან  
მნახველები და სტუმრები დაბადების დღის  
მისაღლოცად.

ყველას ნახვა მოისურვა მეფემ. ესტატეს  
ოსტატი ლომბიჭებიც მოვიდნენ. დაბახნების  
მხარეს, პატარა ადგილასლა დარჩათ ქვაფენი-  
ლი დასაგები. კარგად იმუშავეს. მეფემ წყალო-  
ბა გაიღო და ოსტატები უხვად დაასაჩუქრა.  
ესტატეს შვილებმა თავიდან იუარეს ძღვენი,  
მაგრამ ერეკლეს დაუინებულ თხოვნას წინ ვერ



აღუდგნენ. ძლვენი კი მართლაც მეფური იყო, წყალობის სიგელი, რომელიც იუწყებოდა, რომ ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ სამეფო კარის ოსტატებად და თავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან, ჯარში სამსახურისგან, მათი და მათი შთამომავლების ვალდებულება იყო ეზრუნათ ქალაქის იერსახის შენარჩუნებაზე, ვინაიდან მათ საკუთარი ხელით, ქვაფენილით მოაფარდაგეს თელავის ყველა მთავარი ქუჩა და მოედანი.

– თავდადებული ადამიანების თავშენირვამ, თავგანნირვამ და სულისკვეთებამ შემაძლებინა, თორემ ერთი პატარა კახი რას გავხდებოდი, თუნდაც ლომი, ათასი ჩემნაირი ლომის წინააღმდეგ, – ფიქრობდა ერეკლე და შემოდგომის ტკბილი მზით დალლილ სულსა და სხეულში ნეტარების ურუანტელი უვლიდა.

რაღაც სხვანაირი განწყობით შეხვდა ამ შემოდგომას ბებერი მეფე. ყოველი ახალი დღის გათენება ახარებდა და იმედის სხივივით უკრთებოდა ომისგან, დარდისგან და ფიქრებისგან დაქანცულს. ღალატის, ორგულობის, გამყიდველობისა და აურაცხელი სივერაგის მიუხედავად, მაინც გამოსავალს ეძებდა. ერთადერთ იმედად ბოლოს ერთგული და უღალატო ადამიანების სიმრავლე ესახებოდა.

– ევროპამ მიგვატოვა, ბოლო წერილში მწერდნენ, რომ ღელავენ და განიცდიან დაუძლურებული ქრისტიანული პატარა ქვეყნის ბედს, მაგრამ სიშორის გამო არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ და ამის გამო ძალიან წუხან. წუხან გულგრილად. – გულში რამდენჯერ გაიმეორა ეს სიტყვები ერეკლემ, არ დაუთვლია.

– ახლოს რუსეთია, ერთმორწმუნე, თუმცა ვერაგი და ისიც გულგრილი. ნუთუ აქ, მხოლოდ ჩემს ირგვლივ ვხედავ გულანთებულ და თავდადებულ ადამიანებს? ისინი, ვინც წლებმა შემასისხლხორცა. და რა ცოტანი ვართ მერე, რამდენა გულით და ფესვებით. ღმერთო, რა მოხდებოდა, ცოტა მეტნი ვყოფილიყავით. მეტნი შერჩენოდნენ საკუთარ მინა-წყალს. ტყვედ გაყიდული ქართველები როგორ მოვინელო, ღმერთო. დაცარიელებული სოფლები რომ ვნახე, გაუკაცრიელებული ტერიტორიები, რა დამავიწყებს იმ დღეებს. იმ ტკივილს

არ გაუვლია, იმის მიუხედავად რომ თითქმის მთელმა ცხოვრებამ გაიარა... გაჩანაგებული და აოხრებული კახეთი და ტყვედ წასხმული საჯიშე თაობები ვერ მოვინელე, ღმერთო, ღრმად მოხუცების ანაბარად დარჩენილი აღაზნის გალმა და გამოლმა სოფლები... მთელი ცხოვრება ლოცვასავით ვიმეორებდი ამ სიტყვებს, ან ღირსება ან არაფერი... ვიბრძოლე ღირსებისთვის, პატივაყრილი მამულისთვის პატივის დასაბრუნებლად. ბევრჯერ გამომივიდა. რაც ვერ შევძელი, ისევ ღალატის და გამყიდველობისა გამო. ვცდილობდი, ერისთვის მაგალითი ვყოფილიყავი და რაც შევძელი, მადლობა, ღმერთო, დიდება შენს ძალას და განგებას.


ისევ დამუმძიმდა ფეხები ომისგან და ბრძოლისგან დაღლილ მეფეს. ბოლო თვეებია, საშინლად უსივდება და აწუხებს. სავარძელში, ჰაერზე ყოფნა სიმშვიდეს ანიჭებს. არადა, სწორედ ახლა არ იყო სავარძელში ჯდომის დრო. გული ისევ ისე ძგერს, როგორც მაშინ, 16 წლის ერეკლეს რომ უძგერდა, მაგრამ ძალა აღარ მომდევს....

კავკასიონის ნაადრევად დათოვლილ კალთებს ფიქრებით დამძიმებული პატარა კახი სინანულით გაჰყურებდა. აღმოსავლეთის ლომმა, უდიდესი ღალატის და გარეშე მტრების სისასტივის მიუხედავად, ააღორძინა, განავითარა, ახალი სიცოცხლე შთაბერა და ააყვავა საუკუნეების მანძილზე ნაჯიჯგნი, ნანამები, შეურაცხყოფილი და გავერანებული მამული.

„ღმერთო, შენ გავედრებ აქაურობას. შენ აკურთხე და მიეცი შევება ამ ტანჯულ ხალხს, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ფეხზე დგას, აშენებს, ქმნის და ეფერება თითოეულ გოჯს მიწისას... მოგვეცი უფალო კურთხევა არ გადაშენების, არ დამარცხების, არ გადაჯიშების.

ბინდისფრად იფერებოდა უდიდესი მეფის უკანასკნელი შემოდგომის ბოლო დღე. არც თუ ისე შორს კი, კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს, ჩამავალი მზის ოქროსფერი სხივები სალბუნად და იმედად ეფინებოდა...

4 მარტი, 2021 წელი, პალო დელ კოლე



## რაუდენ მექვევრიგვილი

36



რაუდენ მექვევრიგვილი

### უწინაური სურვილი

უცნაური სურვილი მაქვს ერთი,  
კენაცვალე, ვინც ამ სურვილს ენდოს:  
მინდა: ისე გადაცშალო მკერდი,  
რომ ამ გულში ყველამ ჩაიხედოს...  
აქ, იხილავს მზეს, – ოქროსფრად ნაქსოვს,  
ზღვაც ამშვენებს, მდინარეთა ჩქერიც,  
ზოგს, თუ, ძველი სიყვარული ახსოვს,  
ზოგიც, ახალ სიყვარულზე მღერის.  
და, როდესაც გრძნობა აგყვეთ თბილი,  
თან, თუ, გემოც აღმოჩნდება სწრაფი,  
ღამით ივლით და... მეორე დილით  
თვალს დალანდავთ ჩემი გულის ნაპირს.  
აბა, გულო, შეხვდი კეთილ სტუმარს,  
შენს სამყაროს აზიარე მგზავრი,  
მოატარებ მთებს, სავალს, თუ, უვალს,  
ამ, ლამაზი ბილიკების გავლით.  
იმ ხევს გალმა, წყარო რომ ჩქეფს, დღესაც,  
და... ტინების მკვრივ ზედაპირს სერავს,  
უთხარ: ვინაც ამ კლდეთა ნაურს შესვამს,  
სიყვარული აუხდება ყველას.  
სითბოს იგრძნობს სულიცა და ხორციც,  
რადგან, კარგო, გული გულთან მივა,  
წმინდა სანთლებს, აქ, ანთებენ ლოცვით,  
ვისაც დედა საქართველო სტკოვა.  
დე, ვიკაროთ, რა სირცევილიც გვარცხვენს,  
როცა ცრემლით რეკადა დედოზარი,  
ერთმანეთი, როცა დავამარცხეთ  
და დაგუებშეთ ერთურთს გულის კარი,  
დრო წინაა ხვალ-ზეგ, ისევ, გელით,  
რათა გიძლენათ სიზმარი და ცხადი,  
კართან, არსად, არ დაგხვდებათ მცველი,  
როცა გინდათ, შემოდით და გადით.  
გალალდით და გაიხარეთ ჩემთან,  
მაგ, თქვენს გულებს მეც ვენტვეი ძმებო,  
ტკბილ სურვილებს ნაკადებად შევრთავთ,  
რომ სიცოცხლე იქცეს საოცნებოდ.  
არა, რატომ ავყე, ამგვარ, სურვილს,  
რისთვის ავხსენ გულს პატარა კიდე,  
არ დამძრახონ, ნუ გამკიცხავთ ნურვით,

უწინაური სურვილი მაქვს ერთი,  
კენაცვალე, ვინჯ ამ სურვილს ენდოს:  
მინდა: ისე გადაცშალო მკერდი,  
რომ ამ გულში ყველამ ჩაიხედოს...  
აქ, იხილავს მზეს, – ოქროსფრად ნაქსოვს,  
ზღვაც ამშვენებს, მდინარეთა ჩქერი,  
ზოგს, თუ, ძველი სიყვარული ახსოვს,  
ზოგიც, ახალ სიყვარულზე მღერის.

რაუდენ მექვევრიგვილი

ფიქრი ჩემი ძნაა – ხვავით სავსე,  
მე ვარ – მასზე, შემოკრული ულო,...  
რაც მეტ სითბოს და სიყვარულს გავცემთ,  
მხოლოდ, ამით დავფასდებით გულო...

„წმინდა მარინე“ და „ჩიხიჭვარი“

ქვემო აღვანს რომ წამით გასცდებით  
და ამწვანებულ მთა-ბარს შეუვლით,  
ტახტი-ბოგირის სანახებიდან  
სერზე დაჩნდება „ბაბანეული“.  
აქ ისტორია ქუს და მდინარებს,  
მოგონებებში ნისლევს არ ირევს  
და ძელქვნარების ხეთა მრიალით  
თავს გადმოპყურებს „წმინდა მარინე“.  
მე თვითმხილველთა ნათქვამს გიყვებით,  
ო, დაილოცოს ღმერთის განგება,  
თურმე ღამ-ღამე კოპწია ფერდა  
ელვა-კაშაშში ჩაიკარგება.  
მერე, ცისკიდურს ზემოთ აიწევს,  
ააფერადებს ზეკას მთვარიანს  
და ფრთხებს ჩაკეცავს ნელი ციალით,  
სადაც მაღრანის „ჩიხიჭვარია“.  
აქ, შეუცნობელს ნურავინ ელის  
და, რასაც ვამბობ, რწმენით შემოსეთ,  
ეს მხარე ფრთხებით დაუფარიათ, –  
წინაპრის სულებს და ანგელოსებს.  
ესაა მათი ფრენაც და ბორგვაც  
და... ჩემშიც, მწველი ნათელი ბრწყინვავს,  
ნეტავი, როცა ალარ ვიქები,  
ამ, ლამაზ ფრთხებქვეშ მეც მომცენ ბინა.  
...ვინ დაგიოკებს რტოაყრილ ფიქრებს  
შენ, ჩემო გულო, ლექსის ზვარაკო,  
თუ, ამ, საოცარ სივრცეს შევაღწევ,  
ეგებ ღმერთანაც ვილაპარაკო...  
და ჰა, დედაო, წმინდა მარიამ,  
კვლავაც, ვედრებით, შენთან ვსაუბრობ,  
უკვდავყავ – ჩემი, ამაყი მოდგმა,  
და... ეს სამკვიდრო, – გმირთა საუფლო.



## მურილი ნაჭვრა

ყვავილნარს შევყე ფერებ-ფერებით,  
ვიყავ ლალი და გრძნობით  
დამტკბარი,  
მაგრამ, უცნაურ შეხვედრამ შემძრა –  
ფუტკარი ვნახე ნექტარს  
დამკვდარი.  
ალბათ, დამაშვრალს მადლიერს  
ხდიდა,  
ის, რაც საწუთომ ჯილდოდ  
არგუნა,  
რომ, სიკვდილის ნინ, გაფრენა  
შექლო  
და, კვლავ, ყვავილებს მიესალბუნა.  
ათასგარ ფიქრმა გაპერა გონებას,  
ვთქვი: თავი ჩემიც ისე გავნირო,  
მამულს დავაკვდე ნამდვილ ზვარაკად,  
უამთასვლამ მის მეკრდს ვერ დამაცილოს.  
და, როცა, დამკრავს მიმწუხრის ნამი,  
გრძნობა წამოშლის მას რაზეც ვწუხვარ,  
ო, მეც ამიხდეს, თუნდ, რაღაც, ერთი,  
ისე, ვით მაშინ, აუხდა ფუტკარს.



## რაჟდენ მექვევრიშვილი

და... ნუგეშისთვის, ვიქმარო...  
ეგ, წამნამებიც მდერიან,  
ლეინის შეხვევით ცინცხალო,  
მართლაც, რა ბედნიერია,  
შენი ალერსით, ვინც ხარობს.

## მეულოისადმი

არავინ იცის ძვირფასო, ჩემო,  
თუ, რას გვიმზადებს ცხოვრების კალო,  
ნუ მანებივრებ, – ამდენ ფერებით,  
ზოგჯერ, შენს თავზეც იჯიქრე, ქალო.  
ხშირად, ვკითხულობ: შენ, რა ხარ, – ჩემთვის,  
ჩვენს ლამაზ წლებზე, რა ვთქვა – ახალი?..  
მხოლოდ, მეუდღე?! ეს ცოტა გახლავთ, –  
ასჯერ, ათასჯერ, უფრო – მაღალი.

## წერილს გიგზავნი

წერილს გიგზავნი, ხელზე მიიღებ,  
ჩემო, სულდგმავ და ჩემო, ხატებავ,  
არა მგონია – შენი ბადალი  
თუ, კიდევ, ქვეყნად დაიბადება.  
შიგ, ისე, ლამაზ პანგებს ჩავაქსოვ,  
სული ჩაგიტყბოს თაფლის წვეთივით,  
რომ წაიკითხავ, თრთოლვამ დაგადნოს,  
ასე, სათნო და, ასე, კეთილი.  
ერთს გვევდრები: გაუძელ განცდებს,  
და მაგრძნობინე სუნთქვა გვირილის,  
არ გასვენებდეს ფიქრები ჩემზე,  
ვით დედას, თოთო ბავშვის ტირილი.  
ვიცი, ძვირფასო მძიმეა შენთვის,  
რომ... ამ წერილის გრძნობები ზიდო  
იქნებ, დღე, მხოლოდ უბით ატარო,  
ღამით, სასთუმლის ქვეშ ამოიდო.  
მშვენიერი ხარ და, მაინც, შევძლებ,

სულ, სხვა ფუნჯით და ფერებით  
გქარგო,  
მე, საალერსო წერილს გიგზავნი,  
ის, ბევრ სიხარულს მოგიტანს,  
კარგო.

## ჰიჭაბურის ფიქრები

სულ კამკამას და ანკარას,  
შენ თავს მაგონებს მთის წყარო,  
მზე ხარ მწველი და თაკარა,  
მარადუამს დაუვიწყარო.  
არ ვიცი, სხვა რამ, არ მახსოვს  
სულ, შენსკენ მინდა – ვიჩქარო,  
რომ... თვალი მოგურა, ლამაზო

37



## წილარჭულის ფერი

კარგ დროს მოველი ხვალ-ზეგ,  
სითბო-სინათლის ჩქერით,  
რადგან გამოკრთა ცაზე,  
ცისარტყელების ფერი.  
რა დელგმა გვედგა გუშინ,  
დელგმა ძმათაკვლა, ხოცვის,  
ტყვიებს გვიშენდნენ გულში,  
პირჯვრის წერით და ლოცვით.  
სულში – ათასი ფლიდი,  
გვიფათურებდა ხელებს,  
ერისკაცებად ვთვლიდით,  
ახალი მოდის მკვლელებს...  
დღეს, მიხარია – მზე რომ  
კვლავ, შენთვის ოქროსფერობს,  
ჩემო, ლამაზო ერო,  
კარგო და მშვენიერო...  
კარგ დარს მოველი: ხვალ-ზეგ,  
სითბო – სინათლის ჩქერით,  
რადგან... მრავლდება, ცაზე,  
ცისარტყელების ფერი.

## ზესიურ სამყაროში

ვიცი, იმ ზეციურ სამყაროში,  
დიდი სასწაული მელოდება...  
ის, რაც ხათელ ხსოვნას შერჩენია,  
თურმე, სულ, ახლიდან მეორდება.  
მე, ღვთის მოშიში და... მონა შენი,  
ღმერთო, მთელი გულით გევედრები,  
სული მიიღე და... დამიჩქარე,  
პირველ სიყვარულთან შეხვედრები.

ოლქა №2, 2022





ანზორ  
სივრაპვილი

როგორებ ჩანს, მეტად მნიშვნელოვანი აზრით ეწერა  
ის უსტკარში, მეფეს რომ მოართვეს, რადგან ვახტანგი  
კარგა ხანი ხმას არ ილერდა, გულში რაოდეს ხნონიდა და  
თავისთვის ექაუმრბოდა – ხან ლაპვებზე, ხან შუბლზე  
ხელს ისვამდა, ხანავ წვერ-ულვაძს აწვალებდა, ჩანდა,  
მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღო და  
არ სურდა შემჩრდარიყო და საქმე სანაცემლად გახდო-  
მოდა. ვინ იქნას, მის ახლანდელ საქმელზე იყო დამოკ-  
იდებული როგორებ თავად მისი, ისე სრულიად ქართლის  
მომავალი და ერთი არასწორი ნამისა იქნებ სამეფისნეროებ  
კი გამხდარიყო.

ანგორ სიფრაპლი

如图所示，一个质量为 $m$ 的物体，从高处由静止开始下落，经过时间 $t$ 后，速度达到 $v$ ，重力加速度为 $g$ 。求此过程中重力做的功。

## ვახტანგ გორგასალი

## ისტორიული რომანი

ფრაგმენტი

...ფიქრში გართულმა ვარაზმა ვერ შენიშნა, რომ მისმა ცხენმა კოჭლობა დაიწყო, სამაგი- ეროდ უშიშამ შეამჩნია და გაომოსძახა:

- შენ ცხენ მკელობელ ას, ვარაზო! გონ-  
ჯად თის!

ვარაზმა მყის შეაჩერა თავისი ქურანა, უნაგირიდან გადმოხდა და პირუტყვს ჯერ წინაფეხები გაუსინჯა, შემდეგ უკანა. მართლაც, აღმოჩენდა, რომ უკანა მარცხენა ფლოქვზე ნაოი ავართნოდა.

— შენ აქ დაყენდებოდე, მჭედელ ახლავ აქ  
გაგიჩნდების! — კვლავ გადმოსძახა ფხოველ-  
მა, ცხენს ქუსლი ჰკრა და მცირე ხნის შემდეგ  
ლაშქრის ერთ-ერთი მჭედელი ვარაზის ცხენს  
ფლოქვს უფხეკდა, რომ ყაირებით ნამგალივით  
მოხრილი ნალი დაჭიდებინა.

ამ საქმეში იყვნენ გართულნი, როდესაც  
სამხრეთიდან ჭენებით მომავალ მხედარს  
მოჰკრეს თვალი. ვარაზმა და უშიშამ ერთ-  
მანეთს გადახედეს: ვინ უნდა იყოს, ალბათ  
ვინმე ჩამორჩენილი ჩვენიანი თუა, რომელმაც  
მცირე ხნით გადაუხვია და ახლა წამოგვენიაო,  
მაგრამ კარგად რომ დაუკეირდნენ, მიხვდ-  
ნენ რომ ის მხედარი ქართლელს არ ჰეგვდა:  
ჭრელი სამოსი ეცვა და თავსარქმელიც ისეთი  
ეხურა, არასაპრძოლო, როგორსაც ახლა, ამ  
საომარ ჟამს არც ერთი ქართლელი მოლაშქრე  
არ ატარებდა. ის, რომ საომრად მომავალ მე-  
ბრძოლებთან უცხოს გამოჩენა საშიში იყო, ალ-  
ბათ ის ჭრელსამოსიანიც კარგად ხვდებოდა,  
რადგან ქუდი შორიდანვე მოიძრო, სატევარი  
კი, რომელიც, როგორც ყველა ჭეშმარიტ ვა-  
უკაცს, მასაც თან ჰქონდა, მათს დასანახად

წვერით ეკავა, რითაც ანიშნებდა, მშვიდობიანი განზრახვით გეახელით; ამასთან მეორე ხელში გრავილი მოყჩანია.

— ვარან თანგ! ვარან ხუასრო თანგ! — გა-  
ჰყეიროდა უცხო მხედარი და ამ დახვეულ ხბოს  
ტყავს მრავალმნიშველოვნად ატრიალებდა,  
რათა კარგად დაენახათ და მიმხვდარიყვნენ,  
რომ მათთან მიახლოება და გრაგნილის გად-  
აჯემა სურდა.

— სპარსელ არ ას, — თქვა უშიშამ, — ჰა, ვარაზო, სწორს არ ვიპნობ?

- ჰო, მართალი უნდა იყო, სპარსელს არ ჰგავს, - დაეთანხმა ვარაზიც, - ხედავ, გვანიშნებს, სამტროო არ მოვთივარო.

- ეს „ვარან-თანგ“ რო ჰყივის, რაი უნებს?
- „ვარან-ხუასრო თანგ“ ჩვენი მეთის სახე-

„ეკლესია მოვალეობის უკუნის ულია, აგრე ეძახიან სპარსნი, — აუხსნა

- სპარსელ რო არ ჰგავ ეგ ყმაი?
- დიახ, სპარსელი არ ჩანს, - კვლავ დაე-  
თანხმა მეგობარი, - აი მოახლოვდება და გავ-  
იგებთ. მჭედელო, მალე დაამთავრე, თორემ  
ძალიან ჩამოვრჩით, - მიმართა ცალ მუხლზე  
დაჩინქილ ნალბანდს, რომელსაც ცხენისთვის  
ფეხი აეწია და ქაჩაჩზე ნალის დაჭედებას გა-  
ნაარძობოდა.

— ახლავ, ძმობილო, — უკანმოუბრუნებლად მიუგო მჭედელმა, — აჟა, მოვრჩი კიდეც,  
— და ფლოქვი ხელიდან გაუშვა. ცხენმაც ფეხი გამართა და მყარად დადგა მიწაზე.

ამასობაში ის უცხო მხედარი მოახლოვ-  
და და კიდევ ერთხელ გაიმეორა:

- ვარან თანგ... - და სპარსულად დასძინა,
- სომა შეჭე...

– ჩვენი მეფე აგერ... – უპასუხა ვარაზმა და შემდეგ იმავე ენაზე სცადა გაეგებინებინა: – მა შაჲ რაფტან დარ! – და ხელი გაიშვირა, რითაც ანიშნა ვისაც ეძებ, აი იქით იპოვიო.

– სჯობს ჩვენ მივგვაროთ მეფეს, ვარაზო, – ურჩია უშიშამ და ვარაზიც დაეთანხმა, ახლად დაჭედილ ცხენს ზურგზე მოასტა და უცხო დესპანს მიუბრუნდა:

– ბაჲამ-ე რაფტან!

სამივემ ცხენები გააჭენეს და მალე ვახტანგ მეფესაც მოკვრეს თვალი, რომელსაც გარს ერი-სთავები შემორტყმოდნენ და საუბარ-საუბრით მიდიოდნენ.

– დიდო მეფეო! – შესძახა ვარაზმა, ცხენიდან ჩამოხდა და ვახტანგთან მიიქრა, – დიდო მეფეო!

ვახტანგმა მზერა მიაპყრო და როცა იცნო, ბაკურ ერისთავს გადახედა:

– ჩვენი კარის მგოსანიც ჩვენთანაა! აღბათ მნიშვნელოვანი რამ სათქმელი აქვს, აგრეა ხომ, ვარაზო?

– სწორედ რომ აგრე გახლავს, ბრწყინვალე მეფეო, – მოახსენა ვარაზმა, – აგერ ვიღაც უცხო დესპანი გეახლა, შენს ნახვას თხოულობს, რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელი უნდა ჰქონდეს.

– დესპანი? ვისგან? შაჲან-შაჲისგან?

– არ ვიცი, დიდო მეფეო. ჩვენსკენ მორბოდა და შენს სახელს იძახდა. მივხვდით, რომ შენთან ჰქონდა საქმე.

– კეთილი, ახლავ მომგვარეთ, – ბრძანა მეფეებ და არტავაზს გადახედა: – ვითომ ვისგან უნდა იყოს?

– რა მოგახსენო, მეფეო, – მხრები აიჩეჩა არტავაზმა, შემდეგ კი ხუმრობით დასძინა: – იქნებ ჰეფთალებისგანაა და დანებებას გვითვლიან?

– ჰეფთალნი აგრე იოლად არ დანებდებიან, – თავი გაიქნია ბაკურ ერისთავმა, – ეგენი ჰუნების მოდგმისანი გახლავან, მე ჰუნებთან მიბრძოლია და კარგად ვუწყი მაგათი ზნე. დიდად შეუპოვარი ხალხია.

დესპანად მოვარდნილმა ვახტანგ მეფეს ღრმად დაუკრა თავი და გრაგნილი გადასცა, რომელიც მეფემ იქვე გაშალა და თვალი ჩააყოლა, მერე კი გაოცებით შესძახა:

– არტავაზ, შენ თურმე მართალს ამბობდი! ჰეფთალთა ერთ-ერთი სარდლის უსტარია!

მეფემ კვლავ ჩახედა ბერძნული ასოებით ნაწერს და რაც მეტს კითხულობდა, განცვიფრება უფრო და უფრო იპყრობდა, შემდეგ,



## აზორ სიცრაშვილი

როცა კითხვას მორჩია, ერთხანს მდუმარედ, ჩაფიქრებული გასცემოდა შორს აღმართულ ხრიოკ გორაკებს, ბოლოს კი მოციქულს შეხედა და ერთადერთი სიტყვა გადაუგდო სპარსულად:

– ჰუბ!

ამ სიტყვას ყური მოჰკრა თუ არა, ჰეფთალთა დესპანმა ცხენი მიატრიალა და იმ მხარეს გაქუსლა, საიდანაც გამოჩნდა.

როგორც ჩანს, მეტად მნიშვნელოვანი ამბავი ენერა იმ უსტარში, მეფეს რომ მოართვეს, რადგან ვახტანგი კარგა ხანი

ხმას არ იღებდა, გულში რაღაცას სწონიდა და თავისთავს ესაუბრებოდა – ხან ლანვებზე, ხან შუბლზე ხელს ისვამდა, ხანაც წვერ-ულვაშს აწვალებდა, ჩანდა, მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღო და არ სურდა შემცდარიყო და საქმე სანაებლად გახდომოდა. ვინ იცის, მის ახლანდელ საქციელზე იყო დამოკიდებული როგორც თავად მისი, ისე სრულიად ქართლის მომავალი და ერთი არასწორი ნაბიჯი იქნებ საბედისწეროც კი გამხდარიყო.

მაგრამ ვახტანგი იმასაც ხვდებოდა, რომ იგი გადამწყვეტი არჩევანის წინამე იდგა და ახლა ეძლებოდა ვითარება, რომელიც უაღრესად ხელსაყრელი ჩანდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც მან განიზრახა, თუმცა ასარჩევი არც არაფერი იყო, სასწორი ერთი რომელიმე მხარეს უნდა გადახრილიყო: ან კარგისკენ და მაშინ ვახტანგ მეფისა და ქართლელთა დიდი ხენის სანუკვარი ოცნება აღსრულდებოდა, ანდა ცუდისკენ და მაშინ იქნებ ამდენი წლის ნაწვალებ-ნალოლიავები მიზანი ისე გამქრალიყო, როგორც უდაბნოში ანარეკლი შორეული ქალაქისა, რომელსაც ვერასოდეს მიაღწევდნენ.

ის არჩევანი კი, რომლის მიღებაც ვახტანგ მეფეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც მიანიშნა კიდეც ჰეფთალთა დესპანს იმ ერთი სიტყვით: „კარგი“, სწორედ უსტარის შინაარსიდან და იქ მოყვანილი შეთავაზებიდან გამოდინარეობდა.

ხოლო აი რა ენერა იმ უსტარში:

„დიდო ვახტანგ მეფევ, ვარან-ხუას-რო-თანგ! პეროზს ჰეფთალთაგან უეჭველი სიკვდილი ენევა, შენ კი ყურად იღე ჩვენი რჩევა: დანამდვილებით ვუწყით რა, რომ შენ მხოლოდ ხელდებული ხარ შაჲან-შაჲისა და არა მისი ერთგული, ხამს სხვა გზას დაადგე. ამ რჩევის სიკეთეს მალე მიხვდები“.

და ბოლოში მინაწერი ჰქონდა:





### მხატვარი სოფიო ჭელიძე

„ერთგული მუდამ ერთგულად რჩებიან, სიკეთე კი სიკეთეს შობს“.

უსტარი ბერძნულად იყო ნაწერი, რამაც ვახტანგ მეფე დაარწმუნა, რომ იგი მართლაც ჰეფთალთა მეფეს ან რომელიმე სარდალს ეკუთვნოდა: ისინი კვლავაც ბერძნულად სწერდნენ, მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა შვიდი საუკუნით წინ ეს მხარეები დაიპყრო და ელინური ანბანი შემოიტანა. მაშინაც და მერმეც ამ აღგილებს ბევრი მფლობელი ჰყავდა და ბევრმა დალაშქრა: ჯერ საკების ტომი დაეპატრონა, მათ ქუშანები მოჰყვნენ, საკები განდევნეს და თავად გახდნენ ამ მინა-წყლის პატრონები. შემდეგ, თავის მხრივ, ქუშანებს ჰეფთალებმა სძლიერ, რომლებმაც ინდოეთისკენაც ილაშქრეს, მაგრამ დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. სწორედ ქუშანებისგან გადაიღეს ბერძენთა ასოები ჰეფთალებმა.

მაგრამ ჰეფთალთა შორის ვინ უნდა ყოფილიყო ვახტანგ მეფის ერთგული და გულშემატკივარი? ანდა ვინ უნყოდა, რომ სპარსეთის შაპან-შაპს ქართლელთა მეფეც მოჰყვებოდა თავისი ჯარით? ეს კიდევ არაფერი, ვის უნდა სცოდნოდა, რომ ვახტანგ მეფე დღენიადაგ სპარსეთის ხელდებისგან გათავისუფლებაზე ოცნებობდა და ამ შორეულ ლაშქრობაშიც არა იმდენად პეროზის მოწოდების გამო, არა-ამედ თვით სპარსეთის წინააღმდეგ მომავალი

ომისთვის საჭირო საჭურჭლის მოსაპოვებლად გამოემართა და სიმართლე რომ ითქვას, მართლაც ალაფად აურაცხელი ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები და დიბა-ატლასი გააგზავნა ქართლში? ნუთუ ამ ყველაფერს ჰეფთალები მხოლოდ ვარაუდობენ? მაგრამ ვინ არის მათ შორის ისეთი ჭკვიანი, ვინც ამ ყოველივეს აგრე კარგად მიხვდა? ვინ არის, ვისაც არ სურს მომავალ შეტაკებაში ვახტანგ მეფეს რაიმე ზიანი მიადგეს და ამიტომ აფრთხილებს, სხვა გზით წარემართოს, არ მიჰყვეს შაპან-შაპს? ჰეფთალები რომ მამაცი ხალხია და დიდი შემართებითაც იბრძვიან, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ სრულიად სარწმუნოა, რასაც ისინი იქადნებიან – უეჭველად ბოლოს მოვულებთ ერანის მეფეთ-მეფესო, განა ერთხელ ტყვედაც არა ჰყავდათ იგი? მაგრამ ვახტანგს რაღად ინდობენ, ხომ უწყიან, რომ ისიც თავის სიმართან ერთად ებრძვის მის მტერს?

ანდა იქნებ ამ ყველაფერს მზაკვრობის სუნი უდის? თუ ჰეფთალებს ერწმუნება და სხვა გზას დაადგება, ამით ხომ ულალატებს შაპან-შაპს და მტერს ხახაში ჩააგდებს და შეატოვებს, რადგან ქართლელთა და ბერძნობა ლაშქარი არც თუ მცირეა, და მათს გარეშე ერანელთა ჯარი შესაძლოა მტერზე ნაკლები აღმოჩნდეს. იქნებ ჰეფთალებს ქართლელთა და ერანელთა გათიშვა სურთ, რათა შემდეგ ცალ-ცალკე გაანადგურონ ისინი? იქნებ სჯობდა ის მოციქული შეეპყრო და ყველაფერი პეროზისთვის შეეტყობინებინა?

მაგრამ არა, უსტარის წაკითხვისთანავე ვახტანგს გუმანმა უკარნახა, რომ დადგა ის დრო, როდესაც შესაძლოა ერანელთა ბატონობას თავი დააღნიოს: თუ ჰეფთალნი პეროზს ბოლოს მოულებენ, განა ეს ვახტანგის წისძვილზე არ დაასხამს წყალს? სხვისი მეშვეობით თავიდან მოიშორებს მბრძანებელს, ვისაც ჯერაც ემორჩილება ქართლი, რომელიც იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ ვერავითარ გარებებ არტახებს ველარ იტანს, როგორც უკვე წამოზრდილი ბალლი; თუ მართლაც ჰეფთალებმა პეროზს ბოლო მოულეს, მაშინ სპარსეთს საყოველთაოდ აღიარებული მეფეთ-მეფე აღარ ეყოლება, რასაც ქვეყანაში არეულობა და შფოთი მოჰყვება, ერანი ქართლისთვის ველარ მოიცლის, ამას კი ვახტანგ მეფე გამოიყენებს თავისი ქვეყნის კიდევ უფრო გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად, სხვა მინების შემოსაერთებლად, და როდესაც სპარსეთში ტახტს ვინმე დაეუფლება, თუნდაც ამ პეროზის მოქიშებმა ვალარში ან ძე ყობადი, მაშინ ქართლი უკვე იმდენად მძლავრი სახელმწიფო იქნება, რომ მის წინააღმდეგ ვერავინ გაბედავს მუშტების ქნევას.



აი ასე. იქნებ მთლად პატიოსნადაც არ იქცევა ვახტანგ მეფე, მაგრამ თავად პეროზი მის წინაშე, ქართლის წინაშე ვითომ როდის იყო მართალი? ის, ვინც სხვა ქვეყანას თავის ძალაუფლებას თავს ახვევს, ის კი მართალია? მტერს, როგორადაც არ უნდა იყოს მოსული: მახვილით თუ ოქროთი, მუდამ მტრულად უნდა დახვდე და ასეთ დროს ყოველგვარი ნაბიჯი, რომელსაც შენი ქვეყნისთვის სარებელი მოაქვს, ყოველმხრივ გამართლებულია. ვახტანგ მეფეს ახლა აქვს ხელსაყრელი უამი თავი დააღნიოს პეროზის, მაშასადამე, ერანის კლანჭებს, მაშ რად უნდა გაუშვას ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან? ნუთუ იმიტომ, რომ პეროზი ბალენდუხტის მამა? მერედა, ვითომ რა? ქალი სანამ გათხოვდება, იქამდეა მამისა, თორემ როცა გათხოვდება, მერე უკვე ქმრისაა, და მის საკეთილდღეოდ უნდა იღწვოდეს. აი, როგორც ამირანის თქმულებაშია, ყამარის მამა რომ არცხვენს თავის ასულს, რომელსაც მამა დაუთმია და საქმროს – ამირანს – მიმხრობია, ოდესალაც მეუფე მიქაელი რომ უყვებოდა რუსთავს ხაროში ჩამწყვდეულ ყმანვილ ვახტანგს:

„უყურეთ კახპა ქალასა, ქმარი არჩია მამასა, ქმარი ხეს ასხავს ფოთლებად, მაგრამ ვინ  
მისცემს მამასა?

რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა  
ნანასა,  
რად გაწოვებდა ძუძუსა, გირწებდა აკავანასა?”

დიახ, დიაცი რომ გათხოვდება, მერემე მამისა აღარაა, ქმრისაა, ხოლო როცა შვილი ეყილება, მას უკვე შეიძლება მამაც შესწიროს, ქმარიც და თავადაც შეეწიროს. სათნო და ზნეკეთილი ბალენდუხტიც ხომ აგრეა: რამდენი წელია რაც ქართლში იმყოფება და არას-დროს მოუსურვებია მამის კარზე გამგზავრება. თუმცა, აქვს კი ქვეყნის დედოფალს თავის გრძნობათა გამომჟღავნების უფლება? ანდა ვინ იცის, როგორ გრძნობს იგი ახლა თავს – ჯანსუსტად შექმნილა ბოლო ხანს, როგორც ქართლიდან მოსულთ მოიტანეს ამბავი. მაგრამ ვინ მისცა ნება გინდ დედოფალს, გინდ მეფეს, თავისი გრძნობები სახალხოდ წარმოაჩინოს და ქვეყნის სატკივარს არ დაუმორჩილოს? აი თავად მას, ვახტანგს, რა ხანია ენატრება თავისი ქართლი, მცხეთა, სვეტიცხოველი, სამეფო პალატები, თანამეცხედრე, თავისი ძე – არჩილ-დარჩილ-დაჩი ბიჭი, რომელიც ახლა უკვე შეღერებული ყმანვილი იქნება... ნეტავ ვინ უსინჯავს ახლა კბილს დაჩი-ბიჭს, ვინ წურთნის ხმალსა და მხედრობაში, როგორც მას წურთნიდა მამამისი, მეფე მირდატი, რომელიც ასწავებდა, ხმალი ყველაზე კარგად მტრის

სისხლში იწრთობაო?

მაგრამ არა, რა დროს გულჩეილობაა, ვინ იცის წინ რამდენი ბრძოლა და შეტაკება ელის, კიდევ რამდენი რამ გადახდება თავს, ვიდრე ცხენს ქართლისკენ მიაბრუნებდეს, ეს კი მხოლოდ მაშინ უნდა ქმნას, როდესაც ყველაფერს მიიღებს ამ დიდი ლაშქრობიდან, რომლის დროსაც მთელი აღმოსავლეთი გადაიარა და სპარსეთი გადასერა ჰინდოეთ ქვეყნამდე, საიდანაც აგერ ჩრდილოეთისკენაც გასწია და აი მიადგა მეტად მნიშვნელოვან ვითარებას – საკმარისია პეროზის კვალს გადაუხვიოს, რომ ყველაფერი დამში მოეწყობა – ეს უკვე სწავლას, ამაში უკვე დარწმუნდა, რადგან შაჰან-შაჰი ჰეფთალებისთვის საძულველი მტერია, მათ მიერ მისი მოკვლითა და მისი ლაშქრის განადგურებით კი ქართლიც იხეირებს და ვახტანგი გულში დიდი ხნის ნატარებ ოცნებასაც აისრულებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ ფიქრობენ ჰეფთალნი, რომ ვახტანგი მათ მოკავშირედ გაუხდებათ? ალბათ იქიდან, რომ თავადაც ასე მოიცეოდნენ: ვის გვერდშიც არ უნდა იყო, უმთავრესი შენი ქვეყნის მომავალია, ის უნდა იყოს უზენაესი, მას უნდა შესწირო ყველაფერი! ვახტანგისთვის ხომ ქართლზე უმაღლესი რამ ღმერთს ჯერ არაფერი შეუქმნია! ქართლის კეთილდღეობისთვის, განმტკიცებისთვის, ძლიერებისა და თავისუფლებისთვის იგი ყველაფერზე წაგა, მათ შორის ისეთ ნაბიჯზეც; რასაც ერთი შეხედვით დალატი ჰქვია! პეროზის ლალატი! მაგრამ პეროზი, როგორც ერანის შაჰან-შაჰი, დიდი ხანია ვახტანგს გულში მტრად მიაჩინა, ამიტომ ეს ნაბიჯი დიახაც მის სინდისთან არ იქნება შეპირისპირებული!

მაგრამ არა, ვახტანგ მეფე! სინდისი ყველაზე დიდი რამაა, ღმერთის შემდეგ, რასაც ადამიანი უნდა დაემორჩილოს და ანგარიში გაუზიოს, მის სანინააღმდეგოდ არ წავიდეს და თავი არ ამხილებინოს! დე ჰქმენ ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგაც მართალი იყო ღვთისა და შენი თავის წინაშე! აცნობე პეროზის რომ ჰეფთალნი მახეს გიგებენ და თუნდაც დროებით შეაჩერე მათზე თავდასხმა და მათთან ბრძოლა-თქო! პეროზი რისი პეროზი იქნება, აქ მოსული უკან გაბრუნდეს, საომრად აღერილმა მტერს ზურგი აქციოს – ეს ხომ ღარისებას ემგვანება მისი მხრიდან და ბრძოლისათვის თავის არიდებას! ის მაინც პირდაპირ მიეტევა ჰეფთალთ, და თუ მათ შემონათვალში სიმართლე ურევია, უბედურებას მაინც დაიტებს თავზე. სამაგიეროდ შენ სინდისი სუფთა გექნება, ვახტანგ მეფეო!

და ვახტანგ მეფემაც მალემსრბოლი აფრინა შაჰან-შაჰთან და უბრძანა მოეხსენებინა



მისთვის, რომ მტერზე გამარჯვებისთვის მან გადაწყვიტა შორიდან შემოევლო იმ ველისთვის, სადაც ჰეფთალნი იყვნენ დაბანაკებულნი, რათა მათვის გვერდიდან დაეკრა, როცა პერიზი პირისპირ შეუტევდა, თუმცა ამასთან ურჩევდა პეროზს, რომ ჰეფთალნი ვერაგი ხალხია და ეჭვი მაქვს, ახლაც რაღაც ხაფანგს გიგებენ, უმჯობესი იქნება, თუ მცირე ხნით მათთან ბრძოლაზე უარს იტყვიო.

გამართლდა ვახტანგის ვარაუდი: შაპან-შაპმა არ ირჩეუნა რომ ჰეფთალები მას რაღაც ონს უწყობდნენ, ხოლო ვახტანგის მიერ ბრძოლის ველის გარშემოვლამ ძალზე განარისხა, რადგან მან ჯერ კიდევ წინადღით გაუგზავნა ბრძანება როგორც ქართლის მეფეს, ისე ბიზანტიელ სარდალს, რომ ერთობლივი პირდაპირი იერიში მიეტანათ მოწინააღმდეგზე, რათა სიჭარბით წელში გაეტეხათ იგი და გაენადგურებინათ. ამიტომ იყო, რომ პეროზმა დაუყოვნებლივ უბრძანა თავის სიძეს ლაშქრით მასთან გამოცხადებულიყო და რომელიმე მხრიდან შემოვლაზე არც კი ეფიქრა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ქართლელებმა მარცხენა მხარეს გადაინაცვლეს და გზა დამოუკიდებლად განაგრძეს, ხოლო ვახტანგ მეფემ კიდევ ერთხელ გაუგზავნა მალემსრბოლი შაპან-შაპს და კვლავ სცადა დაერნმუნებინა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

შაპან-შაპს ისლა დარჩენოდა, რომ რისხვით მხოლოდ კბილი კბილისთვის დაეჭირა და საბრძოლოდ მომზადებულიყო, რადგან ჰეფთალთა ჯარი უკვე თვალდასანახავში მოჩანდა. პეროზმა კიდევ იმიტომაც შეიკავა თავი ვახტანგისთვის რისხვის შეთვლისგან, რომ იმედი მოეცა ჰეფთალებს თავისი ლაშქრითაც დაამარცხებდა: მტერი დაბლობ ადგილზე იმყოფებოდა, მაშინ როცა სპარსელთა ჯარი მაღლობიდან უნდა დაშვებულიყო და თავს დასტყდომოდა. ეს ვითარება მართლაც დიდ უპირატესობას ანიჭებდა სპარსელთ და გამარჯვების სანინდარადაც შეიძლება გამომდგარიყო, ხოლო შემდეგ, როდესაც შეტაკებაში ჩართულ ჰეფთალებს ქართლელნიც დაჲკრავდნენ, მათი ბედი მალევე გადაწყდებოდა.

ვახტანგ მეფის ლაშქარი კი მცირე გორაკებზე გადადიოდა და ნელ-ნელა იმ ადგილს უახლოვდებოდა, სადაც ჰეფთალნი იყვნენ დაბანაკებულნი. მხედარი არ ჩქარობდნენ, მათრახებს არ ხმარობდნენ და არც ქუსლს ჲკრავდნენ ცხენებს, რადგან იცოდნენ, რომ ბრძოლაში ჩაბმა მოგვიანებით მოუწევდათ, მას შემდეგ, რაც ერანელთა ძირითადი სპაშუაგულ შეტაკებაში აღმოჩნდებოდა. ასე იმიტომ იყო გადაწყვეტილი, რომ ბრძოლის დაწყებას ქართლელნი დასვენებულნი შეხვედროდ-

ნენ და როცა ბრძოლის სასწორი სპარსელებსა და ჰეფთალებს შორის ქანაობას დაიწყებდა, აი მაშინ დაეკრათ საერთო მტრისთვის ანუ თეთრი ჰუნებისთვის, როგორც ამ ტრიალ ველებზე მაცხოვრებლებს თუ მომთაბარეებს ეძახდნენ, და ბრძოლის ბედიც საბოლოოდ ქართლელ-ერანელ-ბერძენთა სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

სწორედ ამას იზრახავდა ვახტანგ მეფე, რაც შეატყობინა კიდევ შაპან-შაპ პეროზს, რითაც გაამართლა თავისი ნაბიჯი ჯარით ცალკე გასვლის შესახებ, და ასეც მოიქცეოდა თუ...

თუ, რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებული არ მოხდებოდა, ანუ ის, რაც ჰეფთალთა ბანაკიდან მისადმი გამოგზავნილ, სპარსელთაგან საიდუმლო უსტარში იყო ნათქვამი.

ვახტანგ მეფეს ეს უსტარი დიდ ეჭვს აღუძრავდა, თუმცა მცირე ნდობისკენაც უბიძგებდა.

ასე იყო თუ ისე, ვახტანგი თავისი გეგმით მოქმედებდა, რომელიც არც მწვადის დაწვას გულისხმობდა, არც შამფურისას: თუ სპარსელი სძლევდნენ ჰეფთალებს, ქართლელები გადამწყვეტი დატყმით ლომის წილს შეიტანდნენ ბრძოლის წარმატებით დასრულებაში, ხოლო თუ ის მოხდებოდა, რაც ჰეფთალთა მიერ იყო საიდუმლოდ განდობილი, ანუ ისინი ბრძოლის დაწყებისთანავე პეროზსა და მის ჯარს გაანადგურებდნენ, ვახტანგ მეფე აქაც მოგებული გამოდიოდა, რადგან ბრძოლაში თავიდანვე არ ჩაებმებოდა და ამ ნაბიჯით ერანელთა მარცხს ხელს შეუწყობდა.

რა თქმა უნდა, ვახტანგ მეფე იმასაც ხვდებოდა, რომ მისი ეს მოქმედება სინდისთან ცულისპირზე გადიოდა, მაგრამ როცა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანები საკითხი წყდება, იქ სინდისმა უკან უნდა დაიხიოს და ადგილი ქვეყნის სასიკეთო ნაბიჯს დაუთმოს, თუნდაც ამის გამო გასაკიცხი შეიქნეს.

გამოხილისას პეროზმა შეატყობინა: უკვე მოწინააღმდეგებს მივადექი, სადაცაა ბრძოლაში ჩავებები და მზად იყავი, შეტაკების დაწყებისთანავე გვერდიდან შემოუტიერ.

როდესაც მცირედ კიდევ ინათა, ისე, რომ მზე ჯერ არ ამონვერილიყო, მაგრამ ცაზე ვარსკვლავები უკვე აღარ მოჩანდა, ვახტანგ მეფე იმ გორაკს გადადგა, რომლის დაბლაც დაცემულ ვრცელ ვაკეზე უამრავი კოცონი ენთო, რომლებიც, რა თქმა უნდა, ჰეფთალთა ლაშქარს ეკუთვნოდა, ხოლო ამ ველს მომდგარი მთის სერიდან, ვახტანგისგან ხელმარჯვნივ, სამი-ოთხი აღაჯის მანძილზე, ერანელთა ჯარი მტერზე თავდასასხმელად თავქვეეშვებოდა.

მოჩანდა როგორც ჰეფთალთა ბანაკი, ისე სპარსელთა თავქვემსვლელი ჯარი, წინ რომ



რჩეული მხედრობა მიუძღვდა. იმ მხედრობაში გამოირჩეოდა სულ თავში მომავალი ასამდე მენინავე მხედარი, რომელთაც თავად შაპან-შაჲში მიუძღვდა წინ. მათ შორის მრავლად იყვნენ სხვადასხვა შაპრებისა და დასტაკერტების მფლობელნი, მათ კი მთავარი ნაწილი მოსდევდათ ლაშქრისა. დიახ, ორივე მოწინააღმდეგე მშვენივრად მოჩანდა იმ ადგილიდან, სადაც ვახტანგ მეფე ერისთავებთან ერთად იდგა და სადაც ქართლელთა ლაშქარი ბრძოლის დაწყების მოლოდინში შეჩერდა.

ვახტანგ მეფეცა და ერისთავებიც კარგად ხედავდნენ, როგორ ეშვებოდნენ თავქვე ერანელი მხედრები, როგორ ფრთხილობდნენ და მაინც უსხლტებოდათ ფეხი ცხენებს, ხრიალითა და გრუხუნით როგორ მიხტოდნენ ქვემოთ მათი ფლოქებისგან დაგორებული ქვები, როგორ აქეზებდა შაპან-შაჲში მეომრებს მტრის გასანადგურებლად, როგორ უფრიალებდათ წამოსასხამები შაპან-შაჲსაც და სარდლებსაც, და როგორ ალაპლაპდა მათი შიშველი ხმლები ახლად ამოსული მზის სხივებზე.

ერანელნი ორ მალალ, კლდოვან მთას შორის მოქცეული საქმაოდ ვიწრო გასასვლელით ეშვებოდნენ მტრისკენ. ველის თავზე, სადაც ჰეფთალნი ელოდნენ მოწინააღმდეგეს, არც თუ ისე ვრცელი ტაფობი იყო, რომელიც ერთი მხრივ შორს გაშლილ ველს ებჯინებოდა, მეორე მხრივ მთებიდან ჩამოსასვლელს. იმ ტაფობს რომ ჩაათავებდნენ, სპარსელნი უშუალოდ დაატყდებოდნენ თავს მოწინააღმდეგეთ, რომელნიც, ასევე ცხენზე ამხედრებულნი, გრძელშუბებშემართულნი ელოდნენ თავდამსხმელებს.

აი შაპან-შაჲშამაცა და მისმა მოლაშქრეებმაც ვიწრო ხეობას თავი დაალწიეს, ცხენები მინდორზე გამოაჭენეს, მცირედ გაიშალნენ, ოდნავ შედგნენ, თითქოს მუხლებიდამ ქარი ამოიღესონ და ხმლები და სატევრები ჰერში ყიუინითა და ყვირილით შეათამაშეს, დროშები ააფრიალეს და მტერს რისხვა-მუქარა და წყევლა-კრულვა შეუთვალეს. მცირე ხნით შაპან-შაჲშამაც შეაყენა ცხენი, შორიდან კარგად ჩანდა თუ ჯილიანი მუზარადი როგორ ელავდა მის თავზე, ჯაჭვის ჰერანგი თითქმის მუხლებს უფარავდა, ცხენსაც ჯავშნით ჰერნდა დაფარული მკერდი და თავ-კისერი, რაც უეჭველად დაამძიმებდა, მაგრამ ჯიშიანი ბედაური კარგა მოზრდილი და ღონიერი ჩანდა, ეს კი ალბათ ჰეროზს ბრძოლაში იმედს უნერგავდა.

მცირე ხანიც და ჰეროზ შაპან-შაჲში კივილმა ხმალივით გააპო:

— პიის! სექასთაან!

და ჯერ მენინავე რაზმი დაქანდა მტრისკენ გრიგალივით, მას შაპან-შაჲში მიჟყვა მცველებით გარშემორტყმული, შემდეგ კი მთელი ლაშქარი

ზვავივით გრიალით დაეშვა ველისკენ.

და სწორედ აյ შეიქნენ ვახტანგ მეფეცა და ერისთავებიც საოცარი, მანამდე არნახული, ენით აუწერელი სანახაობის მოწმენი, რომელმაც არა მხოლოდ გააკვირვა ყველა, არამედ შეაძრნუნა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის დიახაც მისაღები იყო აზრი მტრის გასანადგურებლად ნებისმიერი ხერხის გამოყენების თაობაზე. თავად ვახტანგ მეფე პატიოსან ბრძოლას იყო ნაჩვევი და ვერაგობას მუდამ გაურბოდა, თუმცა ეშმაკობასა და მოხერხებას, რასაც შეიძლებოდა მოწინააღმდეგის მოსპობა მოჰყოლოდა, დიდად აფასებდა.

გარდა ამისა, ვახტანგ მეფე დიდად კმაყოფილი დარჩა იმისა, რომ უცნობი გულშემატკივრის შემოთვლილ გაფრთხილებას ენდო და ცალკე გზა აირჩია, ლაშქარიც ცალკე გაიყვანა და შაპან-შაჲში ჰეროზს არც გვერდში მიჟყვა და არც უკან ჩაუდგა. ასე რომ არ მოქცეულიყო და მომავალი ხიფათი შორიდანვე არ ეგრძნო, დღეს ისიც თავისი სიმამრისა და მისი მოწინავე ჯარის ბედს გაიზიარებდა.

განა რა მოხდა ისეთი? ოო, მოხდა საშინელი რამ!

აი ისმინეთ: როდესაც ერანელთა პირველი წყება მეომრებისა და მასთან ერთად მცველებით გარშემორტყმული შაპან-შაჲში ყვირილით, კივილით, წივილით, ხმლების ტრიალითა და ცხენთა ჭიხვინით ველისკენ გრიალით დაეშვა, სადაც მათ მომლოდინედ ჰეფთალთა მთელი ლაშქარი შუბშემართული გაუნძრევლად იდგა, სამასი-ოთხასი ნაბიჯის გავლის შემდეგ მოულოდნელად თავდამსხმელთა ფეხქვეშ მინა ერთიანად კარგა დიდ მოწაკვეთზე ჩაიქცა და სპარსელთა ეს მრავალრიცხვანი მხედრობა ვება ორმოს ფსკერზე მაგრად ჩასობილ შუბებს მთელი ტანით დაენარცხა, დაენარცხა და ფოლადის წვერებზე წამოეგო, ისე რომ ვერც აბჯარმა უშველა ვერავის და ვერც ჯაჭვის ჰერანგმა!

შეიძრნუნებული, გამეხებული უცქერდნენ ჸართლელნი ამ ჯოჯოხეთურ სასაკლაოს და ხმას ვერც ერთი ვერ იღებდა, იმ მგელივით პირდალრენილი ორმოდან კი, რომლისთვისაც შეიძლება მართლაც მგლის ორმო გვენოდებინა, შესაზარი და სასონარკვეთილი ხმები მოსმოდა.

ერანელებში საშინელი ზედახორა შეიქნა: მხედრებმა, რომლებიც უკან მოჰყვებოდნენ ჰეროზს, თავი ვერ შეიკავეს და ისინიც ზედ დაენარცხენ ორმოში ჩაცვენილთ, ისევე როგორც მომდევნო რიგებში მომქროლავმა მხედრებმა ცხენებს თავი ველარ დაუჭირეს, წინ მიმავალთ დაეჯახნენ და მათთან ერთად ისინიც ფსკერზე აღმოჩნდნენ. მხოლოდ მეათე-მეთხუთმეტე რი-





გის ცხენოსნებმა მოახერხეს ბედაურების და-ოცება და თავის შეეავება, მაგრამ რაღა დროს: რამდენიმე ასეული ცხენ-კაცი წვეტიან შუბებ-ზე სულს ღაფავდა, რომელთა შორის ერთ-ერთი შაპან-შაპი პეროზიც იყო.

ამ ვეება ორმოს კედლები შვეულად იყო ჩათხრილი, ალბათ ათი-თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე, რის გამოც თავზარდაცემულ ჩა-ვარდნილთაგან ცოცხლად გადარჩენილი იქიდან ამოსვლასა და თავის შველას ვერ ახ-ერხებდნენ, არც იმის საშუალება იყო, რომ ორ-მოს პირს მიმდგარნი შიგ მყოფთ დახმარებოდნენ, ან კი ამისთვის ვის ეცალა, თუმცა რომც ეფიქრათ, იმ წამებში საიდან გააჩენდნენ თოკ-ის კიბეებსა თუ გრძელ ლატანებს?

ჰეფთალნი კი ზეიმობდნენ! წარმოუდგენ-ელმა სიხარულმა მოიცვა თვითეული მათგანი, ბედნიერნი ზურგზე ხელის ტყაბუნით ერთ-მანეთს ეხვეოდნენ, მიწას ჰკოცნიდნენ, მუზა-რადებს ჰაერში ისროდნენ, ცეკვავდნენ, გაჰკი-ოდნენ და მუქარას უგზავნიდნენ ორმოს პირზე შეჩერებულ მონინაალმდეგეთ, რომელთაც ველ-არ გაეგოთ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ, რადგან წინამძღოლი და მბრძანებელი აღარ ჰყავდათ: შაპან-შაპი პეროზი ერთ-ერთ მსხვ-ილტარიან და მახვილწერა შუბზე ფერდით იყო ჩამოცმული.

ერთ დროს ქუშანთა მეფედ წოდებული სრულიად ერანისა და ანერანის შაპან-შაპი პეროზი, რომლის მამამ – იეზიდიგერდმა და ძმამ – ჰორმიზდმა და თავად მანაც არაერთ-გზის მოჭრეს ოქროს დინარები და დრაჟმები, რომლებზედაც ისინიც ამ ხალხის მეფეებად იყვნენ წარმოდგენილნი, ქუშანების ადგილი კი შემდეგ ჰეფთალებმა დაიკავეს და აი, ჰეფთალ-თა დაუძინებელი მტერი პეროზი ახლა მოკლუ-ლი იყო სწორედ იმ ჰეფთალთა მიერ, რომლებ-მაც თავის დროზე ის ქუშანები დაამარცხეს.

ამ ყოველივეს მხილველმა ვახტანგ მეფე ღრმად ამოისუნთქა და პირჯვარი გადაიწერა.

ვინ იტყვის რის გამო გადაიწერა პირჯ-ვარი დიდმა მეფემ, დიდმა ვახტანგ გორგასალ-მა? იქნებ ეს შვებით ამოსუნთქვისა იყო, რომ შემოთვლილი რჩევა გაითვალისწინა და აი ამგ-ვარ სიკვდილს თავი აარიდა; იქნებ იმის შვე-ბისა იყო, რომ შაპან-შაპი, მიუხედავად იმისა, რომ სიმამრად ეკუთვნოდა, მოკვდა და ვახტანგ მეფეს ახლა ხელმდებელი აღარ ჰყავდა, ვის ბრძანებებსაც, სურდა თუ არა, აქამდე ემორ-ჩილებოდა; იქნებ ეს იმ შვებისა იყო, რომ პერ-ოზის სიკვდილმა ხელფეხი გაუხსნა სამშობლო-

ში დასაბრუნებელ გზას დასდგომოდა, რასაც უახლოეს დღეებში აღასრულებდა კიდეც; იქნებ სიხარულისა იყო, რადგან ამიერიდან ვახტანგ მეფე სრულიად დამოუკიდებელი გახდა და შეე-ძლო თავისი ძალ-ღონე მხოლოდ თავისი ქვეყ-ნის განმტკიცებისთვის შეელია; ვინ იცის?

უმრავლესნი ჰეფთალებისა ჯერაც ისევ ზეიმობდნენ და ხარობდნენ, რომ მათმა რამ-დენიმე ასეულმა მხედარმა ამ ვეება ორმოს გარს შემოუარა, მოულოდნელი უბედურები-სგან დაზაფრულ სპარსელებს მიეტია და აი-ძულა გაქცეულიყვნენ, ხოლო როცა ერანელნი აოტნეს, იმ ვეება ორმოს გარს შემოერტყყნენ და ცოცხლად გადარჩენილები თოკებით ამოათრის. როგორც შემდეგ გაირკვა, ტყვედ ჩავარდნილთა შორის ვასპუპრი ანუ მეფის ძე, ყობადიც აღმოჩნდა და გამოდიოდა, რომ ტახ-ტზე პეროზის ძმა – ვალარში ადიოდა.

უწინამძღვროდ დარჩენილ ერანელთა წი-ნაშე ახლა მხოლოდ ერთი გზადა მოჩანდა: ცხ-ენები მიებრუნებინათ და თავლაფდასხმულნი, უომრად დამარცხებულნი და შერცხვენილნი, ნაცემი ძალებივით კუდამოძუებულნი გას-ცლოდნენ ამ საზარელ სასაკლაოს, გაქცეული-ყვნენ, რათა იქნებ საკუთარი თავი მაინც გა-დაერჩინათ.

მართლაც, ქართლელნი მალე მოწმენი გახდნენ მეტად საგალალო სურათისა: თავ-ჩაქინდრულმა, ხმაჩანყვეტილმა სპარსებმა სა-დავები მოსწიეს, ბედაურები მიატრიალეს და ნირნამხდარნი აღმართს შეუყვნენ.

ვახტანგ მეფე, ნანახით დაზაფრული, კარ-გა ხანს დუმდა. დუმდნენ ერისთავნიც. თვი-თეული თავის ფიქრს მისცემოდა, თითქოს კვლავაც ახლახან აღნერილ სურათს გასცერი-ანო, კიდევ და კიდევ უტრიალებდათ თვალნინ ყოველივე ის, რაც ნახეს, და ბედის მადლო-ბელნი იყვნენ, რომ მათმა წინამძღოლმა, მათმა მეფემ ისინი ამ განსაცდელს აარიდა, თორემ სრულიად შესაძლებელი იყო მეფესთან ერთად თუ ყველა ერისთავი არა, რომელიმე მათგანი მაინც აღმოჩნდილიყო იმ ხაფანგში, სადაც, თუ ჩავარდნისას სასწაული მოხდებოდა და ვინმე შუბის წვერზე არ დაეგებოდა, მერე მაინც სიკ-ვდილისგან ანდა ტყვეობისგან ვერაფერი იხ-სნიდა.

ამიტომაც იყო, რომ ყველა, მეფეც და ერი-სთავებიც, თითქოს შეთანხმებულანო, მიწაზე ჩამოხდნენ, მუხლებზე დაეცნენ და სამადლო-ბელო ლოცვა აღავლინეს.



ანა  
განოველი

შატონ ფარნა რაინსულს

ნიჭიერი ხართ, – ძალიან,  
გამორჩეული, ქებული,  
თქვენი ლექსები ბრნყინავენ, –  
წინაპართ მადლით ცხებული.  
სამშობლოს დიდი ბურჯი ხართ,  
ვერ შეგვდრებათ ვერავინ,  
სულ, შეკაზმული გყოლოდეთ:  
მუზის და ლექსის მერანი.  
თქვენით ამაყობს სამშობლო, –  
ყველას უყარხარხართ, ძალიან,  
საქართველოც და თელავიც –  
ხომ, თქვენი საფიცარია.  
ლექსით ატარებთ მზის შუქებს,  
სულით და გულით მზიანობთ,  
მზე წარმატებებს გისურვებთ,  
კეთილო ადამიანო.

ლუწილი ღერდას

ეს, — ლურჯი ცა და იები,  
მუდამ, დედას მაგონებს,  
ვერა, და ვერ შეველი —  
ამ, ხატულა: მთა-გორებს.  
მსურს, იები მოვუკრიფო,  
გაზაფხული ვახარო,  
სიხარულით გაუძრნყინდეს  
დედას მთელი სამყარო.  
დღოშასავით ფრიალებდეს  
დედის თეთრი მანცილი,  
ჩვენს გულებში გიზგიზებდეს  
სიყვარული ნამდვილი.  
მინდა გულში ჩავეხუტო,  
დაგუკრცნო თვალები,  
მთელ ქვეყანას მირჩენია, —  
დედას — ვინაჲვალები.

გულში სხივი ჩასახლდა,  
 სულში ჩაფება ნათელი,  
 მზემ დაანთო ზექაში,  
 უთვალავი სახელელი.  
 ლამაზ-ლამაზ კურვილემს,  
 გაყშლიათ გულები,  
 ასე, — სირილ-სირილით,  
 მოდას გაზაფხულები.  
 აპრილია, აპრილი,  
 გაზაფხული მოვიდა,  
 აჭმების და ნუძების,  
 კურვილების ოვითა.  
ანა მანოშვილი

ანა განოშვილი



მინდა გული გაჩერქო!...

გუძღვნი ჩემს საყვარელ  
შვილიშვილს მარიამს  
  
მინდა: გული გაჩუქო,  
ჩემო, მზეო ნათელო,  
ჩემო, სულის საუნჯვე,  
ანთებულო სანთელო!..  
მინდა, რომ დაგიკოცნო:  
ეგ, ლამაზი თვალები,  
ჩემო, შუქურ-ვარსკვლავო,  
შენ კი გენაცვალები.  
ახლაც, შენთან მოვდივარ,  
შენსკენ მომიხარია,  
შენით ძრწყინავს სამყარო,  
მენატრები ძალიან.  
მინდა: გული გაჩუქო,  
ჩემო, მზეო ნათელო,  
ჩემო, სულის საუნჯვე,  
ანთებულო სანთელო!

აპილითა, აპილი!

აპრილია, აპრილი,  
გაზაფხული მოვიდა,  
ატმების და ნუშების,  
ყვავილების თოვითა.  
მოფრენილან მერცხლები,  
ისმის ჭიკვი-გალობა,  
მიწას მოუტნია,  
ქვეყნად უხვი წყალობა,  
რა დარია, რა დარი,  
რა ზღაპრული ფერები,  
სასხასებენ ტყეები,  
დახატულა ველები.  
გულში სხივი ჩასახლდა,  
სულში ჩადგა ნათელი,





## ჩემო ლამაზო წიგნათელა!..

ისევ, ოცნებით მოვალ შენამდე,  
და... გულით დამაქეს – გრძნობა, – რამხელა,  
რად შემიყვარდი – ასე, ძალიან?  
ჩემო, ლამაზო ციცინათელა...  
რად შემიყვარდი – ასე, ძალიან?  
სულ, სხვა თილისმით  
და, სულ, სხვა გზნებით?  
მსურს, სარის ტანზე შემოგეხვიო  
და, დამიკუცნო – ხვეული თმები.  
ნეტავი, ისევ, მოვიდეს დიღა,  
ვარდისფერ გზებით მინდა გატარო,  
რომ სიყვარულის შუქით ბრნყინავდეს:  
ციცინათელა, მთელი სამყარო...  
მოდი, რომ... ისევ, მოვიდეს განცდა  
და, შენზე ფიქრმა გული დალალოს;  
მოდი, რომ დიდხანს ვუცქირო თბილად,  
შენი თვალების –  
ლამაზ სამყაროს.  
შენსკენ მოვილტვი, ჩემი ფიქრები.  
კვლავ, შენითა და ლექსით იწყება,  
ვით, ჯალისნური ზღაპრები, – ლამის,  
სიყვარული და თავდავიწყება!...

## ჩემი ქხოვრების კალოე გავლენე!...

ჩემი ცხოვრების კალოც გავლენე  
და, საბოლოო, გავავლე ხნული,  
ვგრძნობ, რომ სიბერე შემომეპარა,  
იქნებ, ვერც ვნახო მე გაზაფხული.  
გაზაფხულობით მოირთვებიან,  
ვით, პატარძლები, ტურფა ხები,  
როგორც მერცხლები, ისე გაფრინდნენ:  
ჩემი – წლები და: ჩემი – დღეები.  
ვიცი, მოვწყდები, როგორც ფოთოლი,  
კართან დამტოვებს წელი ბებერი,  
მხოლოდ ერთი რამ მრჩება სადარდოდ,  
და გულში, ობლად, სანატრებელი.



## ანა მაროვაზილი

ნეტავ, არ მოვკვდე შემოდგომაზე,  
ნუ გამაცილებს ფოთლების თოვა,  
დე, ყვავილებმა მიტირონ ხეთა,  
როცა, სიკვდილი ჩემთანაც მოვა.

## მარტოობის მეშინია

მარტოობის მეშინია,  
ქარისა და ქარიშხლის,  
შენ კი, მაინც, მიმატოვე,  
ნასვლას, მაინც, არ იშლი,  
ისევ, მოვა შემოდგომა,  
ცივი ქარი დაბერავს,  
ჩვენს გულებში ყინულია,  
უფსკრულია, – რამხელა.  
რა ხანია, ჩამოაჭენათ,  
ვარდებს თეთრი რტოები.  
დავალ, მუდამ, სევდიანი,  
კენტად, განმარტოებით.  
მარტოობის მეშინია,  
ქარისა და ქარიშხლის,  
შენ კი, მაინც, მიმატოვე,  
შენ კი, ნასვლას არ იშლი.

## რაფ მინდა, ნეტავ, უშენოდ!...

ნეტავ, რად დაიგვიანე,  
ჩემო ოცნებავ, მზიანო,  
ეს, ჩემი გული – გეძახის  
და... სულიც – შენით ხმიანობს.  
მოდი, ჩამოჰყევ ჩანჩქერებს,  
ერთად დავლაშექროთ მთებია,  
ქარი გაიშლის დალალებს,  
თუ, შენი გიშრის თმებია.  
რად მინდა, ნეტავ, უშენოდ,  
შემონათება დილისა,  
შენ, ჩემო სულის მალამოვ,  
ჩემო ოცნებავ, თილისმავ.  
რად მინდა, ნეტავ, შევიგრძნო  
სურნელი ლამაზ ვარდისა,  
რადგან, შენა ხარ – საწყისი, –  
ჩემი ფიქრის და დარღისა.  
რად მინდა, ნეტავ, უშენოდ,  
მზერა მინდვრების, ველების,  
ხილვა ცისფერი ზეცისა,  
ლამაზი ცისარტყელების,  
რა ვქნა, უშენოდ, ვერა ვძლებ,  
არ მეკარება ძილია,  
სიყვარული, ხან, მწარეა,  
ხანაც თაფლივით ტკბილია.  
მოდი და გამოანათე,  
და... გამიხარე გულია,  
სიყვარულის დრო მოვიდა  
ლამაზი გაზაფხულია.



## საბავშვო ღერსები

### ვაჟა მიროტაძე

ს ა ბ ა ვ შ ვ მ ღ ე რ ს ე ბ ი

ანი, ბანი, განი, დონი,  
ყველა ასო, ყველა ბგერა,  
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა,  
ამიტაცა, ამამლერა.  
ვაჟას მთების არნივივით,  
ერთ ლაუფარდში მიყვარს ფრენა,  
სააკაძის მახვილს ვლორვა,  
იაკობის ფეხა ენას.  
ტატოს ლექსის სტრიქონს ვკოწი,  
მესმის მერნის ფლორეთა ზუმა,  
ურჩხულს პოროლს როვა ვტყორენი,  
მეუფლება ალმაფრენა.

ვაჟა მიროტაძე

47



ს ა ბ ა ვ შ ვ მ ღ ე რ ს ე ბ ი

### სამი ფა

მზეც კი ვერ მივა იმათთან,  
რისი ვარდი და ატამი,  
სამი ხატი ჰყავს ბაბუას:  
ნია, მარიამ, ნატალი.  
ნიაკო მუსიკოსია,  
მარიამ კიდევ მხატვარი,  
ნატალის ექიმობა სურს,  
თუ გინდათ გითხრათ მართალი.  
დაჰქრიან, დაკისკისებენ,  
აიკლეს მთელი კვარტალი,  
მერცხლებმა სიხარულისგან,  
ლხინი მორთეს და ჭარტალი:  
მამულს ეზრდება სამი და,  
ქალი და მერე რა ქალი,  
თენგო ბაბუას ბადიში:  
ნია, მარიამ, ნატალი.

ანი, ბანი, განი, დონი,  
ყველა ასო, ყველა ბგერა,  
საქართველოს სიყვარულმა,  
ამიტაცა, ამამლერა.

### გალერინა

ოპერის ხილვამ მოხიბლა,  
ჩვენი პატარა, ნინაო,  
დედიკოს ჩაუჩურჩულა:  
გავხდები ბალერინაო.

### გამრკე ნიკა

ნიკას მუშაობა უყვარს,  
ბალ-ბოსტანი, ბალჩა, ყანა,  
უხარია მისმა გარჯამ,  
მოსავალი მოიყვანა.  
მხარში უდგას თენგო ბაბუა,  
დაიღლება შრომით განა?  
კარგ მოსავალს ელოდება,  
თუ არ იყო დიდი გვალვა.

### ოლიკოს ლექსი

მე ვარ გოგო, ხალისა,  
იმედი ვარ ხეალისა,  
ჩემი კარგი დედიკოსი,  
ჩემი კარგი მამისა.  
მიყვარს ძილი, მიყვარს ჭამა,  
მაწონი და დედის რძე,  
მამიკოს კი ეცინება,  
ჩემს ჭამას და ქეიფზე.  
ბაბუ ტანს მბანს დიდი ვარცლით,

### საქართველოს სიყვარულმა

ანი, ბანი, განი, დონი,  
ყველა ასო, ყველა ბგერა,  
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა,  
ამიტაცა, ამამლერა.  
ვაჟას მთების არნივივით,  
ცის ლაუფარდში მიყვარს ფრენა,  
სააკაძის მახვილს ვლოცავ,  
იაკობის დედა ენას.  
ტატოს ლექსის სტრიქონს ვკოწი,  
მესმის მერნის ფლორეთა ცემა,  
ურჩხულს პოროლს როცა ვტყორცნი,  
მეუფლება ალმაფრენა.  
სარანგი ვარ ჩემი ქვეყნის,  
დამილოცა გზები ზენამ,  
მე დათა ვარ, ჩაფიჩაძე,  
დარიალის კართან ვდგევარ.

ოქტომბერი, №2, 2022



ნება-ნება, ტკბილლ, ტკბილად,  
დათვი მჭლე რომ შემეწიოს  
და არ ვგავდე წიწილას.  
გავიზრდები დიდი გოგო,  
პირობას ვდებ ბებია,  
თვალებს ისე, ისე ვხუჭავ,  
კი არ დამძინებია.  
მე ვარ გოგო ხალისა,  
იმედი ვარ ხვალისა,  
ჩემი კარგი დედიკოსი,  
ჩემი კარგი მამისა.

48



## სტუმარი

გაზაფხული მოვიდა,  
გალობს ჩიტი მზეწვია,  
ლადო პაპას ნანატრი,  
შვილშვილი ეწვია.  
თვალში სხივი ჩაუდგა,  
გულში კიდევ ხალისი,  
უხარია სიცოცხლე,  
გათენება ხვალისი.  
უღურტულებენ მერცხლები,  
ჩამოსძახის მზეწვია;  
გაიხარე, პაპილო,  
შენი ლადო გეწვია.

## ქოჩორა სოხო

პაპამ უთხრა სოსოსაო,  
თმა მიგიგავს ჩოჩორსაო,  
თუ არ გჯერა, ეგე, ჰეითხე,  
თანდილაანთ ბოჩოსაო.  
სოსომ ჰეკადრა, პაპაჩემო,  
რად მადარებ ჩოჩორსაო.  
იმის მერე გულმოდგინედ,  
ივარცხნიდა ქოჩორსაო.

## რამდი დარი...

რამდი დარი, რიმდი დარი,  
პაპასა ჰეყავს სახედარი,  
ერთი ცხვარი, ერთი თხა,  
ერთი კიდევ კუდა ხარი.  
რამდი დარი, რიმდი დარი,  
პაპასა ჰეყავს სახედარი,  
თეთრი როგორც ბამბისქულა,  
ლონიერი, გამბედავი.  
რამდი დარი, რიმდი დარი,  
პაპასა ჰეყავს ერთი ცხვარი,

ისიც თეთრი, მიტკალივით,  
ჭკვიანი და ძალზე წყნარი,  
რამდი დარი, რიმდი დარი,  
პაპასა ჰეყავს ერთი თხა,  
ლამაზია, ჰეტელაობს,  
ვერ სჯობია თხებში სხვა.  
რამდი დარი, რიმდი დარი,  
პაპასა ჰეყავს კუდა ხარი,  
ზარმაცი კი არ გეგონოთ,  
ცალულელა, ტაჭკის არი...

## საქანელა

აბა დელი, დელი, დელა,  
გაგვახარებს ირგვლივ ყველას;  
ზაზას, ზეზვას, თიკოს, ნანას,  
დათოს, ზურას, ვახოს, ლელას,  
მალა ცისკენ გაგვაქანებს,  
ჯადოსნური საქანელა.

## ზღარბი

ერთხელ ბებომ ბალჩაში,  
წაიყოლა ფაცია.  
გზაზე ზღარბი მოგორავს,  
ეკლიანი, ქაცვია.  
ზღარბო, ზღარბო, ზღარბუნა,  
ეკითხება ფაცია,  
ამ თაკარა სიცხეში,  
ქურქი რატომ გაცვია!

## როველი

ხეზე ასულ ვაზის მტევნებს,  
მზე დაპნათის ჩახჩახელა,  
კენეროში მოქცეულან,  
აქეთ ზურა, იქით გელა.  
ყურძნით საგსე გიდლებს თოკით,  
ძირს უშვებენ ნელა-ნელა,  
მღერიან და იცინიან,  
იკრიფება იზაბელა.

## მოწურავე

მამამ ანდრო წაიყვანა,  
საპანაოდ ძირულაში,  
გაიყურსა ნეტარებით,  
ცივციველა ბინულაში.  
ცურავს, ცურავს, კმაყოფილმა  
ბაგშემა თვალი მილულაო,  
იმის მერე ესიზმრება  
ქათქათელა ძირულაო.



## თახგმანი

ჩინებული პროზაიკოსისა და ინგლისურენოვანი პროზის მთარგმნელის ნინო ძამუკაშვილის მიერ ქართულ ენაზე აუდერებული, ინგლისელი პოეტის, ერნესტ დოუსონის ლექსი „წუთისოფელი“ ნინო ძამუკაშვილის პირველი მცდელობაა ლექსის თარგმნისა. ვფიქრობ, მან მრავალ სირთულეს წარმატებით გაართვა თავი. ლექსში შენარჩუნებულია ერნესტ დოუსონის პოეზის უმთავრესი ღირსება – მცირე ძალისხმევით ძლიერი ეფექტის მიღწევა. ლაპიდარულობითა და სისადავით გამორჩეული დოუსონის პოეზია ღრმა აზრითაა დატვირთული. ნინოსგან კი ინგლისურენოვანი პოეტების ახალ თარგმანებს ვეღით.

49

აკაკი დაუშვილი



### ერნესტ დოუსონი (1867–1900)

#### Vitae Summa Brevis\*

რა ხანმოკლეა გინდ მწარედ მოთქმა, გინდაც ხარხარი;  
არ გასტანს დიდხანს სიყვარული, არც სიძულვილი.  
ვგონებ, წარვდგებით ამ ყველაფრისგან თავისუფალი.  
როს შევაბიჯებთ იქ – მიღმიერში.

რა ხანმოკლეა თრობა ღვინით, თრობა სურნელით  
მაისის ვარდის,  
გამოაშუქებს წამიერად სიზმრის ნისლიდან,  
რომ კვლავ მაღევე მას შეერთვას – ბილიკი ჩვენი.



### ერნესტ დოუსონი

ინგლისურიდან თარგმანა  
ნინო ძამუკაშვილია



\* წუთისოფელი



## ქისტიანული პოეზიის XII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვახი“

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული უურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული უურნალი „საქართველოს მოამბე“.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე  
**ლია ლაუშვილი**

50



ჟურნი:  
**ზაალ გორგოველი (თავაჯღოვანე)**  
**ვალი ჩებიძე**  
**გიორგი ჩილვილიაძე**  
**აკაკი ლაუშვილი**

### ელუარდ უგულავა

#### იმ დღეებში

იმ დღეებში კალამს დადებსა ალმწერელი უამთა...  
დაინტება ულმობელი დევნა ქრისტიანთა.  
იხმობს შავი ანგელოზი თავის ერთგულ მხლებლებს,  
ჯადოთი და შელოცვებით მკვდართა დამძახებლებს.  
ჯოხს აქცევენ ქვენარმავლად, წყლად აქცევენ ღვინოს,  
რომ ასეთმა სასწაულმა ბევრი შეაცდინოს.  
სხვა სიმძაფრით მიიზიდავს დუშმორეულ ნადირს  
ყველა, ვასაც საკმეველის სურნელება ასდის.  
იმ დღეებში გული მოყვასს უფრო შეიძულებს,  
ვაი, მაშინ ორსულებს და ვაი, მეძუძურებს.  
იმედს დაფლეთს გაჭირვება, ხორცს დაალპობს ჭირი,  
ბევრი სული გაქვავდება, უფალს შესაწირი.  
რა ამაო შეიქმნება სიმწრით თითის კვნეტა,  
ვაი, მაშინ ცოდვილთა და მცირე მორწმუნეთა...  
კერპების წინ მოიყრიან გაწყალებულ მუხლებს,  
ვისაც შიში და შიმშილის გრძნობა შეაწუხებს.  
არ იქნება მოსვენება, არ იქნება ძილი,  
ცაზე მთვარე იტრიალებს, სისხლით გაუღლენთილი.  
ადამის ძე პეტვით შექამს უნაყოფო მიწას  
და სამშვინველს უმხურვალეს კვნესით გამოიწვავს,  
რადგან შევებას ვერ იპოვის, დანატრული ძილის  
და კუპრისფერ ყიამეთში ფეხშიველა ივლის.  
სახეს ხელით დაიფარავს, ცივი ქარით ნაცემს,  
სული – გვამში, ხოლო გვამი ბნელში იბარბაცებს.  
შავი წყალი დასდინდება ქვებზე დამსკდარ ქუსლებს,  
ხორცი ცოცხლად ამჟავდება, მატლი იფუსფუსებს.  
ბრბო ლასლასით შეგროვდება სასაფლაოს კართან,  
„თქვენ ამოლით და ჩქვენ ჩავალთ!“ – ჩასძახებენ მკვდართა...  
და თუ მაინც გათენდება როგორმე და ძნელად,  
მზე არას გზით არ ამოვა ძაძაჩუმელად.  
სმენას დაფლეთს მგლის ყმული და ყრანგტალი ყორნის,  
მხეცი სტომაქს ვერ წამოწევს, ლეშით ამოყორილს;  
და როს ქანცი გაეცლება ერთა შორის ომებს,



ბოროტი რომ საბოლოო ჟინით გაილომებს, –  
აღსრულდება! (უფლის სიტყვას არ სჭირდება დავა,  
ცა და მიწა გადავა და იგი არ გადავა)  
და სხვა შიში ჩაუდგება თვალში ევას ნაგრამს,  
როცა ზეცის შავ კაბადონს ელვა გადაგრაგნავს,  
დაიმსხვრევა ხმაურისგან ნიჟარები ყურის,  
რადგან მიწას საყვირების ზარი გადაუვლის.  
ჩამოცვივა ვარსკვლავები თავზარდამცემ ხმებად  
და ყოველი სულიერი მიწას განერობება.  
ვინც იყოს და როგორც იყოს, ქვეყნის ოთხივ კიდეს –  
რასაც თესდეს, უსათუოდ, იმას მოიმკიდეს...  
ნამში ბოლო მოედება უსასრულო ლოდინს  
და მიხვდება ძე კაცისა, რომ უფალი მოდის!

51



## ალა დათუპიშვილი

### პეჩერის ლავრა

დნეპრის ნაპირებს გადაჰყურებს  
შენი გუმბათი,  
როგორც არასდროს, შენთან ყოფნის  
ხმამ მომიარა,  
ამოიტირეს ქვაბულებმა  
ლოცვა პურად  
და მერესტოვის მთამ  
საკნიდან გიმშობიარა.

ტყე კი ხვიარა, მწვანე ზენარს  
გინანილებდა,  
სიტყვას უფლისას ვერავინ და  
არა აფერხებს,  
მთას მსახურობდა ანტონი და  
უფლის არს ნება,  
მთა მსახურობდა პირნათლადვე  
ანტონს და ბერებს.

იმ უძველესი დღეებიდან  
დღემდე ასეა,  
მკერდდალენილიც გვინახისარ  
მირონმდინარეც,  
გამმრთელებელი შენი მკერდის  
არის მესია,  
როგორც აღგაგო,  
გიმეორებს ისევ იმავეს.

შენი ბერები ყინვის გზებზე  
მედგრად მიდიან,  
დათვის შვილები აიყვანეს  
თავის შვილებად,  
ადამიანს და ცხოველს შორის  
ისევ ხიდია,  
რადგან, რაც უფრო მეტს აჭმევენ  
უფრო შივდებათ.

დატორილი და სისხლიანი  
ახლაც დაგტოვეს,

სისხლის მდინარე ელვენთება  
საქრისტიანოს,  
ღმერთო,  
უფალო მოგვარიდე  
დამპყრობელთ ტორებს,  
ისე ჰქმენ ომმა რომ  
მშვიდობა იმშობიაროს!

## ელდარ ჭიშიაშვილი

### უფალო ჩემო

ვიყავი, ვარ და მარად ვიქწები,  
პატარა სუნთქვა, დიდი ქარიშხლის!  
ხან ავენითები და ხან მივქრები  
სისხლად, რომელიც ბორგვას არ იშლის!  
უფალო ჩემო, ვარ შენს წინაშე,  
გაშლილი, მსგავსად ქველ ეტრატების,  
შენგან ხელემნილი, ვნებებით სავსე,  
მსგავსი და მგვანი შენივ ხატების!  
ჩაფრენილი ვარ საწუთოს ფაფარს,  
როგორც ხავსა კაცი, წყალწალებული  
და თუ ჯერ კიდევ სულს არა ვლაფავ,  
იმედად ჩემად კვლავ შენ მეგულვი!  
ნაყროგნებით მოვიტრაბეზე  
ტაბლა, საუფლო უფლის მგმობელთა  
და დავინერე გულის დიფტიქზე  
ჰანგები წმინდა საგალობელთა!  
ამომენურა სისხლის ზედაშე,  
რითაც მშვიდობის მტრედებს ვათრობდი  
და მერე მსხვერპლად ვწირავდი ზეცას,  
ზზრუნველი მამის თნევა-დათმობით!  
უფლის მშვიდობის თანაზიარნო,  
ზეცას შეგნირეთ საღვთო მტრედებად,  
თქვენი მხარ-მკლავის ფრთათა ირაოს  
ანკი რომელი ცა დაიტევდა?  
ხამს უამურთაც ზოგჯერ ამება,  
ფართედ გავულებ გულის ხანაგებს,  
თუმცა კი ვიცი, ეს მოწყალება  
კვლავ უმოწყალოდ გამაჩანაგებს!

№2, 2022





ყველას თავისი ელის გოლგოთა,  
გზა, სისხლითა და რწმენით სალამბი,  
მადლუმადლობა უბირთა ბრბოთა,  
ეკალწნული და ძვალოშესალაგი!  
კვლავ ნიშანს მაძლევს წმინდა გიორგის  
თავზე მბრუნავი შეიდი მნათობი,  
გარეჯის წმინდა მიწა, ხრიოკი,  
შროშან-ზამპახთა სუნთქვით სამკობი!  
მიწა, წმინდანთა დედამშობელი,  
წმინდათა თანა სადიდებელი,  
ლვთისმშობლის ვაზის საგალობელი  
და ქართველობის რწმენის კედელი!  
ახლა სუდარად თუღა მარგია  
მშვიდობის თეთრი ბაირალები,  
გახუნებულა მათი მაგია,  
გამაპაპათა სისხლით ნაღები!  
ო, კარგად მახსოვს, ვიყავ გვემული,  
როცა პირველად გამომეცხადე,  
ვერ მოგწვდი, მაგრამ გულის სინრფელუ  
ამოგლადადე ლოცვით ზეცამდე!  
ახლა იმ ადგილს, ვით სანთობოს,  
ახალსულობის გალობს ებანი,  
მე კი, ამ ქვეყნად, მწირსა და ობოლს,  
მიუსაფრობის მთანგავს ვნებანი!  
გვიანდა მივხვდი, რა თვალომაქცია,  
ის, ვინც მევონა სულის მკურნალი,  
როგორც კეთროვანს, ზურგი მაქცია  
და სიყვარულზე მითხრა უარი!  
დავალ ბოგანო და უნუგეშო,  
უპოვარი და მიუსაფარი,  
ჩამსაფრებია უკვლო, უგეშო,  
დრო ულმობელი – ავი ჩაფარი!  
ცა დამინამტეს ომის მსტოვრებმა,  
ისევ მწიფობენ რისხვის მტევნები,  
გოლგოთა სისხლით დამეტბორება,  
ჯვარს მაცვამენ და ისევ ვევნები!  
რისთვის მინდოდა ტრფიალის ფანდი,  
ლვთაებრივ ჰანგთა ხიბლი ზემოდან,  
თუ აღვლენილი, მინიდან ცამდის,  
ისევ მინაზე დაეცემოდა!  
თუ ჩემი სულთქმა და ალმაფრენა  
გაილეოდა ვით დამის ლანდი,  
ჩამიქრებოდა ცეცხლი და მზერა  
და სრულებრივი ვერ დავიცავდი!  
კვლავ შურისგებად აიფაფრება  
სისხლი, ტკივილით ანაყეფარი,  
წაილეკება რისხვა და ვნება,  
მთის ნაკადულად გადმომჩეულარი!  
ზეციდან ცეცხლის მოწვიმს შროშანი,  
სისხლფერ სუდარებს ქსოვენ ხელები,  
ფრთებდალენილი, როგორც ფრთოსანი,  
ნანგრევთა შორის ჩავესვენები!  
ქვა ადულდება კიდით კიდემდის,  
დამესევიან ცეცხლის ენები,  
დედო ზარივით ჩამოვრისსდები  
და მთელ სამყაროს გადავევლები!  
მოდი, მომზმინდე გვირგვინის ეკლით  
ძონი, შუბლიდან ჩამობნეული,

ნეტარებისგან სუნთქვაც კი მეკვრის,  
რადგან სიკვდილი ვნახე ძლეული!  
ვიყავი, ვარ და მარად ვიქები,  
პატარა სუნთქვა, დიდი ქარიშხლის!  
ხან ავენთები და ხან მივქრები  
სისხლად, რომელიც ბორგვას არ იშლის!

## გორჩა ჭაბუკაიძე

**შეხვედრა ქრისტესთან**

შეხვედები მას და...  
გული გრძნობს სხვას...  
მოსწყდები მყარს და...  
ეწვევი ცას...  
მისა მზე გათბობს და...  
ათბობ შენც სხვას...  
ყოველდღე ხარობ და...  
ახარებ ხალხს...  
გაჩერდა შენთვის და...  
ვერა გრძნობ უამს...  
უმისოდ არც გსურს და...  
არც ვინმე გწამს...  
ხვდები, ხელს ჰერებ და...  
ტვირთულობ ჯვარს...

## ინო არსენაშვილი

\* \* \*

რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო,  
რად მწუხარე ხარ.  
რად დამიტევებ  
ურვათა შინა?!

რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო,  
რად თრთი, კანკალებ,  
რამ შეგაშინა?

უფლის ნაწილო,  
უფალსავე უნდა მიენდო,  
გული გაუსხნა და იხილო,  
მიგიძლვება რამეთუ წინა,  
რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო,  
რად მწუხარე ხარ,  
რამ შეგაშინა?

რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო,  
რად მწუხარე ხარ?  
ღმერთს თუ სასოებ,  
მოვა დრო შენიც,  
რომ მშვიდობით დაბრუნდე შინა;  
რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო,  
რად მწუხარე ხარ,  
რამ შეგაშინა?

## რონა პუბლიკოშვილი

\* \* \*

ნეტარო ნინო, ლოცვაზე მწუხრის  
ჩემი კანდელი სულ მიმქრალია...  
დგას გაზაფხული, სინათლით უხვი,  
და რომ ვერ ვთბები, რისი ბრალია...  
კერიას ისევ კვესავს დადარი,  
გული შფოთავს და სული მდორეა...  
— სად არის მთები, წყლები სად არის...  
მოგსდევ მშვრალი... ვით სიდონია...  
თუ გზა-ბილიკი გადაიკვეთა...  
რად ვეურჩები ქარებს, უნიანს...  
— იქვე დგას წყალიც, მთებიც იქვე დგას,  
ნუ გეშინია, ნუ გეშინია!..  
— ეს ჩვენებაა შორეულ ხმათა,  
არსად ნასულა ნაძვიც და ფიჭვიც...  
წყალი გაჩერდა, ვით სისხლი ყრმათა,  
პირქუში მთები დაირღვა, იქვის...  
ვისმენდი, ჩუმად დავიწყე ლოცვა,  
ყველა ტკივილი ერთად მტოვებდა...  
მახსოვს მზის სხივის პირველი კოცნა,  
სახეს შეყინულ ქუთუთოებთან.  
როცა ნათელი, ცისკრის მხლებელი,  
ბროლის ნამსხვრევად მიწას ეყარა...  
ვხედავდი, სვეტი, ხელუხლებელი,  
კვარცხლბეჭზე როგორ ჩამოყმარა.  
ცამ მოახურა ოქროს მოვი ხეს,  
ის გაყვა ბილიკს, ვარდებთოვლიანს...  
თქვა — ქართველთათვის მადლი მოვიღე!  
საქართველოსთვის ვქმენ, სიდონია!

## ელგუჯა ციბროშვილი

### ალქარეზა

ლმერთო, იმას გთხოვ,  
არ გამხადო ისე საბრალო, —  
ჩემი ცოდვები, უსინდისოდ  
სხვას დავაბრალო;

მე ვერ დავლაშქრე  
ევერესტი ან ტიანშეანი  
და ვერც რაინდის ვერ მოვირგე  
აბჯარ-ჯავშანი;

თუმცა ვერ გავხდი მე სხვებივით  
ცნობადი, დიდი...  
არასდროს ვიყავ მოყვასისთვის  
ორგული, ფლიდი.

მუდამ ვცდილობდი, ვყოფილიყავ  
მათვების გზა-ხიდი...

არას გემდური, — ჩემს ცხოვრებას  
მე თვითონ ვქმნიდი.

P.S.

ლმერთო, იმას გთხოვ,  
არ გამხადო ისე საბრალო, —  
ჩემი ცხოვრების შეცდომები  
სხვას დავაბრალო!

## მაკა აბულაძე

\* \* \*

დალვინებულა (ვსინჯავ ყლუპებით)  
და მამაჩემის შავი მაჭარი —  
მუხლებს მისუსტებს და სისხლში ატანს,  
ვით ფეხის გულში ცივი სამსჭვალი.

მამამ მიამბო, ის — რაც ახსოვდა,  
რაც იცოდა და რაც არ იცოდა  
და ბოლოს, სიტყვა რომ აღარ ეყო,  
მან შენი სისხლი გამომინოდა.

ცრემლები ედგა ცისფერ თვალებში  
(თვალები ჰქონდა ბავშვურად მორცხვი.)  
და შენი მცნების აღსასრულებლად,  
სისხლში ჩააწო, შენივე ხორცი.

ლმერთო! უღმერთოდ გტანჯავთ, ხანდახან.  
ლმერთო! დღეს შენი სისხლი მარწყულებს.  
დღეს მამაჩემი მიხსნის, სადა ხარ,  
შენც რომ გტკიოდა, იმას მარწმუნებს...

ბენლი ღამეა, ნანატრი სოფლის,  
ქარს ფანჯრებიდან თოვლი შემოაქვს.  
პურს მამაჩემის სუნი აქვს, ოფლის.  
სისხლს — მამაჩემის ფეხის გემო აქვს.

## მაია ლიაკონიძე

ო, ლმერთო ჩემო,

მიწყალონე იობის რწმენა!

ო, ლმერთო ჩემო, მიწყალონე იობის რწმენა,  
და მერე თუნდაც გამახვიე უდაბნოს ნისლში,  
დე, აიძალოს ყვავ-ყორნების წყება და წყება,  
ვიცი, მოხვალ და სასოება დაკარგულს მიხსნი.

ტკივილი, ჩემი, უსაზღვროა და უნაპირო,  
და-ძმა დავკარგე, გალესილი ხმალი მცეს კეთას,  
ჩვენს მამულს მუმლი შესევია, ხრავს და ნადიმობს,  
ყურში ჩამესმის საზარელი ურჩხულის ქმენა.





ამოშანთულა დედამინა წელთა სიავით,  
ბოროტეულის არ კლებულობს ძალა, სიმძიმე,  
ისევ განიცდის ზნეკეთილი ავთაგან გვემას  
და ვეზიდებით მძიმე ლოდებს, როგორც სიზიფე.

პირგამშრალი და დამაშვრალი სამყაროს წიაღს  
შენი ნება თუ გადაარჩენს, მოურჩენს წყლულებს,  
ობის რწმენა აღგვადგენს და არ მიგვცემს ზანს,  
უკვდავების წყალს დაგვაპურებს ქართველებს  
გულზე.

და რაღა არის სიყვარული, თუ არ გინამეთ,  
ან და რა არის ჯოჯოხეთზე მეტი წამება,  
ცეცხლში გახვეულ დედამინას თუ არ ვუწამლეთ,  
მაშინ აღარც ღირს ცხოვრება და სულის წვალება.

## ციცი ფოფხაძე-ხითარიშვილი

### მხოლოდ შენ შეგნევა!

შემობრძანდება უფალი ღამით,  
ჩვილი იესოს შობას გვაუწყებს,  
ჩვენ ცივ სარკმელთან დავდგებით კრძალვით  
და სულის კარებს თბილად გავუღებთ.  
ცისკრის ვარსკვლავით მოვა იესო,  
ქვეყნიერებას სიმშეიდეს მოჰყენს,  
ისევ გვაჩუქებს მომავლის რწმენას  
და კიდევ ერთ შანსს ცოდვილ ერს მოგვცემს...  
მე გელოდები, მოდი, უფალო,  
ერთი მოკვდავი ვტედავ, გინატრო!  
მხოლოდ შენ შეგნევას ჩემი „აღდგომა,  
უბადრუკ სულსაც შენ ერთს მიგანდობ!

### ვაჟა მიროტაძე

### ერის მამა ილოჩერა

კავკასიის მთების ძირში  
მოფუსფუსე ჩემო ერო,  
ქრისტიშიერ სიყვარულში,  
დამაშვრალო, შორსმჭვრეტელო.  
ლოთისმშობელი შეგნეოდეს,  
მადლი ილიას, მართლის,  
დავითისა, თამარისა,  
ჩვენი ბრძენი პატრიარქის.  
მზიან ღამის გამნათებელს,  
ბიბლიური ხიბლი მოსავს,  
რა ვარდები უკრეფია,  
ეკლებიან გვირგვინოსანს.  
ხელთ უპყრია ერის მაჯა,  
სასთუმალთან ღამეს უთევს,

იმის ლოცვა სალ კლდედ აქცევს,  
საქართველოს ყოველ კუთხეს:  
„ძებით, ჩხებით, სიყვარულით,  
გამრავლდითო, ტეხეთ ახო,  
გიხაროდნ ქართველებო,  
ღვთისგულში გვაქვს სამოსახლო“.

ახლა უნდა ვითამაროთ,  
ახლა უნდა ვიდავითოთ,  
ღმერთიც გვლოცავს, მოშენდითო,  
სულ მარადის იყავითო,  
გამობრწყინდი, დიდგორო და  
აელვარდი ბასიანო,  
უწმინდესი კურთხევითა,  
დღე თენდება სასიამო.  
რაც ქართველმა იწადინა,  
რაც ქართველმა იოცნება,  
აგვიხდება, რადგან ერის,  
ერის მამა ილოცება.  
ზარი რეკავს და გუგუნებს,  
მოგვიწოდებს დედო-ზარი,  
გიყვარდეთო, გიყვარდეთო,  
ქართვლის მაჯის შემტყობარი.  
იბარდნება ხარდანი და  
ვაზი ფიფქით იკოცნება,  
გაპრწყინდება საქართველო,  
უწმინდესი ილოცება.

### თენგო ხუციშვილი (ქრისტეს მხედარი)

### იქ ვდგავარ...

(ქრისტიანული ლექსი)

იქ ვდგავარ, სადაც ძნელია დგომა,  
სადაც მაცდურმა დააგო მახე,  
და ეს ცხოვრება წააგავს კვდომას,  
თუკი არა გაქვს შენ შენი სახე!  
იქ ვდგავარ, სადაც გზა არის ვიწრო,  
ეკალ-ბარდებით, არა ვარდებით,  
თუ მოხდა, ფეხი დამიცდა ვინძლო,  
მომეცი ხელი, თუკი ვვარდები.  
იქ ვდგავარ, სადაც კაცს ჰქვია მამა,  
სადაც ღვთისმშობელს წააგავს ქალი,  
იმ სიყვარულის უწყვეტი გამა,  
რომ წინაპართა დიდი გვაქვს ვალი!  
იქ ვდგავარ, სადაც მე უნდა ვიდგე,  
დროის ქარტეხილს ვებრძოლო კალმით,  
და მელნის ბოლო წვეთამდე, ვიდრე,  
სადამდეც სული იქნება ჯვარცმით!  
მოვიდა უამი, სადაც ჭირს სუნთქვა,  
და სადაც ვერცხლი ანათებს მხოლოდ,  
უფალო ჩემო, დამშანთონ თუნდაც,  
ოლონდ შენამდე მოვიდე ბოლო!



# მაკა გელაშვილი

## წმინდა ქარინეს წამერა

წარმართ მშობლების წიაღში იშვა,  
მამა ქურუმად იყო ცნობილი,  
დედა ადრევე გარდაიცვალა,  
ოჯახი იყო ღმერთდაგმობილი.

მალე მარინე წამოიზარდა  
სულხორცეულად ლამაზი, ზრდილი,  
ჯერ მის სინმინდეს, სიმშვინიერეს,  
არ დაჰურენოდა ბოროტის ჩრდილი.

თორმეტი წლისამ შეიცნო ქრისტე,  
გულით ენადა ნათლობა წმინდა,  
მაგრამ სოფელში არ იყო მღვდელი,  
სისხლის დათხევა გადაეწყვიტა.

ქურუმა მამამ უარყო შვილი  
და შეიძულა სინმინდე მისი,  
მაგრამ მარინემ უფალს მიანდო  
უბინობა სულისა, თვისი.

ოლიმპრიოსმა, გულევა ეპარქმა,  
ქრისტიანებს რომ დევნიდა ყველგან,  
მინდოოში თვალი მოჰკრა მარინეს,  
თხუთმეტი წლისას, გამოსულს ცხვრებთან.

აღმოსავლეთის ქვეყნების ეპარქე  
ბინძური გული აუცილ ვებამ,  
ცოლობა სთხოვა, პასუხიც სთხოვა,  
სურდა გაეგო ქალწულის ნება.

წმინდა მარინემ არ დაუმალა,  
მორწმუნე იყო და ქრისტეს საძლი,  
ოლიმპრიოსმა ბრძანება გასცა,  
წამოეყვანათ უბინო ძალით.

უდვით სამსჯავროს ბევრი უცქერდა,  
მარინე მტკიცედ იცავდა რწმენას,  
არ ეშინოდა და მხნედ სჯეროდა  
რომ ის შეძლებდა ტკივილთ დათმენას.

კერპებს არაფრით არ სცა თაყვანი,  
არ შეიცვალა ქალწულმა ნება,  
ეპარქეს შესძულდა და განრისხებით  
მისი უბინო სხეული გვემა.

ხორცებს ჯიჯგნიდნენ ხეზე მიმსჭვალულს,  
უფლის შეწევნით არ გრძნობდა ტკივილს,  
მონამის გამო, ირგვლივ მყოფ ხალხში  
გაიგონებდით უჩუმარ ტირილს.

მარინეს ლოცვა აღწევდა ზეცას,  
ხორცი მინაზე ცვიოდა ირგვლივ,  
ვინც კი ინამა იესო ქრისტე,  
წმინდანის თავზე ხედავდა გვირგვინს.

დაწყლულებული ჩასვეს დილეგში,  
ყველა იარა გამთელდა უცებ.  
ეხარა ქალწულს უფლის მტრედისგან  
რომ ძლიერ ტანჯვას კიდევ გაუძლებს.

უკანასკნელი ლვანლის დღეც დადგა,  
განკურნებული მარინე გვემეს,  
სანთლებით მთელი სხეული დასწვეს,  
ვერ იკავებდა მნახველი ცრემლებს.

მარტვილმა უფალს ნათლობა სთხოვა,  
ლოცვად აღაპყრო წმინდა თვალები,  
ეპარქემა წყალში დახრჩობა სცადა  
ხელფეხშეკრულის, განაწამების.

უცებ მინისძვრა მოხდა ძლიერი,  
მინას დაემხო ყველა მტანჯველი,  
წმინდანს ნუგეში ზეციდანა სცა  
იესომ, მჯდომმა მამის მარჯვენით.

მრავალმა მაშინ იწამა ქრისტე,  
მათი წამებაც ახშობდა სუნთქვას,  
ქალწულ მარინეს წარკვეთეს თავი  
და წმინდა სული შეჰვედრა უფალს.

## ია ხასაია

\* \* \*

ჰოი, უძლები შვილის კვალდაკვალ  
სინდისის ვანრო ბილიკს ვგვი, ანდა,  
სული როდემდე ვაბორიალო,  
სინანული რომ დამიგვიანდა?!

სანამ გონს მოვალ, (მოვალ კი ოდეს?..)  
ჩემს ძვალთსალაგზე სხვა დაალაჯებს,  
ის, ვინც შემიძვრა უბეში თბილად,  
რომ ხორცის შვებად მივენდო ქაჯებს.

ვინც სალოცავი მიქცია დახლად,  
იუდას კდემით შემოდის ახლა,  
ვინაც ზნით დამცა, წიგნი წარმტაცა,  
გამასახლა და შემომისახლა,

ვინც სიყვარული დაარქვა ავხორცს  
და ამიყარა ვენახში მიწა,  
ჯვრის ძალასა და ნინოს ჩურჩულთან  
ნაზავი ვაზი ვინც შემიბილნა.

სადაც კი რწმენის კვარები მენთო,  
ამომიშენა ლოდებით ნიშა,  
ძმა წამკიდა და მით მიმეზობლა,  
ჩემი ადათი გადამიჯიშა.

იმ მოდგმის არ ვარ, გოლიათ მტრებს რომ  
მუჭისოდენმა ვურყიე ველნი...





გულში რომ სავსე ძარღვი გვიცემდეს,  
დღეს რამდენი ვართ რიცხვით ქართველნი?!?

მე ვარ ის, ვინაც კარი გაუღო  
ზღვით მოყრენილს თუ შემოსულს დინგით,  
მე ვარ ის, ვინაც ოცდათ ვერცხლად  
მოვკვდი და ციხე გავტეხე შიგნით...

ამდენი წვის და ტკივილის მერე  
ვიცი, ნელთბილი გძაგვარ, უფალო,  
რადგან კვლავ ვფიქრობ, დღანლი ვიტვირთო,  
თუ ჩემი ცოდვაც სხვას მივუთვალო?..

ბასრად მდუმარე განსაცდლის ველზე  
სულს რომ მიცხონებს, იმ მტერს, სალამი!  
თუ სიტყვა ფარზე უნდა გადატყდეს,  
მომისროლია უკან კალამი!..

## თამარ ქართლელი მეტრიველი

\* \* \*

განკითხვის ბელტით მასამარებენ,  
შურის სკივრიდან ნალველი მერგო,  
ვერც ფოთოლცევნის გავიგე რამე  
და ვერც გაზაფხულს გავუგე გემო.  
უფალო, ნეტავ შენი სამოთხის,  
ღობის კუთხესთან მარგუნი ჩერო,  
თბათვის წვიმის ჩამონაჟურით,  
რომ სინანულის ლექსები ვწერო.  
ახლა ცრემლებით მწყურია ლოცვა,  
მინდა, რომ ისევ ედებს ვსახლობდე,  
ლექსები უნდა სულს შემოვაცვა  
და უფალს ასე მიუახლოვდე!

## იამზე არველაძე-ხეცურიანი

### ლოთიური მწერა...

მეგზურად გამყვა მზიანი მთვარე...  
შემომატარა – მთლად მცხეთის არე,  
შემოქმედება ღმერთის და კაცის –  
ცად აზიდულა სულთა სავანედ!  
სად სვეტიცხოვლის დიდ კარიბჭედან –  
გვმოძღვრავს მირონით – ღვთიური მცხეთა.  
„ჭუით შვილებო“! გიხმობთ აქედან...  
ღმერთი, სამშობლო – ერთია ჩვენთა.  
უფალი უსმენს ჩვენს გულისფერქვას!  
მაცხოვრის კვართი, ღვთისმშობლის კალთა,  
ლვთიური მადლი – ასურელ ძმათა,  
ნინოს ჯვარი და მირონის ძალა –  
წმინდა ანდრიას სიტყვით გალობა!  
იქმნა ჩვენზედა დიდი წყალობა!!!  
გამოაცოცხლეთ წინაპართ გენი:

ბნელი გაქრება – სინათლის ბჭენით.  
ღმერთისათვის და მამულისათვის –  
გონებით მართეთ მარჯვენა თქვენი!  
თვით გაიზარდეთ, – სხვისით რას ელით?!

გყავდეთ უფალი მარად თანმდევად...  
„სიავლა და შრომა ნუ დაგზარდებათ“!  
უფალიც – თავის, თვით უნდა გახდეთ!  
მოყვასი გულით გიყვარდეთ, გწამდეთ!  
ამაღლდით!.. წმინდა სულით – ზეცამდე!!!

## ანა გელაშვილი

### ის დღე სხვა იყო... ის დღე სხვა იყო...

ის დღე სხვა იყო, მე რომ მინდოდა,  
მადლსავსე ველი,  
მე, – თქვენი სიტყვის მფარველი ოდა,  
თქვენ – ჩემი მცველი.

ის დღე სხვა იყო, სხვა გათენებით,  
არსათ ჯავრი,  
მე, – ღვთის გზას მყოფი თქვენივე ნებით,  
თქვენ – ჩემი მგზავრი.

თუმც სურვილები ჩემი სხვა არის,  
ტკბილმოუბარო,  
ვდგები იმისთვის, რომ საზიდარი  
გადმოგაბარო...

წლებია, უკვე ვნატრობ, გახარო:  
არ გავაჯერე,  
არ დავამძიმე ცოდვით სამყარო,  
ცრუ არ დავფარე...

ოხ, ჩემო თავო, ჩემივე მტერო,  
მადლის საბელო,  
და მაინც ჩემი ნაბიჯის მცველო,  
შენ, – ღვთისმშობელო!

## ნანა ღვინაშვილი

\* \* \*

ასე ამბობენ, ის მლიქვნელი ვარ,  
ვინც ფარისევლობს ყოველ ნაბიჯზე,  
სინანული მჭამს და იმ კაცს ვგავარ,  
რომ უცურდება ფეხი ნაწვიმზე...  
მე ჩემს გოლგოთას ზურგით ვატარებ,  
არც მსუბუქსა და არც ისე მძიმეს,  
ამპარტავნება – სულის ჯალათი,  
როგორ მიმოკლებს ცხოვრების სიგრძეს...  
თუმცა ვერევი დანერულ მრევლში,  
და ხმის კანკალით ვითხოვ შენდობას,  
ახლაც არ ვიცი რას ვიმსახურებ,



ვინე მაინც თუ კიდევ მენდობა...  
 ისევ ნაბიჯის აუზქარებლად,  
 ამბიონისკენ მივიწევ ნელა,  
 მშვიდად კი ვისმენ ქადაგებას თუმც,  
 არც გუშინდელზე ნაკლებად ვლელავ...  
 როგორც არ უნდა ვმალო უფალო,  
 ხომ იცი როდის დავპატარავდი,  
 სულს სიმსუბუქე ახლა ეტყობა,  
 რომ აღარ ვმალავ რასაც ვმალავდი...  
 ან სხვა რა გზა მაქვს ვივლი იქმდე,  
 სანამ სიცოცხლის ღირსი ვიქნები,  
 ბევრჯერ შევცდი და დღეს უკვე ვიცი,  
 მკლავს და მაცოცხლებს მხოლოდ სიტყვები...  
 მწერის უამს ვთბები და სანთლის კვალი,  
 ტაძრის კედლებზე ეტყობა ერთობ,  
 ყველა შეცდომა სულს რომ მიბნელებს,  
 ოდესმე იქნებ შემინდო ღმერთო!

## ალექსანდრე პიცარაძე

### ამ შზეულ იქით

ამ მზეებს იქით ჩემი სახლია,  
 ჩემი სოფელი...  
 რომ ვენახი მაქვს, არახალია.  
 ჩვენში ყოველი კაცის ხელი  
 მიწიანი და ცვრანია.  
 ყველა ბირუტყვის სხეულში დგას  
 ის მოძრაობა, რომელიც დოიდან გაჩენისა  
 მკერდით დააქვს ახალ თაობას!  
 ვინ არ მოსულა ჩემდა სამტროდ  
 კაცი ყოველთა:  
 თურქი, არაბი, სპარსთა ურდო  
 შორეულ ველთა.  
 ყველა მომხვდურმა იავარჟყო ჩემი ბუნება.  
 მაინც კივილად მე მოვედე საუკუნეთა!

ამ მზეებს იქით  
 ჩემი გვარის დგას ეკლესია.  
 ღმერთა ყოველთა  
 ჩემი ღმერთი უმაღლესია!  
 მე ამ ხელებით ამოვზიდე მძიმე ლოდები  
 ე, იმ ხევიდან და ვარ ასე და ველოდები  
 გაჩენის დღიდან სულსმოხეულ მიწას და თიხას  
 როს შემომძარცვავს იგი, რომლის ფერხთით  
 ვანთივარ,  
 ვით კელაპტარი, მზისებრ ქმნილი,  
 ფიქრით მდუმარი.  
 კაცი მიწისა, ცადაქნილი,  
 მაინც სტუმარი  
 დედამიწის...  
 ამ მზეებს იქით ჩემი ცა და ვარსკვლავებია...  
 ვინ არ მოსულა, დავუჭრივარ, გამმკლავებია...  
 გაუჩეხია ჩემი ბალი, ჩემი ტყეები  
 მერმე წაუსხამს შვილნი ჩემი, ვითა ტყვეები...  
 მე მხოლოდ ცოლი დამრჩენია  
 და ეკლესიის ფუძე რღვეული.  
 ბალები კვლავ დასაჩენია,  
 წვიმაა, ფიქრია ამღვრეული!  
 პორიზონტს ქარნი ეხლებიან,  
 ათასწლეულთა,  
 ათასეულნი  
 ამბობენ: ჩვენი სახლებია  
 ამ მზეებს იქით!

## ციური მასეიშვილი

### სიზმარი

წუხელ ვნახე სიზმარში,  
 ლურჯფაფრიან ცხენებით  
 უკრაინის სტეპებში  
 მკვირცხლად მივაჭენებდი!..  
 უცებ ჩიტი აფრინდა  
 მზესუმზირის ყანიდან  
 და ბუმბულით შევიცან  
 მწყერი ლამისყანიდან!  
 წუხელ ვნახე სიზმარში,  
 ლურჯფაფრიან ცხენებით  
 უკრაინის სტეპებში,  
 ლალად მივაჭენებდი!  
 შემეგბა ლაშქარი  
 დაფითა და ყიუინით,  
 სამშობლოსთვის დამშვრალი,  
 დავით გურამიშვილი.  
 წუხელ ვნახე სიზმარში,  
 ლურჯფაფრიან ცხენებით  
 მირგოროდის ტაფობში  
 მშვიდად მივაჭენებდი!..  
 ცეკვაცდა და მღეროდა  
 ლურჯი კაბით ნიავი,  
 სამშობლოში მომქონდა  
 წიგნი „დავითიანი“...  
 წუხელ ვნახე, ჭენებით  
 დაქანცული ცხენებით,  
 მოვყვებოდი დარიალს  
 უკვე სკვენებ-სკვენებით!..  
 მზე ჩავიდა, დაღამდა,  
 მთვარე ჩადგა კარავში,  
 ბეჯითობდა ბიჭუნა  
 წიგნით ლამისყანაში!..  
 წუხელ ვნახე სიზმარი...

## ივათა პავლიშვილი

### ჩემო საქართველო!

სისხლით მორწყულო მიწავ, ქართულო,  
 წილნაყარი ხარ ღმერთან ზეცამდე,  
 ოდითგან გრეხდნენ, გაფავდნენ, გნვავდნენ,  
 მაგრამ სულ სავსე იყო ზედაშე.





კაფეს და კაფეს ბევრი მებრძოლი,  
კინალამ იქცა ის შაპის ტახტად,  
თქვენ გაიმარჯვეთ სისხლსა და ხორცზე,  
მაგრამ კახეთი ვერ გაპარტახდა.  
ჩეხეს და ჩეხეს ვაზის ფესვები,  
ცეცხლში ისროდნენ ჩვილების აკვანს,  
ძირში მოკვეთეს ჩვენს დედებს მკერდი  
და მაინც ზრდიდნენ ცოტნეს და შალვას.  
ჩვენ ახოვან მაშაც გმირებს,  
ჯალათები მახვილითაც ვერ სწვდებოდა,  
გულსა გლეჯდნენ, სულს ვერ სტეხდნენ,  
ერთი კაცი ათს ებრძოდა  
როცა მიხვდნენ ვერ აქცევდნენ,  
ამ მცირე ერს თავის „მრევლად“,  
დედოფალი კახეთისა  
შაპმა წაიყვნა მძევლად.  
არ ეგონათ ამდენ ტკივილს  
ქალი როგორ აიტანდა,  
ანდა კიდევ რჯულისათვის  
რომ შვილებსაც გასწირავდა,  
მაგრამ შეცდნენ ურჯულონი,  
სასწაულზე მეტი მოხდა,  
დედოფალი ცეცხლში იდგა...  
და ერისთვის ლოცულობდა...  
ცეცხლში დაწვეს, ვერ გატეხეს,  
ვერ მოგლიჯეს მის რჯულს სული,  
რადგან მთელი საქართველო  
იყო ქეთევანის გული.  
...ნაცნობი ხმა რომ გვეძახის,  
ეს წარსულის ექო არის,  
ვერაფერმა ვერ გატეხა,  
რწმენა ჩვენი წინაპრების,  
ვერა მტერმა ვერ ჩააქრო  
სული რწმენით ანთებული,  
მარტო ქეთევანიც კმარა  
გზად და ხიდად გაფებული.

## ქალთამზე ანა სურმანიძე

\* \* \*

მიწების შემგროვებელო!  
ჩამოიღე ზურგიდან გუდა,  
შენ რომ სახლები აქციე ნახშირად,  
იმ ოჯახების ნახშირებით უნდა აგივსო.

მოიხსენი სათვალე!  
შენ რომ ათი წლის საშკა დაფლითე  
მშობლების თვალწინ,  
იმის თვალები უნდა ჩაგისვა.

ჩაყლაპე ენა,  
დედის ენით გალაპარაკო!



ხორბლის ყანა რომ დაუნალმე, ორი წლის ნინას  
ეზოში ჭურვი დაუმსხვრიე, ფანჯრებზე – მინა,  
გაქცევა სცადა ფეხშიშველამ, წინ დახვდა ორმო,  
დედამ მიუსწრო უსწრაფესად – დედალმა ქორმა...  
იმ დედა-შვილის ნახშირები ცოდვად შენს ზურგზე  
შენივე გუდით მოკიდულმა უნდა ათრიო.

სმენა დაიხშე!  
თუმც, შენ ისედაც დაყრუფდები განკითხვის დღეზე,  
როდესაც ყველა ერთდროულად კითხვას  
დაგისვამს...

მიწების შემგროვებელო!  
შენი საფლავის ადგილი ჩვილის ცხედრებს  
ამოუვსიათ...

და ახლა  
ასეთ დიდებულს,  
ასე დიადს,  
ასე მომხვეჭელს,  
შენივე დასამარხი მიწა აღარ გაგაჩნია!

## ია მერაპიშვილი

### ემქანის გზაზე

კვლავ დამაშვრალი ემქანს მიგალ,  
დანატრებული ჩემს ჯვარცმულ მოძღვარს.  
რა ძნელი არის აღმდგარის ხილვა,  
მისი აჩრდილი თვალთაგან მომწყდა.

\* \* \*

შენ იგივე ხარ და ჰეგი მარად,  
ლერწი მოპკვეთე არყოფნას, სიკვდილს.  
მე ხომ სიცოცხლე არ მსურდა, არა  
და გათენება მაწვალებს, მიმძიმს.

ან ლოცვად ვდგავარ წინაშე შენსა,  
მიწისკენ ვაკმევ დაფერფლილ ნერვებს.  
ამ უსაწყისო ფიქრებით გესავ,  
სხვა ვერ გაიგებს ამ ძახილს, ვერვინ!

ტარიგად იღე ტკივილი ჩემი,  
მოპხედე თვალებმიურულებელს.  
მე შიწნეული შევყურებ მერმისს,  
რომელშიც ვლანდავ მხოლოდ წყლულებებს.

ვერ ავირიდე მღვრიე სასმისი,  
მოყვასი მექცა ჯვრად და გოლგოთად –  
შემაძლებინე ტვირთვა ამისი,  
რომ ვზიდო, უნინ როგორც მომქონდა.

შენ დამიმარხე მოყვარულ გულში,  
გადამირჩინე საუნჯე მცირე,  
სანამ ვარ, დავწერ, მიწყალე, ნუ მშლი,  
ან გამაფრინე, რომ სხვები მტირდნენ.

## ალექსი გოგჩერაშვილი

### წმინდა ტაძარი

ნუგზარ სხილაძეს

დღეს როდინოულს ავსებს ხალისი  
და არემარეც რარიგ გაბრწყინდა,  
სიყვარულსა და იმედს ასხივებს –  
განახლებული ტაძარი, წმინდა.

კულავაც ციმციმებს წვეთი ემპაზში,  
რა საამოდ კრთის თაფლის სანთელი,  
გულს ეუფლება განცდა, ნეტარი,  
მარად დიადი და შუქნათელი.

დრო იდგა მკაცრი და სევდიანი,  
დრო, ასე ცხადად ღმერთის მგმობელი,  
წლები ბნელი და წლები წყვდიადი,  
ქართულ გალობის უარმყოფელი.

აი, გასრულდა უამი მრისხანე,  
გვამაღლებს ახლა რწმენა, ძლიერი,  
დიდი მადლობა წუგზარ სხილაძეს,  
ტაძრის აღმდგენელს ძველი იერით.

დღეს როდინოულს ავსებს ხალისი  
და არემარეც რარიგ გაბრწყინდა,  
სიყვარულსა და იმედს ასხივებს –  
განახლებული ტაძარი წმინდა.

## მამუკა ოჩიაური

### სამას არაგველს

ვინ იცის რამდენს დაემსხვრა ფარი,  
ზვავად მივარდნილს დაუნდობ მტერზე,  
ჩემიც ხომ იყო იქ წინაპარი  
პატარა კახთან, კრწანისის ველზე.

ტიროდა ზეცა ცოდვისგან მაშინ,  
შეხორცებოდა ვადას ხელები  
განაფულები დუშმანთა მკაში,  
მომხდურთ ჩეხავდნენ მხნედ მთიელები.

წინ მიუძღვდათ რწმენა და ჯვარი,  
სხეულს ვერ ეგრძნო მძიმე ჭრილობა  
არ გაიქცევა მთიელთა ჯარი,  
ყველას ახსოვდა მტკიცე პირობა.

ერთს ათი უტევს, არ ცხრება მტერი,  
მზემ დაივანა ღრუბელთა ყელზე  
სისხლს შერევია ყვითელი მტვერი,  
სიკვდილი დაძრნის კრწანისის ველზე.

უწყვეტ ტალღებად მოგორავს მტერი,  
ჩვენს წასალებად მოიწევს იგი  
მინამ სისხლისა მიიღო ფერი,  
მთიელთა ლაშქრის შეთხელდა რიგი.

მებრძოლს ვერ შველის ჯაჭვის პერანგი,  
ისრები ირგვლივ გველივით ქროდა  
ვით ლომთა გრგვინვა, მთიელთა ჰანგი  
არ დუმდებოდა, კვლავაც ისმოდა.

ბოლოს არ დარჩა ძე ხორციელი,  
ცეცხლმოდებული იწვოდა მინა  
სამასი გმირი – გმირი მთიელი,  
მკერდშენგრეული კრწანისში იწვა.

უფალმა მათვეის ცის გახსნა კარი,  
მზემ დაივანა ღრუბელთა ყელზე,  
ჩემიც ხომ იყო იქ წინაპარი  
პატარა კახთან, კრწანისის ველზე!

59



## მანანა პაპიძე

### ნაჭორა

ფეხით მომატარა საქართველო!  
ფშავის გაზაფებული მანახა და....  
ჯერამც სიკვდილს თუმც არ ვეპირები...  
მერე სიკვდილზედაც თანახმა ვარ.  
ვაჟას ლურჯი ია მაკრეფინა,  
ველზე შველ-ირემი მადევნინა.  
ალგეთს მაზრდევინა ლეკვები და  
ცრემლი ტირიფივით მადენინა.  
არაგვს ჩამიყვანა ქარაფებზე.  
წყალზე კალმხები მაყრევინა...  
მერე არ მადარდა არაფერზე,  
ლამე საჯიხვეზე მათევინა.  
ცეცხლი მანთებინა იალაღზე  
ცაზე ვარსკვლავები მათვლევინა,  
მელავი მასინჯვინა იარაღზე  
მთაში ხარ-ირემი მაკვლევინა.  
სალბუნ მადებინა იარაზე.  
დათვი საქამრეზე მათრევინა,  
ლექსი მათემევინა ფიალაზე,  
ლვინო შადრევნიდან მასხმევინა.  
ზამთარს იალბუზე ამიყვანა,  
შენთან მაპყრობინა წრიაპები.  
ცელით მაცელინა ლამისყანა.  
ლვინით მომაგონა წინაპრები.  
ტაძარს მანთებინა სანთლები და  
მუხლზე მოდრეკილი დამაჩოქა.  
ვენახს მასხვლევინა ვაზები და  
ტანზე შემომაცვა შავი ჩოხა.  
სელში მაპყრობინა ხმალ-ხანჯალი  
მტერი დაუნდობლად მახოცვინა.  
მერე ნაომი და ნახანძრალი,  
ისევ სალოცავი მაღლოცვინა.

ოლქა №2, 2022





ლამით ერთი ლექსი მაწერინა  
ნატვრა მათქმევინა სულ პატარა,  
დაბლობს მამზერინა მთა-წვერიდან,  
ფეხით საქართველო მომატარა.  
კახეთს ალავერდი მომალოცა.  
თბილის სიონი და ნარიყალას  
სუფრა მაშლევინა, ომალოსთან  
მუხლზე დაჩოქილი ამიყვანა,  
სვეტი დამანახა ნიკორწმინდის,  
სული დალეული მოწმეთა  
მადლი მომამადლა ნინოშმინდის,  
დიდი გელათის და მონამეთას.  
ნეტავ მომატარა საქართველო,  
ფშავის გაზაფხული მანახა და  
ჯერაც სიკედლის სულ არ ვეპირები,  
მერე ყველაფერზე თანახმა ვარ.

## ნათია გრძელიშვილი

### სინაზული

ისევ შენთან მოვედი შვილი ურჩი, ცოდვილი,  
უიმედო, დაღლილი, ეჭვებით შეპყრობილი.  
მოვედი და თავხედმა მოვითხოვე შენდობა,  
რადგან სული სავანედ შენს კალთას თუ ენდობა.  
დამეხმარე უფალო, გზა მიჩვენე მართალი,  
მომეც რნმენა მცირედი სიკეთის ანათალი,  
ბნელში მომეც სანთელი, ეკლის გზებზე ვიარო,  
რომ არ წავიპორდიკო, რომ არ გადამიარონ.  
იქნებ უკვე რთულია ჩემი უკან მიღება,  
ან ვერ დავიმსახურო ულირსმა პატიება?  
მაგრამ, განა უფალო, სიყვარული არა ხარ?!  
განა დაბადებიდან არ მომყვები მსარდამსარ?!  
მე კი თვალით უჩინომ გულიც როგორ ჩავრაზე,  
მზერა აგარიდე და მრავალგზის გაგაპრაზე...  
გავპედე და მოვედი, შენი შვილი ცოდვილი,  
შენდობას გთხოვ მწერარე, სინაულით ჰყრობილი.  
შემაგებე მეუფევ მადლმისილი მარჯვენა,  
რომ შემეძლოს მარადის შენს წიაღში დარჩენა.

### ლალი მიქაილი

#### ჭონა

დღეს კარდაკარ დადიან,  
იძახიან „ჭონასა“,  
კალათა გაუვსიათ  
თექლასა და ჭოლასა.  
ერთი იყო ბატისა  
ვერ გაიყვეს თანაბრად,  
ითათბირეს, შეთანხმდნენ,  
ორივეა თანახმა.

ჰა, ალდგომა გათენდა,  
მზე მთებიდან დაგორდა,  
დიდი პაპის საფლავზე,  
ბატის კვერცხი გაგორდა.

## ლენა ქამუკაშვილი

### რწენა

პირჯვარს ვიწერთ: მე და დედა  
და... მშვიდება გულები,  
სანთლის შუქი გვაძლევს რწმენას,  
სითბო მოდის ულევი.

დედამ მითხრა: წმინდა ნინომ  
ჯვარი შემობრძანა,  
ამ ქვეყანას მოეფინა  
დიდი რწმენის – რა ძალა!..

მეც ნინო ვარ... მის სეხნია...  
და ვამაყობ – სახელით;  
ჩუმად რომ ვესათუთებით –  
იმედს, – გულში ახელილს.

ქრისტე ღმერთი გვფარავდეს და  
ვრეკაოთ რწმენის ზარები...  
ყველა წელმა შემოაღოს  
სიყვარულის კარები...

## ნათია დაშნიანი

### ციკენე

ზამთრის სუსხიან სალამოს,  
ყინვით მობუზულ ფიჭვებთან,  
შედგა ბიჭუნა, მამასთან  
ერთად რომ მიაბიჯებდა;  
და ხედავს – ერთი გლახაკი  
გამვლელებს ალარ აჩერებს,  
საბრალო, ნაგვის ურნაში  
დაექებს საჭმლის ნარჩენებს.  
– მამი, იქ ვიღაც კაცია,  
ნახე, რა ცუდად აცვია,  
თან მანანნალა ძალლები  
ჭამასაც ალარ აცლიან.  
გთხოვ, ჩვენი ორი პურიდან  
ერთი მას მივცეთ მამიკო!  
– კი, შვილო, უარს არ გეტყვი,  
თავად უფალი არ იყოს!  
მე ჩემს ქურთუქსაც გავიხდი,  
რომ მას დავუთმო უფასოდ.  
გლახაკმა ხელი ალაპყრო  
და თქვა – მადლობა უფალსო!  
გზა გააგრძელეს. ბიჭუნა  
სულ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა.



### პარიენტი – ჩემი შემოქმედება

შენ მომენატრე, როგორც მხატვარს – თავის შედევრი  
და როგორც პოეტს უსაყვარლეს ლექსის რითმები,  
მინდა გიცქირო, შენგან თქმული კვლავ მოვისმინო:  
„შენ, ხომ მე სიკვდილს გამომგლიჯე, არ მავიწყდები.“  
მე ბავშვობაში მეოცნებე მხატვარიც ვიყავ,  
ყმაწვილქალობის ჟამს მეწვია ლექსების მუზაც,  
ჭადრაკში ვწროთვენი პრილის ჟინი და მოთმინება,  
რაც ავადმყოფის სასოფუმალთან თან მახლავს მუდამ.  
დღეს ვარ ექიმი და დუელში, თვით სიკვდილს ვიწვევ,  
შენთან ჭიდილი ნაადრევად რომ გაუმართავს,  
მოჭადრაკე ვარ, ფიგურების ნაცვლად დაფაზე,  
ნამლებს რომ აწყობს, იარალად შენს სასოფუმალთან.  
შენა ხარ ჩემი ტილო-შედევრი, უკვდავი ლექსი,  
მოჭადრაკისგან მოგეპული რთული პარტია,  
რაც შევძელი მსურს გაგიმხილო, მარტო კი არა,  
ღმერთის და თქვენი სიყვარულით გარს რომ მარტყია.  
ღმერთს ყვარებიხარ, მიგიტევა ცოდვები ალბათ,  
ვის, რა ულიხნს და ვის, რა უჭირს, ხომ თვითონ იცის,  
და საჭირო დროს, მე აღმოვჩინდი შენს სასოფუმალთან...  
დიდება უფალს! ასეთია განგება მისი.



### ლელა გაფრინდაშვილი

#### ვერ გამტეს, ვერა...

შირაზის ტყვე ვარ, სულში ჩამდის წვეთ-წვეთად ცრემლი,  
ეს მერამდენედ, სანამებლად ხურდება გრდემლი....  
არ მეშინია, თანამიგრძნობს ერთგული მრევლი!

და მაინც ვწუხვარ, ვდარდობ, ვჯავრობ ურჯულოთ ბედზე...  
ჭრილობა შებლზე, გულში, მკერდზე, ტერფსა და მხრებზე...  
დაძრნის სატანა უნდობელი საცდურად გზებზე!

მარწუხით მებრძვის ორგული და სულგაყიდული,  
ვერ გამტეს, ვერა, რწმენა მტკიცედ მაქვს ჩაკირული!  
ზვარაკს – უფლისას ლოცვა მესმის სასოდ-ბინული!

\* \* \*

გაუტეხელო, ქრისტეს მცნების დამცველ-ერთგულო.  
წმინდანად გრაცხეს, ამ სამზეოს ბედით ბედერულო,  
ცოცხლობ, იცოცხლებ რწმენისა და ერის ერთგულო!





## მუსონის ტაბატაძე

### პატრიარქი

არავინ დადის უცოდველი ამ ქვეყანაზე,  
ყველა ჩვენთაგანს თავზე გვადგას ცოდვის ლოდები,  
კურთხეულ იყოს უწმინდესი უნეტარესი,  
ხელში უპრია საქართველო წმინდა ლოცვებით.  
ლოცვად იღვრება სამშობლოსთვის, ქართველებისთვის,  
მის წმინდა სულში ბოროტიც კი ცხოვრობს ლამაზად.  
გადაგვარების გზას თუ ედგა სარწმუნოება,  
შემოაბრუნა, დააყენა ფეხზე ამაყად,  
წინამძღვარია სიკეთის და სიყვარულისა  
საქართველოც და ქართველებიც მისი შეილია,  
ღმერთთან ვილოცოთ, ქართველებო, გულით ვილოცოთ,  
დიდხანს გვიცოცხლოს მამა ღმერთმა დიდი ილია.  
მისი დაიდი ფაქიზი და ნატიფი სული,  
ნეტავ ვიცოდეთ, თუ რაოდენ სიყვარულს იტევს,  
ღმერთმა დალოცოს უწმინდესი, ღმერთმა დალოცოს,  
მის წმინდა სულში უდევს ბინა იქსო ქრისტეს.  
ყველანი თუ კი ჩვენ გაგვვებით ამ კაცის ბილიკს,  
ლალად შევხვდებით დამიჯერეთ ყველა განთიადს,  
ლექსად დავლოცავ, ვადლეგრძელებ მე წრფელი გულით,  
ჩემს უწმინდესს და უნეტარესს დიად პატრიარქს.

## ყამარ ტივილიძე-პლიაძე

### კამპობლონ

დედასამშობლოვ, იყავ ნიადაგ თავისუფალი,  
შენგნივ ხარობდეს ყოველი შენი ჭირისუფალი.  
გქონდეს გზა-კვალი, ვით ჩირალდანი განათებული,  
მგზავრნი და მგზავრნი ჭეშმარიტ რწმენით ამაღლებული.

იყავ მხნე, ლალი, დაუჭერობელი, გაუხუნარი,  
შენ ძირძეველ ფუძეს არ მოემაღლოს დასტურ სტუმარი,  
გიმრავლოს აკვნის არტახებში ღულუნა ჩვილი,  
იზარდონ, დადგეს ყველა რჩეული მამულიშვილი.

გიმრავლოს ხალხი კეთილმყოფელი, ღვთივმადლიანი,  
ახალგაზრდობა – გონიერი და იმედიანი,  
დვრიტად დაგედოს ადგილის დედა ცვარ-ნამიანი,  
გატკბობდეს მისი „იავნანინა“, ალერსიანი.

ერში და ბერში მშვიდობა იყოს გამეფებული,  
მზისებრ ბრნყინავდეს ღვთისმშობლის ხვედრი, მირონცხებული,  
ქორნილ-ძეობით და ნათლობებით ხარობდეს ჭერი,  
შენ სიდიადით, ფესვძლიერებით გმინავდეს მტერი.

გეპურებოდეს ზესიყვარული დაუშრეტელი,  
ღმერთმა დალოცოს, მამულო, შენი საკურთხეველი,  
ხვავრილობით გაჯერდეს შენი მარან-ბეღელი,  
მრავალუამიერ, ჩემო ქვეყანავ, იყავ მზეგრძელი.



## რეზო ბერაძე (რაჭველი)

### იმედის ოქნება

ბოლმით მიბლვერნ ლორდები და... ანტიქრისტეს ამქრები,  
თავზე მესხმიან ვირთხები, როგორც ბებერ ლომს აფთრები!..  
ვიცი, შენირულ ხარივით ყელს გამომჭრიან დანითა,  
საყდრებს, ტაძრებს და მონასტრებს ამომივსებენ ხავსითა!..  
მაგრამ!.. მთა შესძრა მხედრულმა, ბანს მოსძახიან კლდეები,  
ბულაჩაურში გამოჩდნენ ახალი არაგველები!  
გომბორზე მოდგა ლაშქარი, წინ უძლვით ხმლების ნათება, –  
მცხეთაში მოდის კახეთი, ვაზის ჯვრის გადასარჩენად!  
დროზე შენიშნეს ბიჭებმა, ციხეზე ცეცხლის ანთება,  
ერნოს მთა გადმოიარეს რაჭამ, ლეჩუმმა, სვანეთმა;  
რიკოთი უკან დასტოვეს, სურამიც გამოუვლიათ,  
სამეგრელოს და აჭარას, იმერეთსა და გურიას!  
მესხეთ-ჯავახთა სიმღერით ზანზარი გააქვს მიწასა,  
დიდგორში უთქვამთ შეკრება და ზრდილ მგლებს ალგეთისასა!..  
...აწი რა მომკლავს, ხმა მესმა ქართლში ლომების სადარი,  
ჰერა მაგასაო!.. ყიუინით ჰერებს საქართველოს მთა-ბარი!..  
...მუხაზე მუხა ამოდის, ბუნება არ ცვლის კანონებს,  
ვინც სხვის სიცოცხლეს თავს ესხმის, თავისას გადააყოლებს!..  
დიახ! მომხდური მარცხდება!.. მათ არ შერჩებათ აფთრობა,  
რომ ანურიდან მცხეთამდე ცაზე იბრნყინოს მნათობმა!

63



### თელავის კულტურული ცენტრის ქონიკა

#### ნიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე

თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ლონისძიებაზე, რომელსაც თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი დაქს-ნიკო, ადგილობრივმა პოეტებმა, მწერლებმა და თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის თეატრალური წრის მოსწავლებმა საკუთარი თუ სხვა ავტორების წიგნებიდან ამონარიდები წაიკითხეს.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს თელავი უკვე მესუთე წელია აღნიშნავს.



ოქტომბერი, №2, 2022



## ლიტერატურული გაჩერება

19 აპრილს, თელავის ცენტრალურ მოედანზე, გაიმართა გამომცემლობა „პალიტრა L“-ის აქცია – „ლიტერატურული გაჩერება“.

ლიტერატურის მოყვარულებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ახალ წიგნებს და შეეძინათ ისინი 70 %-იანი ფასდაკლებით, ასევე, უსარგებლო მაჟულატურა ახალ წიგნებში გაეცვალათ.

შეთავაზებით ბევრმა მოქალაქემ ისარგებლა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი, ად-მინისტრაციისა და კულტურის სამსახურების უფროსები: თამარ ზაზანაშვილი და მაია დათუნაშვილი.

64



## ელენეობა

ელენე ახვლედიანის დაბადების 121 წლისთავის აღსანიშნავად, თელავის სამხატვრო სკოლამ ტრადი-ციად ქცეული ღონისძიება სახელწოდებით „ელენეობა“ გამართა.

ღონისძიებას თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი და ესწრო.

სამხატვრო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული, სხვადასხ-ვა უანრის 200-მდე ნამუშევარი გამოიფინა, ასევე ღონისძიების მსვლელობის დროს მოეწყო გამოფენა-პერ-ფორმანსი.





თელავში ენერგოეფექტური სკამპები დმონტაჟდა. სკამი მზის ენერგიის გამოყენებით მუშაობს, მას აქეც უფასო WiFi, ტელეფონის დამტკინი, ლაიონბატერის სადაც განთავსებულია თელავის გურიის ტე- ლი რუსა და სხვა საინტერესო ინფორმაცია.

პრაღალელურად დაგეგმილია ისტორიულ ძველებზე QR კოდების და ქალაქის ორ ლოკაციაზე QR კუბების განთავსება.

პროექტის მინანს ნაწმოადგენს მუნიციპალური ელექტრონული საინფორმაციო სერვისების გაუმჯობესება, ქალაქის კულტურული, ისტორიული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების მიღების განვითარება.

პროექტი ხორციელდება სამილიონტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით.

